

ნონა კალანდარიშვილი



წლები და ადამიანები

# ნონა კალადარიშვილი

## ცლები და ადამიანები

მოსაგონარი „ნაკადულში“ გატარებული  
ნახევარი საუკუნის შემდეგ



გამომცემლობა „ენივერსალი“  
თბილისი 2012

წიგნის ავტორია ლიტერატორი, მთარგმნელი, ქართული საგამომცემლო საქმის ამაგდარი **ნონა კალანდარიშვილი**. მისი მოგონებანი ერთგვარი მატიანეა გამომცემლობა „ნაკადულისა“, რომლის მთავარ რედაქტორადაც ის წლების მანძილზე მუშაობდა. ისინი წარმოადგენს საყურადღებო წყაროსა და მასალას მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საგამომცემლო საქმისა და ქართული მწერლობის ისტორიისათვის.

© ნ. კალანდარიშვილი, 2012

გამომცემლობა „ენივერსალი“, 2012

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-644-9

## ნინასიტყვა

ნინამდებარე მოგონებების ავტორია ლიტერატორი, მთარგმნელი, ქართული საგამომცემლო საქმის ამაგდარი ნონა კალანდარიშვილი. ქალბატონმა ნონამ ისინი გარდაცვალებამდე სამი წლით ადრე დაწერა, – გარდაიცვალა 2004 წლის 1 სექტემბერს.

ნონა კალანდარიშვილი დაიბადა 1925 წლის 31 მარტს, მახარაძის რაიონის სოფელ კვირიკეთში.

1941 წელს თბილისის 21-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც 1946 წელს წარჩინებით დამთავრა სემიტოლოგიის სპეციალობით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობდა.

1951 წლის მარტიდან საუკუნის დასასრულამდე ის სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა „საბლიტგამში“, შემდგომში „ნაკადულად“ წოდებულში. ათეული წლების მანძილზე იყო ამ გამომცემლობის მთავარი რედაქტორი. 1976 წელს ქალბატონი ნონა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი გახდა. 1968 წელს კულტურის დარგში ხანგრძლივი და დამსახურებული მუშაობისათვის მიენიჭა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება. მისი ღვაწლი აღნიშნული იყო საპატიო სიგელებით.

ჩანაწერები, რომლებიც ავტორმა ასე დაასათაურა – „წლები და ადამიანები – მოსავონარი „ნაკადულში“ გატარებული ნახევარი საუკუნის შემდეგ“ – ერთგვარი მატიანეა გამომცემლობისა, რომელიც მისთვის, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მეორე სახლი და ოჯახი იყო. ისინი იქ გატარებულ წლებს, მის თანამშრომლებს და კოლეგებს ეძღვნება. მოგონებათა ფურცლებზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ცნობილ ქართველ მწერლებს, ვისაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ გამომცემლობა „ნაკადულთან“ – ნინო ნაკაშიძეს, გიორგი ლეონიძეს, ანა ხახუტაშვილს, ვახტანგ ჭელიძეს, არჩილ სულაკაურს, რევაზ ინანიშვილს, გაბრიელ ჯაბუშანურს,

ნიკა აგიაშვილს, ვახტანგ რაზიკაშვილს, ვახტანგ ბეწუკელს, ქეთო ქუჩუკაშვილს, იოსებ ნონეშვილს და ბევრ სხვას, მხატვრებს, პოლიგრაფისტებს, ქართული ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებს, საზოგადოებისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილ საგულისხმო ლიტერატურულ ფაქტებს.

ნონა კალანდარიშვილი იყო არაჩვეულებრივი რედაქტორი, სტილისტი და მთარგმნელი. მას შესრულებული აქვს მაღალმხატვრული თარგმანები გერმანული და რუსული ენებიდან. ქართულად თარგმნილი აქვს კლასიკოსების თომას და ჰაინრიხ მანების, შ. ცვაიგის, ლ. ფრანკის, ე. ჰოფმანის, ბ. კელერმანის და სხვათა ნაწარმოებები. მოგონებებში ის იმ ადამიანებსაც იხსენებს, ვინც თავის მასწავლებლად და გზის გამკვალავად მიაჩნდა: „ორმოც წელიწადზე მეტია ქართულ სიტყვას ვეჭიდები“. – წერს ის – „უმეტეს წილად გერმანელ მწერალთა ნაწარმოებები მაქვს გადმოქართულებული. ამ გზაზე ჩემი მასწავლებლები იყვნენ ვახტანგ ჭელიძე, ვახტანგ ბეწუკელი და დავით ლაშქარაძე, შემოქმედებითი მეგობრობა მაკავშირებდა ოთარ ჯინორიასთან, გზის გამკაფავად მიმაჩნია გრიგოლ ჩიქოვანი, წლების მანძილზე გამომცემლობა „მერნის“ მთავარი რედაქტორი, და ჩემი შეუცვლელი რედატორი იზოლდა ლესაცა“. ნონა კალანდარიშვილის თარგმანებს დღესაც არ დაუკარგავთ გამომცემელთა და მკითხველთა ინტერესი.

მოგონებები დაწერილია საინტერესოდ, ავტორის ჩვეული სტილით და წარმოადგენს საყურადღებო წყაროსა და მასალას მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საგამოცემლო საქმისა და ერთგვარად ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის.

ქალბატონი ნონა გახლდათ შრომისმოყვარე, გულისხმიერი, თბილი, მოკრძალებული, თავმდაბალი ადამიანი, არაჩვეულებრივი მეგობარი, ნათესავი, და, მეუღლე, დედა და ბებია. გამომცემლობისა და ქართული მწერლობის სამსახურს ის შესანიშნავად უთავსებდა ოჯახსა და ახლობლებზე ზრუნვას და თავდადებასაც. დღეს მას შთამომავლებთან ერთად სიყვარულითა და მადლიერებით იხსენებენ მისი კოლეგები და ნაცნობ-მეგობრები.

**მაია ცერცვაძე**



ლ

ლეს 2001 წლის 5 მარტია. გასული წლების ნოსტალგია

შემომაწვა და კალამს მოვკიდე ხელი, მაშინაც 5 მარტი იყო, ოლონდ 1951 წლისა. რა დრო გასულა – ნახევარი საუკუნე.

მივდიოდი მარტო, არავინ მომყვებოდა და მამხნევებდა. მივდიოდი დარდიანი და გალეული. დღეს ჩემი ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. სამსახურს ვეძებდი ოჯახის „მარჩენა-ლი“: შინ ავადმყოფი დედა და უმცროსი და-ძმანი მელოდებოდნენ,

ვერის ხიდთან, სვეტებიან ლამაზ შენობას მივადექი და ეს სვეტებიანი შენობა გახდა შემდეგ ჩემი სანუკვარი, ოცნების სასახლე. მას მერე ვერა და ვერ მოვიშორე მისი სიყვარული, თუმცა ორჯერ გამოვიცვალეთ სამყოფელი, მაგრამ დღესაც ის მიმართა ჩემი ადგილის დედად.

ამ შენობაში მელოდა იმედების ალსრულება. გამომცემლობას „საბლიტგამი“ ეწოდებოდა – საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა.

შემდგომში, როცა ამ გამომცემლობის მკვიდრი გავხდი, ბევრი რამ გავიგე მისი წარსულიდან. ვეცდები, შეძლების-დაგვარად დაწვრილებით მოვიგონო ყოველი, იქნებ ვინმეს-თვის საინტერესო იყოს, ჩემსავით უყვარდეს ის ძველი ბუდე, ენატრებოდეს იმ ადამიანების მოგონება, ვისთან ერთადაც ახალგაზრდობის წლები გაუტარებია.

„ნაკადულმა“ გრძელი და ეკალ-ბარდით მოფენილი გზა განვლო, სანამ მონანეკარე წყარო ჯერ ნაკადულად, შემდეგ კი წყალუხვ მდინარედ იქცეოდა.



„ნაკადულის“ დიდი შენობის ასაგებად თითო აგური მოიტანეს კეთილმა ადამიანებმა. მათ შორის დღეს ბევრი აღარ არის ცოცხალი, მაგრამ მათ სახელებს დავიწყება არ უწერიათ.

ბატონი ნიკო კეცხოველი, გამომცემლობის ერთ-ერთი მესვეურთაგანი ხშირად იტყოდა ხლომე: „ქართველ კაცს ნაკადული და წყარო ოდითგანვე უყვარდა. უყვარდა, რადგან მასში ხედავდა სიცოცხლის გამოსახულებას, სიცოცხლის სიმბოლოს, დაუსრულებელ სწრაფვას – შეერთებოდა მეორეს და ამ შეერთებით შეექმნა ძლიერი მდინარე, რომელიც სიცოცხლეს მეტ ძლიერებას მისცემდა. მე ჯერ არ მინახავს და არც მეგულება კაცი, წყაროსა და ნაკადულის ახლოს რომ გაევლოს, არ შეჩერებულიყოს, ხელი არ დაებანოს, შუბლი არ გაეგრილებინოს, სიამოვნებით არ ავსებოდეს გული და მადლიანად არ გაეღიმოს. . . და აი, სწორედ ასეთი გრძნობით ევსება გული კაცს, როდესაც ამჟამად ესმის სიტყვა „ნაკადული“.

რახან მინდა უფრო შორიდან დავიწყო, ახლა თავს გავანებებ ნაკადულის რაკრაკსა და წყაროს წანწკარს დავუბრუნდები.

ჩვენს დიდ წინაპართ მშვენივრად ესმოდათ საყმანვილო ლიტერატურის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „თუ თქვენს სამშობლო ლიტერატურაში საყმანვილო განყოფილება ცარიელია ან სავსეა უნიჭო და უმარილო ნანარმოებებით, მაშინ თქვენ უნდა მოელოდეთ, რომ თქვენს ყრმას გონების მადა არ გაეხსნება, აზროვნება, მსჯელობა და საუკეთესო ნანარმოებების კითხვა-შეგნება მისთვის საჭიროებად არ შეიქმნება და იგი გამოვა იმისთანა გულგრილი არსება, რომელიც ბევრით არაფრით განსხვავდება პირუტყვისაგან“.

დიდ ლიტერატურაში ჩაკარგული საყმანვილო ლიტერატურა ყმანვილს სულიერ საზრდოდ გამოადგებოდა.

დრომ მოიტანა ყმანვილთათვის ცალკე გამომცემლობის დაარსების აუცილებლობა და აი, 1938 წლის ერთ ძველ საბუთში ვკითხულობთ: საქართველოს ალკა ცენტრალურ

კომიტეტთან შექმნილა საბავშვო ლიტერატურის გამოცემლობა, რომლისთვისაც შემოკლებით „საბლიტგამი“ დაურქევიათ. საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობის შექმნის თარიღსაც აქედან ვითვლით. აპრილში იშვა ჩვენი გამომცემლობა, მანამდე საბავშვო წიგნების გამოცემის საქმეს „სახელგამთან“ (ამჟამად „საქართველო“) არსებული ერთი სექტორი განაგებდა.

საბავშვო გამომცემლობის პირველი დირექტორი კონსტანტინე ჭანტურიშვილი გახლდათ. მე მის დირექტორობას არ მოვსწრებივარ, მაგრამ შემდეგ, მოვვიანებით მინახავს გამომცემლობაში მოსული ეს ტანად ბრგე, სანდომიანი ვაუკაცი. სათვალე ეკეთა, მაღლა ავარცხნილი თმა, ფართო შუბლი ჰქონდა.

რვა წელიწადი იყო კონსტანტინე ჭანტურიშვილი „საბლიტგამის“ დირექტორი – 1938-1946 წლებში, რვა მძიმე წელიწადი ომამდე და მთელი ომის პერიოდი. სამამულო ომმა ადამიანებს ბევრი იმედი დაუმსხვრია. მწერლებმა კალამი ხიშტით და შაშხანით შეცვალეს. ან ქალალდი სად იყო, ან ვის ეცალა საბავშვო წიგნის გამოსაცემად. მე მაინც დამაინტერესა საბავშვო წიგნის ბეჭმა და საქმეს ჩავუღრმავდი. გული აგიტირდებათ იმ წიგნების შემხედვარეს.

1946 წელს კონსტანტინე ჭანტურიშვილი ვასილ კიკნაძემ შეცვალა. მე ვიცნობდი ამ ტანმორჩილ, მოკრძალებულ კაცს. სულ ორი წელიწადი დაჲყო გამომცემლობის დირექტორად ვასილ კიკნაძემ (ეს ჩვენი ცნობილი ხელოვნებათმცოდნე არ გეგონოთ). მისი დირექტორობის ეს ხანმოკლე ვადაც მეტყველებს იმაზე, რომ გამომცემლობას საქმე ვერც მაშინ ჰქონდა კარგად და ეს ზემდგომ ორგანოებში მსჯელობის საგნადაც გამხდარა.

ვასილ კიკნაძის შემდეგ „საბლიტგამის“ დირექტორად 1948 წლის 2 ოქტომბერს მოსულა ქალბატონი თეო აბაშმაძე, ძველი კომკავშირელი, მეტად მოძრავი, ენერგიული ქალი. მან 1952 წლამდე, ოთხი წელიწადი იმუშავა „საბლიტგამში“. მთავარი რედაქტორი უკვე ცნობილი მწერალი ბატონი ვახტანგ ჭელიძე გახლდათ, მეტად ენერგიული, ხალისიანი კაცი.

სანამ ქალბატონ თეოსთან შევიდოდი, დიდხანს მომიხ-და ლოდინი მისაღებში, სადაც საბეჭდ მანქანას უჯდა და უკაკუნებდა ახალგაზრდა, ემხიანი ქალი. იგი ყურადღებას არ მაქცევდა, არც დირექტორისათვის მოუხსენებია ჩემი იქ ყოფნა. ვინ იცის, ჩემისთანა მთხოვნელი რამდენი მიდიოდა დღეში და მასაც თავი ჰქონდა მობეზრებული. ვიჯექი დიდ-ხანს და უხმოდ, მორჩილად, თვალს ვადევნებდი მიმსვლელ-მომსვლელს. ზოგი მარჯვენა კარში შედიოდა, ზოგი მარცხე-ნაში. მივხვდი, იმ ოთახებში უფროსები ისხდნენ. ერთში ცის-ფერთვალება ლამაზი კაცი, მეორეში ტანსრული, სანდომია-ნი ქალი. კარები წამდაუწუმ იღებოდა. ოთახებიდან ხან ხმა-მაღალი ლაპარაკი ისმოდა, ხან დინჯი საუბარი. ვერც ერთი ოთახის კარის შეღებას ვერ ვპედავდი – ვფიქრობდი, ჩემ-თვის ვინ მოიცლის-მეთქი. ვინც ამ ოთახებში შედიოდა, ყვე-ლას ხელში საქალალდები ეჭირა ან სხვა რაღაც საბუთები. მე კი ხელცარიელი ვიყავი მისული. ჩვენ სხვადასხვა სათხო-ვარი გვქონდა. რამდენიმე დღეს ვიარე ასე. მივდიოდი და კუთხეში ერთსადაიმავე სკამზე ვჯდებოდი. ბოლოს თვით იმ სანდომიანმა ქალმა მომაქცია ყურადღება. ეს ბავშვი, აქ რომ ზის, მე ხომ არ მელოდებაო. ცრემლმორეულმა თავი დავუქ-ნიე. ხელი მომხვია და თავის ითახში შემიყვანა. დაწვრილე-ბით გამომკითხა, ვინ ვიყავი და რაზე ვიყავი მისული. ჩემი გასაჭირი რომ მოისმინა, მასაც თვალზე ცრემლი მოერია. დიდი ქალივით მოვახსენე, შინ ავადმყოფი დედა და დაძმანი მელოდებიან-მეთქი. ქალბატონმა თეომ დამიყვავა, ამიხსნა ყველაფერი. ერთი ორი კვირით ადრე რომ მოსულიყავი, უფ-რო კარგად მოგაწყობდიო, მაგრამ გული არ გაიტეხო, თუ ბეჯითად იმუშავებ, ახალგაზრდა ხარ, ყველაფერს მოესწრე-ბიო. ვერ მივხვდი, რაზე მიხდიდა ბოდიშს ეს კეთილი ქალი. თურმე იმ ხანებში გამომცემლობას სამტატო ერთეულები დამატებოდა, რედაქტორები უკვე მიეღოთ და მე კორექტო-რად მიპირებდა მიღებას. დიდი მადლობა მოვახსენე და მეო-რე დღეს სამსახურში გამოვცხადდი არა როგორც მთხოვნე-ლი, უკვე თანამშრომელი. ჩემი თავი ქალბატონმა თეომ ბა-ტონ შალვა გვინჩიდეს, ცნობილ გვინჩიდეთა ოჯახის – ივანე

გვინჩიძისა და ლენა გოკიელის ღირსეულ წარმომადგენელს ჩააბარა. იგი განაგებდა მაშინ გამომცემლობის საწარმოო განყოფილებას.

ორიოდე სიტყვით მინდა მოვიგონო ეს სათნო კაცი, ფუტკარივით მშრომელი. ოდნავ ბეჭებში მოხრილი, ჭკვიან-თვალება, ღიმილიანი. ბატონმა შალვამაც ალერსიანად მიმიღო. უფროს კორექტორთან – ქეთკა დემუროვასთან მიმიყვანა და იმანაც დამმოძღვრა: აბა, შენ იცი, რა ბეჯითად იმუშავებო. საქმეს შევუდექი. რახან კორექტურისა ცოტა რამ გამეგებოდა, მეც დავიწყე კითხვა. ვცდილობდი, არაფერი გამომპარვოდა. სამუშაო ბევრი იყო, ჩვენ კი ცოტანი.



ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებთან  
(პირველ რიგში შუაში). 7 მაისი, 1949 წ.

ერთ დღეს საბეჭდად ხელმოსაწერი მოზრდილი წიგნის ანაბეჭდები მომიტანეს ორ ცალად. მეტისმეტი გულმოდგინებით ჯერ ერთი წავიკითხე, მერე – მეორე. ამ ჯაფაში რომ ვიყავი, ბატონი შალვა წამომადგა და მითხრა: შვილო, თავს რაზე იკლავ, მეორე ცალშიც იგივე შეცდომები იქნება, რაც პირველში იპოვეო. შემრცხვა და თავი დავხარე. კიდევ ბევრი რამ მასწავლა ბატონმა შალვამ, რაც სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში.

მალე კომკავშირის კომიტეტის მდივნადაც ამირჩიეს.

ახალგაზრდობამ დაღლა არ იცის. მიხაროდა გათენება და სამსახურში წასვლა. ბევრი დავალება მქონდა. მაგრამ ერთ დღეს ახირებული საქმე – ატმის კურკების შეგროვება დაგვალეს (ალბათ, ბალების გასაშენებლად). ეგ დავალება აღარ შემისრულებია, მაგრამ მე კი კურკა მდივანი შემარქეს, რაც ერთხანს მწყინდა კიდეც.

გამომცემლობა იმ დროს განათლების სამინისტროს ეკუთვნოდა და გეგმებიც იქ მტკიცდებოდა. ყველა საჭირობო-როტო საკითხი იქ წყდებოდა. საბავშვო გამომცემლობას მაშინდელი განათლების მინისტრის მოადგილე ქალბატონი მარიამ ბურჯულაძე კურირებდა. უფრო მოგვიანებით მეც დავსწრებივარ სხდომას განათლების სამინისტროში და მახსოვს მისი შეფიქრიანებული სახე, როცა მსჯელობა საბავშვო წიგნის ქალალდა და საბავშვო შრიფტის ეხებოდა, მაგრამ მაშინდელი განათლების სამინისტრო ღონიერი პატრონი ვერ იყო გამომცემლობისა და უფრო საკუთარ თავს ეკუთვნოდა, ამიტომ ყველა საშტატო ერთეული გააჩნდა, რაც დამოუკიდებელ სანარმოს სჭირდება, საბჭდი ქალალდი მაშინ ენგურის ქალალდკომბინატიდან მოდიოდა. ჩამოტანითაც ჩვენ ჩამოგვქონდა. კარგად მახსოვს ჩვენი სატვირთო მანქანა და მისი მძლოლი, მუდამ მომლიმარე უკრაინელი ყმანვილი ვიტალი. რა დამავიწყებს ქალალდის საწყობს მაჩაბლის ქუჩის ერთ სარდაფუში და პატარა პრიმიტიულ სანარმოს, ქალალდის საჭრელს, ქალალდის მჭრელს, ფიცხ გურულს მანუელ ჯაშს. საოცარი კი იყო, ერთი კაცი როგორ ასწრებდა ასეთი პრიმიტიული წესით თუნდაც ერთი წიგნისათვის საჭირო ქალალდის დაჭრას ერთსა და ორ დღეში, მაგრამ საქმე მაინც გვარდებოდა.

მანუელ ჯაში ძალზე ფიცხი კაცი იყო, ერთს კი დაიგრგვინებდა, მაგრამ უცბად გადაუვლიდა, ისევ დადგებოდა თავის დაზგასთან და ქალალდით არასოდეს შეუფერხებია მაშინ ასევე პრიმიტიული სტამბები.

როგორც მახსოვს, მანუელ ჯაში მაშინ წავიდა ჩვენგან, როცა ახლადდაარსებულმა გამსახკომმა ქალალდის საწყობების ცენტრალიზაცია მოახდინა და საერთოდ შეცვალა გამომცემლობების ქალალდით მომარაგების წესი.

როცა საწარმოო პროცესებზე ვლაპარაკობ, არ შემიძლია არ მოვიგონო ორი ახალგაზრდა: შოთა თუშიშვილი და დათო სეფიაშვილი. შოთა თუშიშვილი ერთი ავადმყოფი ყმაწვილი იყო, მაგრამ ისე უყვარდა თავისი საქმე, მგონი, თავის ავადმყოფობასაც არად დაგიდევდა. გამომშვებად მუშაობდა და მაშინდელ გამომშვებებს ევალებოდათ მანქანაზე საბეჭდად გაშვებული ანაბეჭდების კითხვა. როცა ფორმა მანქანაზე საბეჭდად მიდიოდა, ცეცხლიც რომ ნაგვიდებოდა, შოთა უკან აღარ მოიხედავდა, სტამბაში გარბოდა მის წასაკითხად. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა, ახლა ხომ კომპიუტერმა დაიმკვიდრა ადგილი ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ შოთა თუშიშვილის გულმოდგინება მისაბად მაგალითად მიმაჩინია.

დათო სეფიაშვილს მოწყენილს ვერასოდეს ნახავდით. სახე მუდამ ულიმოდა. იგი ტექნიკური რედაქტორიც იყო, გამომშვებიც. ერთი სიტყვით, ბატონ შალვას მარჯვენა ხელი გახლდათ. ხომ არ გვონიათ, რამე დავიწყებოდა. ერთხელ ზედმეტი გულმოდგინებისაგან ავტორის გაჭიანურებულ მოთხოვნას საჭირო ადგილას წერტილიც კი დაუსვა და სარჩევი და გამოსაშვები ცნობებიც კი მიაბეჭდა. ერთი ვაივიში ატყდა, გაგიჟდა ავტორი, მაგრამ მეტად კეთილმა, დიდი იუმორის გრძნობით დაჯილდოებულმა ამირან გაბესკირიამ ასე „დაამშვიდა“: ასე სჯობია, მწერალიც შენისთანა უნდა, სადაც გაწყვეტ ფრაზას, იქ უნდა მთავრდებოდესო.

ბოლოს განაწყენებული ავტორიც შემოგვირიგდა და ის უსიამოვნება მისთვისაც და ჩვენთვისაც მოგონებად დარჩა მხოლოდ.

ბედმა გამილიმა თუ ჩემმა გულმოდგინებამ გასჭრა, მალე დამანინაურეს, რედაქტორადაც გადამიყვანეს.

ერთხელ, როცა მისაღების მარჯვენა კარი შევაღე, გამაცა უცნაურმა მოხატულობამ. ჭერს გარშემო ფრთიანი კალმები ჰქონდა შემოხატული. რა გეღიმება, არ მოგწონსო? – მკითხა ბატონმა ვახტანგმა, ვახტანგ ჭელიძემ, იმ ლამაზმა, ცისფერთვალება კაცმა, პირველად რომ მიიპყრო ჩემი ყურადღება.

ჩემზე ადრე აქ მთავარ რედაქტორად ალეკო შენგელია მუშაობდა, იმან მოახატვინა.

რაკი ამ ოთახში ფეხი შემოვდგი, იმ დღიდან იმ ოთახის მოხატულობაც მომწონდა და ჩემი კეთილი მასპინძელიც, რომელიც დღესაც ჩემს პირველ მასწავლებლად მიმაჩნია. მის თარგმანებს ადრეც ვიცნობდი და დიდ პატივად მიმაჩნდა ამ დიდ ადამიანთან მუშაობა.

მაშინ ივანე მაჩაბელზე მუშაობდა და მოუთმენლად ველოდი, სულ თვალებში შევცეკეროდი, იქნებ მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი მე შემადარებინოს-მეთქი. ზოგჯერ ბედი მართლაც გამიღიმებდა და წამაკითხებდა. მაშინ უბედინერეს ადამიანად მიმაჩნდა თავი, ასე მეგონა, ავტორი ჩემს აზრსაც მეკითხებოდა.

პირველი წიგნი რომ მომცა სარედაქციოდ, ძალიან ვღელავდი, ძილი გამიფრთხა, არ ვიცოდი, ბატონი ვახტანგი მომიწონებდა თუ არა ნამუშევარს. ბატონმა ვახტანგმა წაიკითხა და შემაქო. არც მეორე ნამუშევარი დაუწუნებია.

ბოლოს ჩემსავით ახალბედას, მაშინ ახალგაზრდა მწერლის როდამ ჩაჩანიძის მოთხოვნების კრებული გადმომცა სარედაქციოდ, აქ კი ჩავიჭრი, გამიტაცა ავტორის გულუბრყვილო, თავისუფალმა აზროვნებამ და უყოყმანოდ მოვაწერე ხელი.

მუშაობა დავამთავრე და ბატონ ვახტანგს მივუტანე წაკითხად. მეორე დღეს ჩემთვის აღარ გაულიმია. ნამუშევარი დამიწუნა, მითხრა: ეტყობა, შენ ამის გაკეთებას ვერ შესძლებო და ის დედანი მწერალ გიორგი ნატროშვილს გადასცა სარედაქციოდ. გული დამწყდა. ეს იყო ჩემი პირველი კრახი ცხოვრებაში, პირველი წაბორძიკება. მოუთმენლად ველოდი, როდის მოაბრუნებდა ბატონი გიორგი დედანს. გამოხდა ხანი და მივხვდი, რა შეცდომა დავუშვი - ლმობიერად მოვქცეოდი ახალბედა ავტორს.

ბატონი გიორგის ნამუშევარმა ბევრ რამეზე ჩამაფიქრა, ჩამახედა ჩემი სანუკვარი საქმის საიდუმლოში.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბატონი ვახტანგი ჩვენი მთავარი რედაქტორი გახლდათ. მინდა აქვე დავასახელო ის

ხალხი, ვისაც წლების მანძილზე უმუშავია ამ თანამდებობაზე, რადგან შემდეგ აღარ მექნება მათი დასახელების საშუალება. დავასახელებ თანმიმდევრობით: ირაკლი აბაშიძე, შალვა თაბუაშვილი, ალექს შენგელია, ვახტანგ ჭელიძე, ამირან გაბესკირია (მოკლე ხნით, შემდგომ დირექტორია), ვახტანგ ბერუკელი, ამ სტრიქონების ავტორი, იაგო ვარდოსანიძე, ვალენტინა ძიძიგური, კვლავ ამ სტრიქონების ავტორი, თენგიზ ჩხაიძე.

იმხანად ხშირად გამოდიოდა ჩვენთან გიორგი შატბერაშვილის მოთხრობები. მომწონდა მისი „სათაფლია“. გიორგი შატბერაშვილის პროზამაც ბევრი რამ მასწავლა. დრო გადიოდა და მეც ვიწაფებოდი საქმეში.



**ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებთან  
(პირველ რიგში მარჯვნიდან მესამე). 13 მაისი, 1950წ**

ერთ დღეს ქალბატონმა თეომ მითხრა, ერთი წიგნი გვაქვს სტამბაში გაგზავნილი, იმ წიგნის რედაქტორი მინდა შენ იყო. უარს როგორ შევკადრებდი. მოვიდა კორექტურა და მივდექი და მოვდექი, ვასწორე გემრიელად. წიგნი ეგნატე ნინოშვილზე იყო. იმდენი ვასწორე, თავიდან ასაწყობი გახდა (არადა, ავტორმა არ მოგვიწონა იგი: კამფეტივითაა დაწერილი, მხიარულად იკითხებაო). ძალიან მომიწონეს საქციელი,

კარგად გიმუშავიაო. წარმომიდგენია, დღეს რომ ასე ასწოროს რედაქტორმა ანაწყობში, რა მოხდება, როგორ მოუწონებენ ნამუშევარს. ეს მაგალითი მხოლოდ იმის ნათელსაყოფად მოვიტანე, თუ რა დაბალ დონეზე იდგა მაშინ სტამბისა და გამომცემლობის პასუხისმგებლობის საქმე.

ორმოცდათიანი წლების დასაწყისში, ომისშემდგომ პერიოდში, როცა საბავშვო ლიტერატურაში არ ჩანდნენ ნამდვილი საბავშვო მწერლები, გამომცემლობას გრაფომანები ეძალებოდნენ. მაშინდელ ვითარებაში დიდ წარმატებად მიმაჩნია ნიკო ავალიშვილისეული თარგმანის, ჯერ დაუსტამბავი სერვანტესის „დონ-კიხოტის“ და თედო რაზიკაშვილის შედგენილი, ლადო გუდიაშვილის მიერ დასურათებული ქართული ხალხური ზღაპრების გამოცემა, რასაც დიდი ღვანლი დასდო ვახტანგ ჭელიძემ. ნიკო ავალიშვილის „დონ-კიხოტი“ გაჩალხა, ისე, რომ თავისი სურნელი შეუნარჩუნა, გამოჩენილმა მწერალმა და დიდებულმა მოქართულემ ნიკა აგიაშვილმა.

გამომცემლობაში თითქმის ერთად მივედით ქეთევან ქუჩუკაშვილი, ვალია ძიძიგური, ვახტანგ ბენუკელი, ნათელა ჩირაძე და მე.

ვალია ძიძიგურს უნივერსიტეტიდან ვიცნობდი, სხვებს კი, შემდგომში ჩემს საუკეთესო მეგობრებს, პირველად ვხედავდი. მასპინძლებად ელენე გოგოლაშილი, მერი ტყემალაძე და გოგი ლომინაძე დაგვხვდნენ.

ყველამ გულით შევიყვარეთ ქეთო ქუჩუკაშვილი, სახელოვანი მამის, შიო მღვიმელის სახელოვანი ქალიშვილი. მე და ქეთოს მაგიდა და სკამი არ გვქონდა. პირველ ხანებში მისაღებში ტახტზე ვისხედით და იქ ვაკეთებდით ჩვენს საქმეს. მე მგონი, დღემდე ორივეს ტკბილად მოსაგონებლად დაგვრჩა ის მაშინდელი უადგილოდ ყოფნა. ბევრი რამ ვისწავლე მისგან, უკვე გამოცდილი მწერლისა და დრამატურგისაგან. მაშინ უკვე დაწერილი ჰქონდა თავისი საუკეთესო პიესები, მათ შორის „ზამთრის ზღაპარი“ და ლალი, მშვენიერი საბავშვო ლექსები. მე და ქეთო ისე დავმეგობრდით, რომ როცა ის არ მოვიდოდა სამსახურში, ის დღე დღედ არ მიმაჩნდა.

ცოტა ვრცლად მინდა გელაპარაკოთ ადრე წასულ უკე-  
თილშობილეს ადამიანზე ვახტანგ ბერძუკელზე. იგი ახალგად-  
მოსული იყო თიანეთიდან. რომ გავიგე შილერსა და გოეთეს  
თარგმნიდა, დიდი პატივისცემით განვიმსჭვალე მისადმი. რომ იტყვიან, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამდაო, სწორედ  
ვახტანგზე შეიძლებოდა თქმა. ვკითხულობდი მის თარგმა-  
ნებს, დედანთან შედარებაში ვეხმარებოდი. მისი წაქეზებით  
მეც მოვკიდე თარგმანს ხელი და პირველად 1952 წელს ვილი  
ბრედელის პატარა მოთხრობა „50 დღე“ გამოვაქვეყნე. ამას  
მოჰყვა ამავე მწერლის ტრილოგია „ნათესავები და ნაცნობე-  
ბი“ და კიდევ ბევრი სხვა. ჩემი უცვლელი რედაქტორები იყ-  
ვნენ ვახტანგი და ჩემი უსაყვარლესი, უჭკვიანესი ადამიანი  
დავით ლაშქარაძე, რომელიც ახლახანს მივაპარეთ მინას. რა  
სასიამოვნო მოგონებად დამრჩა მათთან მუშაობა ჩემს თარ-  
გმანებზე. ვახტანგიც აფასებდა ჩემს მეგობრობას. ბევრი ვი-  
მუშავეთ ერთად მის მიერ თარგმნილ გოეთეს დრამებზე. ახ-  
ლაც ყურში ჩამესმის მისი ხმა, მისი სიტყვები, ნაჩუქარ წიგ-  
ნზე რომ წამინერა: „მთელს შენს ლირსებას მეგობრობა შე-  
იცნობს მხოლოდ“.

ვახტანგის წაადრევად წასვლა ამქვეყნიდან მეხის და-  
ცემას ჰგავდა, რამდენი რამ გააკეთა და კიდევ რამდენი ჩა-  
ნაფიქრი დარჩა განსახორციელებელი.

„საბლიოტგამში“ რომ მოვიდა, ფრიდრიხ შილერის „დონ  
კარლოსს“ თარგმნიდა. კარვად მახსოვს, რა უძინარი მოდი-  
ოდა სახლიდან (ლამე უყვარდა მუშაობა). ალბათ, ეჩქარებო-  
და მისი დასტამბვა და პირდაპირ ხელნაწერს, ფურცელ-  
ფურცელ აწვდიდა სტამბას. მესამე სტამბაში, მის დირექ-  
ტორთან, ალექსანდროვთან წახავდით ხშირად.

საინტერესო მოსაუბრე იყო. თვითონ პოეტს უყვარდა  
პოეზია და ხშირად გვიკითხავდა ვაჟა-ფშაველასა და მირზა  
გელოვანის ლექსებს. მან დიდი ამაგი დასდო მირზა გელოვა-  
ნის პირველი ლექსთა კრებულის გამოქვეყნებას და არც შემ-  
დგომ მოუკლია ზრუნვა თავისი სიყრმის მეგობრის ლექსები-  
სათვის. ვახტანგის წყალობით ჩვენც ვიცნობდით მირზას  
და-ძმებს, მის ახლობლებს, თემოს, რუსუდანს, როენას.

ვახტანგთან ხშირად მოდიოდნენ გაბრიელ ჯაბუშანური და ვახტანგ რაზიკაშვილი. გაბრიელი პოეზიის ცეცხლით იწოდა. მოვიდოდა, ჩვენც გულებს აგვინთებდა და ისევ მთას მიაშურებდა.

როცა აქ იყო, სულ მიეჩარებოდა და მერე იცით, ვის-თან? ბატონ კონსტანტინესთან, კონსტანტინე გამსახურდი-ასთან. კონსტანტინეს ხშირი და მის ოჯახში დიდად მიღებული სტუმარი იყო. რამდენი უსაყვარლესი ადამიანის სიკ-ვდილს მოვსწრებივარ, მაგრამ ძალიან დამწყვიტა გული ამ ალალი, ნამდვილი მთის შვილის, გაბრიელ ჯაბუშანურის წასვლამ ამქვეყნიდან. არასოდეს დამავიწყდება მისი გაცი-ლება მწერალთა კავშირიდან, მის კუბოს ეროვნულ ტანსაც-მელში გამოწყობილი, მგლოვიარე ლამაზი მთიელი გოგოები რომ მიაცილებდნენ.

ხშირად მოდიოდა ჩვენთან დიდი ვაჟა-ფშაველას მემ-კვიდრე, თვითონაც მწერალი ვახტანგ რაზიკაშვილი, მუდამ მოღუშული, პირქუში და რაღაც სანუხარით შეწუხებული კა-ცი. მუდამ უჭირდა ფული და მამის ჰონორარს აკითხავდა. ვახტანგმა შემდეგ მშვენიერი წიგნი დაწერა „მამაჩემი – ვაჟა-ფშაველა“.

რაც უნივერსიტეტი დავამთავრე, ვალია ძიძიგური არ მენახა. ახლა სამუშაო მაგიდას უჯდა და ერთ სანდომიან ქალს ელაპარაკებოდა. ვალია თავაზიანად უხსნიდა რაღა-ცას, ის ქალი კი ძალზე ხმამაღლა ლაპარაკობდა. გუნებაში გავივლე, ალბათ რაღაცაში ვერ თანხმდებიან-მეთქი, მაგრამ ამ სასიამოვნო ქალსა და ვალიას დიდი შემოქმედებითი მე-გობრობა აკავშირებდათ. მერე მივხვდი, თამარ ჩხეიძეს თურმე ხმამაღლა ლაპარაკი სცოდნოდა და სულაც არ ეკამა-თებოდა თავის რედაქტორს.

გამომცემლობაში ყველა რომ გავიცანი, ჩემი ყურად-ღება ერთმა ქერათმიანმა, კაფანდარა ქალმა მიიპყრო. წამ-წამებს ახამხამებდა, ჩაფიქრებული დასცექეროდა ნახატს, მე-რე შორს დაიჭერდა, თვალებმოჭუტული შეხედავდა და ისევ მაგიდაზე დადებდა. ფუნჯს საღებავში ამოაწებდა და არტის-ტული მანერით გაუსვ-გამოუსვამდა ნახატს. უაზრო ლაქე-

ბიდან თანდათან გამოიკვეთებოდა ფიგურა. მოკრძალებით გავჩერდებოდი შორიახლო და შევცქეროდი ამ ჯადოქარ ქალს. რა ლამაზი და მიუწვდომელი მეჩვენებოდა. ნამდვილი ხელოვანი იყო. განუშორებლად ეკეთა ძვირფასი ქვებით მო-ოჭვილი სამაჯური, თურმე თავისი მასწავლებლის, ირაკლი თოიძის საჩუქარი გახლდათ. ასეთი იყო ჩვენი გამომცემლობის მთავარი მხატვარი ეკატერინე ბალდავაძე, ჩვენი კატინე, შემდგომში დიდად დაფასებული, საქართველოს სახალხო მხატვარი. მისი შემოქმედების მთავარი თემა მეცხრამეტე საუკუნის ადამიანები იყვნენ.

თვითონ წიგნებს იშვიათად ასურათებდა. იწვევდა მხატვრებს, სამუშაოს უნაწილებდა და საბჭოს მუშაობას უძღვებოდა. კარგად მახსოვს მის მიერ დასურათებული ქართული ხალხური ზღაპარი „ასფურცელა“. აქაც ვერ გაექცა მეცხრამეტე საუკუნის თემას და ზღაპრების გმირები თავისი ტიპაჟიდან გამოკვეთა.



დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე (პირველ რიგში მარცხნიდან მესამე).  
1950 წლის ივლისი. უკანა მხატვეს ნარჩერაა: „ქობულეთის რაიონის მასწავლებელთა მცირედი საჩუქარი პატივცემულ ლექტორს ნონა კალანდარიშვილს“

მეტად გული დაგვწყვიტა კატინე ბალდავაძის ჯერ „საბლიტგამიდან“ და შემდეგ ამქვეყნიდან წასვლამ. დიდი

გულისტკივილით მივაცილეთ ეს მშვენიერი ქალი დიდუბის პანთეონამდე.

დროდადრო გამომცემლობაში ერთი ფუსფუსი ატყდებოდა ხოლმე – სამხატვრო საბჭოს სხდომააო. მოდიოდნენ იმ დროის გამოჩენილი მხატვრები. ჩვენს წიგნებს მაშინ აფორ-მებდნენ სოსო გაბაშვილი, დუდე გაბაშვილი, შალვა ცხადაძე, გაიოზ ფოცხიშვილი, გიორგი თოთიბაძე, გრიგოლ ჩირი-ნაშვილი, დიმიტრი ხახუტაშვილი, ეთერ ანდრონიკაშვილი, მარიკა დაუშვილი, ნანა შალიკაშვილი და სხვები.

მახსოვს, თუ ბატონი სოსო არ მოპრძანდებოდა, ისე საბჭო არ ჩატარდებოდა. მას ეკუთვნოდა გადამყვეტი სიტყვა. მაშინ ჩვენთვის ბატონმა სოსომ ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვთა ქორნილი“ გააფორმა. მოუწონეს ნამუშევარი. საოცრად მორცხვი და და მოკრძალებული კაცი იყო. გარეგნულადაც მეტად მიმზიდველი: ფერმკრთალი, ოდნავ კეხიანი ცხვირი ჰქონდა, ფართო, შავი, ჭკვიანი თვალები.

ბატონ სოსო გაბაშვილს თუ მოკრძალებით შევცეროდით შორიდან, შალვა ცხადაძე თვითოულ ჩვენგანს თავის მეგობრად მიგვაჩნდა. ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი იყო, საოცარი იმიტაციის უნარით დაჯილდოებული. ყველას რაღაცაში გამოგვაჯავრებდა, განსაკუთრებით ელიკო ციბაძეს არ ასვენებდა. ზუსტად ჰქონდა გადმოღებული მისი მოძრაობისა და ლაპარაკის მანერა.

შალვა იმ დროს უურნალ „დილას“ მთავარი მხატვარი იყო და გამომცემლობაში რომ გამოჩენდებოდა, ხალისი და სიცოცხლე შემოჰქონდა. შალვა ცხადაძეზე, როგორც საუკეთესო საბავშვო მხატვარზე, მხატვრობაში რეალისტური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელზე ბევრი დაწერილა და კიდევ დაიწერება. მაყვალა მრევლიშვილის ყველა ლექსი და პოემა მისი გაფორმებული იყო. ხატავდა ქართულ ზღაპრებს, განსაკუთრებით დასამახსოვრებელია მისი დახატული „კომბლე“.

გამომცემლობაში თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხი სარედაქციო საბჭოზე წყდებოდა.

ჩაბრძანდებოდა ქალბატონი თეო პატარა სავარძელში (სულ ის მიკვირდა, ეს ტანსრული ქალი ან იმ სავარძელში

როგორ ეტეოდა, ან მაშინდელ პანაწინა „მოსკვიჩში“, გამომცემლობას რომ ემსახურებოდა, სხვათა შორის, ის თეოს სავარძელი კარგა ხას ინახებოდა ბუღალტერიაში, უკანასკნელ „გადასახლებამდე“). ჩაბრძანდებოდა კოხტად და იწყებოდა საბჭო. მობრძანდებოდნენ საბჭოს წევრები: გიორგი თავზიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ცქვიტი, მარიჯანი და კიდევ სხვები. აქამდე ეს მწერლები არ მენახა და გამომცემლობაში ვნახე პირველად.

სარედაქციო საბჭოებს ვახტანგ ჭელიძე განაგებდა. მე ახალბედა მუშაკი ვიყავი, მაგრამ ქვეშეცნეულად ვგრძნობდი მისი წყენის მიზეზს: როგორი წიგნის გამოცემა მიაჩნდა მას საჭიროდ.

თეო აბაშმაძის დროს წელიწადნახევარი ვიმუშავე გამომცემლობაში და ამ ხნის მანძილზე გავხდი რედაქტორი და შემდეგ განყოფილების გამგეც.

არასოდეს დამავიწყდება ჩემი პირველი შეხვედრა ანა ხახუტაშვილთან. 1952 წელი იყო. ქალბატონი ანას საბავშვო მოთხრობები გამოდიოდა. მე რედაქტორად დამნიშნეს.

უნივერსიტეტიდან გამოყოლილი ქართული ენის ცოდნა დიდად მიწყობდა ხელს ადვილად მეპოვა დედანში თუ ანაბეჭდში გაპარული შეცდომა. ბატონი ვარლამ თოფურია ქართული ენის სინტაქსს მასწავლიდა. განსაკუთრებით მიყვარდა ეს საგანი და დიდადაც ვიყავი განაფული მასში. ანა ხახუტაშვილის რედაქტორად რომ დამნიშნეს, ვიფიქრე, თუ ცოდნის გამოჩენაა, ახლა უნდა გამოვიჩინო-მეთქი. მივყევი და სულ გრამატიკის ნორმების მიხედვით გავასწორე ერთი მოთხრობა. ყურადღება არ მიმიქცევია მისი მსუბუ ძარღვიანი ქართულისათვის.

ქალბატონი ანა შეუძლოდ გახლდათ და შინ მივართვი ჩემი ნამუშევარი.

გავიდა რამდენიმე დღე და დამირეკა, მოვდივარ და მანდ დამხვდიო. აბა, რა ვიცოდი, რა მეხისტება მელოდა. მართლაც მობრძანდა მეორე დღეს, წამოვიდა ჩემსკენ და ჯოხი მომიღერა, შორიდან დამიძახა, ამ ჯოხით უნდა გცემო (ქალბატონ ანას ფეხი სტკიოდა და ჯოხით დადიოდა).


თურმე ჩემი ნამუშევარი არ მოსწონებია. მე, როგორც შემედლო, ვუმტკიცებდი ჩემს სისწორეს. ბოლოს თვითონაც დამიჯერა და მითხრა: ქალო, მართლა ჯოხით კი არ უნდა მეცემე, მოდი, შევრიგდეთ, ეგ გრამატიკა სწორია, მაგრამ ჩემს მოთხრობებთან ვერ მოდის, ეგრე ნუღარ გამისწორებო.

მას შემდეგ ვყოფილვარ ქალბატონ ანას რედაქტორი, მაგრამ ყოველ სიტყვას და ფრაზას ვწონიდი, ჩავწვდი მისი მსუსეი ქართულის მადლსა და ერთი სიტყვაც აღარ გამისწორებია. ამ სტრიქონებს რომ ვწერ, თვალწინ მიდგას ეს სანდომიანი, ჭალარა მანდილოსანი, მისი მოჭუტული თვალები, ლამაზი ღიმილი. ღილინი უყვარდა. თურმე სიკვდილსაც ღილინით შეხვედრია.

მიჭირს მასზე ლაპარაკი, მაგრამ არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ მოვიგონო ჩვენი ელიკო, ელიკო ციბაძე, დღიდან დაარსებისა ორმოცდარვა წელინადი რომ მოჰყვებოდა გამომცემლობას. მახსოვს მისი ახალგაზრდობაც და სიბერეც. მდივან-მემანქანედ დამიხვდა გამომცემლობაში, მაგრამ ეს ენერგიული ქალი მრავალ საქმეს უთავსებდა თავის პატარა თანამდებობას. ყოველ საქმეში ერეოდა და ხომ არ გგონიათ, ვინმეს უბრალოდ დაემოეჩილებოდა, ქედს მოუხრიდა ან ვინმეს დაჩაგრულად მიიჩნევდა და გვერდით არ ამოუდგებოდა. ცოტა არ იყოს, მეკრძალებოდა მისი და ვცდილობდი, არაფერი მეწყენინებინა. ჩემს თვალში ეს პატარა ქალი ბუმბერაზი ადამიანი იყო, ისე შინაურულად ელაპარაკებოდა იოსებ გრიშაშვილს, ცქვიტს, მარიჯანს, სოსო გაბაშვილს, ნინო ნაკაშიძეს, ნიკო კეცხოველს, რომელთაც მე სალმის მიცემასაც ძლივს ვუბედავდი. ელიკოს განსაკუთრებით ახლო მეგობრობა აკავშირებდა ვახტანგ ჭელიძის ოჯახთან, მაგრამ საქმეში მასაც არ უთმობდა. მახსოვს, ერთხელ ბატონ ვახტანგს რაღაცას უბეჭდავდა. ერთი სიტყვა არ მოეწონა და თავი მოიკლა, არა და არ დაუბეჭდა ისე, როგორც ბატონ ვახტანგს სურდა. რაღა თქმა უნდა, ბატონი ვახტანგი იძულებული გახდა და დაეთმო თავისი „ურჩი“ და „მკაცრი“ რეცენზენტისათვის. როცა ელიკოს ვიგონებ, აქვე მინდა გავიხსენო ჩვენი მოხუცი შიკრიკი პეტრე ბაბუნაშვილი. მოხუცებულობის გამო უჭირ-

და თავისი მოვალეობის შესრულება. ქართლელ ელიკოზე გაბრაზებული დიდ „საიდუმლოს“ გაგვანდობდა ხოლმე, არ დაუჯეროთ მაგას, ფარცხანაყანებელიაო, ფარცხანაყანებელობა თითქოს დიდი დანაშაული იყო.

იმ ხანებში დაარსდა უურნალი „დროშა“. მისი დაარსება, რაღა თქმა უნდა, დიდად სასიხარულო მოვლენა იყო, მაგრამ მე მწარედ მაგონდება მისი დაარსება, რადგან იქ სამუშაოდ გადავიდა ბატონი ვახტანგი. მალე მას მიჰყვა შალვა გვინჩიძეც. ბოლო ხანებში ჩეხური ენა შეისწავლა და ალოის იანასეფის „ძალლთავები“ თარგმნა.



ელენე გოგოლაშვილთან ერთად.  
 ფოტოსურათს უკანა მხარეს მინერილი აქვს ქეთო ქუჩუკაშვილის ლექსი:

„არც ძალიან წერნეტები  
 და არც დალეულები,  
 ჩინებული მთარგმნელები  
 „ვოლგადალეულები“.  
 ქ. ქუჩუკაშვილი  
 15/II 56 წ.

გამომცემლობაში ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა იყო ანიკო ნემსაძე. მაშინ ახალგაზრდა სიბერემდე შემორჩა გამომცემლობას და მისი ხსენება მრავალჯერ მომინეს. მთავარ ბუღალტრად ძალზე ჭკვიანი და სიმპათიური კაცი გოგი ჩილვინაძე მუშაობდა, ანიკო მისი მოადგილე იყო, გოგის წასვლის შემდეგ ანიკოს დარჩა მთავარი ბუღალტრობა. გამომცემლობისა, როგორც „ავი ენები“ ამბობდნენ, საკუ-

თარ ბედნიერებას ბალანსზე მუშაობა ამჯობინა და კარზე მომდგარი ბედი ხელიდან გაუშვა.

გამომცემლობაში მთავარი რედაქტორის ადგილი რომ განთავისუფლდა, ძალზე შეფიქრიანდა ქალბატონი თეო. არჩევდა კანდიდატურებს. ბოლოს არჩევანი ერთზე შეაჩერა და გვახარა, ძალზე კარგი და საქმიანი ადამიანი შევარჩიე, მალე თქვენც გაგაცნობთო.

ერთ მშვენიერ დღეს გამომცემლობაში მოვიდა შევგვრე-მანი, შავთვალა, გამზდარი კაცი. სახე სულ ულიმოდა და ჩვენც ლიმილით დავხვდით. ეს კაცი ამირან გაბეჭსკირია გახლდათ.

გამომცემლობას სულ რამდენიმე ოთახი ეკავა და ძალზე ვიწროდ ვისხედით. მე მთავარი რედაქტორის ოთახში ერთ კუთხეში ვიჯექი. ბატონი ამირანის მოსვლას დიდი ხალისი მოჰყვა. თვითონ ენაწყლიანი კაცი იყო. ახალ კაცთან მიმსვლელ-მომსვლელს რა გამოლევდა. მოდიოდნენ მეგობრები, ავტორები. მოდიოდნენ საქმეზედაც და უსაქმოდაც. მე ვიჯექი და ვუბდვერდი ახალ უფროსს. მაშინვე შემამჩნია და მითხრა: გატყობ, მუშაობაში ხელი გემლება, სანამ პირობები გაგვიუმჯობესდება, კი მერიდება, მაგრამ ჩემს მეგობრებს მიღების საათები უნდა დავუნესო, თორემ ვერც შენ გააკე-თებ რამეს და მეც უბრალოდ ვცდებიო.

საქმეც აეწყო ნელ-ნელა. 1953 წლის ახალი წელი დგებოდა. ქალბატონი თეო გამოგვემშვიდობა და მეტი აღარც მოსულა გამომცემლობაში, სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს. გული დამწყვიტა მისმა წასვლამ გამომცემლობიდან და რამდენიმე წლის შემდეგ ამქვეყნიდან. იგი ერთ ტრაგიულ შემთხვევას შეენირა ავტოკატასტროფაში თავის შესანიშნავ მეუღლესთან კონსტანტინე ჯაფარიძესთან ერთად.

ბატონ ამირანს დიდხანს არ უმუშავია მთავარ რედაქტორად, მალე გამომცემლობის დირექტორად გადაიყვანეს. დაიწყო მეტად რთული პერიოდი ჩვენს ცხოვრებაში. დაირხა სმები, გამომცემლობები უნდა გამსხვილდეს და „საბლიტგა-მი“ ცალკე აღარ იარსებებსო.

დადიოდა ბატონი ამირანი ზემდგომ ორგანოებში. ხან დაღონებული დაბრუნდებოდა, ხან დამშვიდებული. ახლაც

მაოცებს, ვის უნდა მოსვლოდა თავში ამგვარი უმგვანო აზრი – გაეუქმებინა საქართველოში ერთადერთი საბავშვო გამომცემლობა თხუთმეტი წლის არსებობის შემდეგ. ასე იყო თუ ისე, გამომცემლობა გადარჩა და ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ბატონ ამირანსა და ირაკლი აბაშიძეს.

მინდა ერთხელ კიდევ მოგაგონოთ: სახელგამის მხატვრული ლიტერატურის სექტორს რომ გამოეყო, „საბლიტგამი“ ალკა ცენტრალურ კომიტეტს ეკუთვნოდა, ომის შემდგომ 1957 წლის 1 დეკემბრამდე საქართველოს განათლების სამინისტროს გამგებლობაში შედიოდა, 1957 წლის დეკემბრიდან კი – კულტურის სამინისტროსი. 1952-1958 წლებში გაიზარდა გამომცემლობის მოცულობა, მოემატა საშტატო ერთეულები. 1951 წელს, როცა დავიწყე აქ მუშაობა, ცხრამეტი კაცი მუშაობდა.

როგორც ადრე მოგახსენეთ, სამუშაო ოთახები არ გვყოფნიდა და მეოთხე სართულზე ერთი ოთახი „მივიტაცეთ“. ეს სართული იმ დროს „ნიგნის პალატას“ ეჭირა: ჩვენს „მიტაცებულ“ ოთახში საკორექტურო განყოფილება იყო მოთავსებული. იმ დროს ისეთი ძლიერი საკორექტურო განყოფილება გვქონდა, მას შემდეგ დღემდე შევნატრით. კორექტორებად მუშაობდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები, ტოლს რომ არაფერში დაუდებდნენ რედაქტორებს და თვითოეული მათგანი შემდეგ დაწინაურდა კიდეც: ნათელა ლორთქიფანიძე, შუქურა დარახველიძე, მედეა მენაბდე, ეთერ ჯიქია, მერი ამაშუკელი, მადონა გორგაძე.

გვიანი შემოდგომა იყო. რამდენიმე წუთის დამთავრებული იყო შესვენება, კორექტორებს ესაუზმათ და დაბალ სმაზე ღილინებდნენ.

ნიგნის პალატის დირექტორი გამუდმებით იმ „მიტაცებულ“ ოთახს გვიჩიოდა და იმ დღესაც რაიკომილან კომისია მოეწვია. იმ ოთახის კარი რომ შეაღეს და კორექტორების ღილინი შემოესმათ, ისედაც ჩვენზე გაცეცხლებულმა „ნიგნის პალატის“ რედაქტორმა და კომისიის წევრმა (იგი რაიკომის მესამე მდივანი იყო) საქმე უფრო დაამძიმეს, არად ჩააგდეს, რომ ხუთი წუთი იყო გადაშორებული შესვენებას, საქმე

რაიკომამდე მიიტანეს.

უნდა გენახათ, როგორ შეწუხდა ბატონი ამირანი. დანა-შაული კი მიგვიძლოდა, მაგრამ ადამიანს ეგრე ადვილად ვერ გაიმეტებდა. მეორე დღეს რაიკომში გამოგვიძახეს. მე პარ-ტორგანიზაციის მდივანი ვიყავი. წავიყვანეთ „დამნაშავეე-ბიც“ ბოლიშის მოსახდელად. რაიკომის მდივანმა კარგად გა-მოარკვია საქმის ვითარება, თითოეულ მათგანს გამოჰკითხა ყველაფერი დაწვრილებით, ჩვენგანაც მოისმინა განმარტე-ბანი მათ საქმიანობაზე. ბატონი ამირანი დიდი იუმორის გრძნობით დაჯილდოებული კაცი იყო, და იქვე ჰყითხა მესა-მე მდივანს, ისე, კარგად მაინც თუ მღეროდნენო. შოთა დო-ლიძე (პირველი მდივანი) ძალზე ადამიანური კაცი იყო, ერ-თადერთი ნაკლი ის ჰქონდა, გრძელი თათბირების ჩატარება უყვარდა (ლმერთმა შეუნდოს, კარგა ხანია აღარ არის ამ-ქვეყნად). გული მოულბა, მასაც გაელიმა და მხოლოდ დაგ-ვტუქსა, დაუსჯელები გამოგვიშვა.

სამი დღის შემდეგ მთელი გამომცემლობის ლიკვიდა-ცია მოხდა: გაუქმდა საქართველოს სსრ განათლების სამი-ნისტროს საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გა-მომცემლობა „საბლიუტგამი“ და ხელახლა დაიწერა ბრძანება ამ გამომცემლობის კულტურის სამინისტროსთვის გადაცე-მის თაობაზე.

ბატონი ამირანის დირექტორად დანიშვნის შემდეგ გა-მომცემლობის მთავარი რედაქტორი ვახტანგ ბენუკელი გახ-და.

საბინაო პირობები დიდხანს ძალზე მძიმე გვქონდა. მხოლოდ დირექტორი იჯდა ცალკე ოთახში. სხვა ოთახებში ერთად ნახავდით რედაქტორს და კორექტორს, განყოფილე-ბის გამგეს. რამდენიმე კაცი ერთად ვისხედით მთავარი რე-დაქტორის ოთახში. ერთხანს ბატონმა ამირანმა მოსპო სტრუქტურული დანაყოფები. ყველანი რედაქტორებად გვაქცია და თითო კორექტორი მოგვამაგრა. ასე ვმუშაობ-დით ერთად წყვილ-წყვილად. მასხველს ჩემი მეწყვილე კო-რექტორი ლენა ფოფხაძე იყო. ისიც მაგონდება, ქალბატონი მარიამ ჭავჭანიძე ნაბეჭდით ხელში როგორ დასდევდა შუქუ-

რა დარახველიძეს და ეკითხებოდა: „შუქურა, აქ წერტილი უნდა?“ „უნდა, ქალბატონო მარო, უნდა“ – იყო პასუხი.

რა წიგნები გამოდიოდა? გამოდიოდა ქართველ მწერლათა: ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, ელიზბარ უბილავას, მარიჯანის, გიორგი შატერაშვილის, ელიზბარ ზედგინიძის, ლავრენტი ჭიჭინაძის, რევაზ მარგიანის, ნინო ნაკაშიძის და მრავალ სხვათა ნაწარმოებები.

გამოდიოდა უცხოელ მწერალთა თარგმანები. თარგმანებს ხშირად მცირე ხელფასიანობის გამო გამომცემლობის თანამშრომლები ასრულებნენ. ამაში დიდად უწყობდა ხელს გამომცემლობის დირექტორი. იგი ძალზე ჰუმანური კაცი იყო და იშვიათად თუ დასჯიდა ვინმეს. დაგვიანებულ ან გამომცემლობიდან გაპარულ თანამშრომელს თუ დაინახავდა, თავს მიაპრუნებდა, ვითომ ვერ დაინახა.

მისი სიკეთე მე საკუთარ თავზე გამოვცადე და მასთან ჩემი მეგობრობა ბატონი ამირანის სიკედილამდე გაგრძელდა.

აქ ერთი შემთხვევა მინდა მოვიგონო. ოთარ გვინჩიძემ, ამქვეყნიდან ადრიანად წასულმა ახალგაზრდა კაცმა, გამოსაცემად მოიტანა ირმა ფორსტენ-ტელმანის (ტელმანის ქალიშვილის) წიგნის „ერნსტ ტელმანის“ მისეული თარგმანი. რედაქტორად მე დამნიშნეს, რადგან გერმანულის მცოდნედ მთვლიდნენ. ბევრი ვიმუშავე, ბოლოს კორექტურაში (სტამბის მიზეზით) ასეთი შეცდომა გაიპარა: ნაცვლად „სოციალური უსამართლობისა“, „სოციალისტური უსამართლობა“. ეს შეცდომა მოხერხებულად გამოიყენეს და ზემდგომ ორგანოებამდე მივიდა. რაღა თქმა უნდა, რედაქტორის დასჯა მოითხოვეს, მისი განთავისუფლებაც კი. ბატონმა ამირანმა იქ საჩვენებლად ბრძანებით



შვილთან გურამთან ერთად

საყვედური გამომიცხადა, მაგრამ მე არ გამაგებინა და მხოლოდ მაშინ მითხრა, სხვა შემთხვევის გამო მადლობა რომ გამომიცხადა და საყვედურიც მომისნა.

სათარგმნად რა შეგვერჩია, ამაზე ზემდგომ ორგანოებს უნდა დავკითხებოდით. დიდ მოდაში იყო „სოციალისტური“ ქვეყნების ლიტერატურა და ამას ჩემდა სამწუხაროდ და სანაებლად „ხარკი“ მეც მოვუხადე.

ჩვენს ოთახში შემოდიოდნენ მწერლები. ვისმენდით მათ სჯა-ბასს ლიტერატურაზე, ზოგჯერ ჩვენც ჩავებმებოდით ხოლმე კამათში.

ერთ დღეს ჩვენს ოთახში მაღალი, პრიალა შავთმიანი ყმაწვილი შემოვიდა. მე პირველად ვხედავდი, სხვა დროს არასოდეს მენახა, მის პოეზიას კი კარგად ვიცნობდი.

ვახტანგმა გამაცნო: ეს პოეტი ხუტა ბერულავააო. მერე რამდენიმე ლექსიც წაგვიკითხა.

შემდეგ ხშირად შემოდიოდა ჩვენთან, იქვე, ჩვენივე შენობაში „მნათობის“ რედაქციაში დაიწყო მუშაობა.

გამოჩნდებოდა თუ არა ხუტა, ჩვენი მთავარი ბუღალტერი ანიკო ნემსაძეც იქვე გაჩნდებოდა, უსმენდა და ზოგჯერ თავისი ლექსის წაკითხვასაც კი გაბედავდა.

ახლაც ყურებში მიდგას მისი ათროთოლებული ხმა:

„მე შენში მხოლოდ სულს ვეძებ, თორემ

ხორცი ბაზარშიც კი იყიდება“.

ხუტა იცინოდა და ურჩევდა: ბუღალტერია მოადგილეს გადააბარე, შენ კი ლექსები წერეო.

მაშინ არა, მაგრამ მრავალი წლის შემდეგ მინდია არაბულის დიდი გულისხმევით და მურმან ლებანიძის მხარდაჭერით ლექსების მშვენიერი პატარა კრებული – „და ოცნებაში გავჭალარავდი“ გამოაქვეყნა ისე, რომ ბუღალტერია არავისთვის გადაუბარებია. ერთ ლექსში იგი წერდა: „მეც შემაქვს წვლილი მცირედი პატარა წაკადულშია“. მან დიდხანს იღვანა და მცირედი კი არა, დიდი წვლილი შეიტანა საყმანვილო წიგნის ზრდა-განვითარებაში. მისი სული სულთა სამყაროში გადასახლდა, ჩვენ კი დაგვიტოვა ანდერძად: „გახსოვდეთ მარად თვისტომი, გახსოვდეთ ადამიანი“.

მალე დავუახლოვდი ხუტას. ერთხელ „მნათობში“ ჩემს თარგმანზე დასაბჭდად მიტანილი რეცენზიაც კი წამაკითხა (რეცენზია დადებითი იყო, მაგრამ მისი ჩვენება წინასწარ აკ-რძალული იყო).

1958 წლის გაზაფხული იყო. ბატონი ამირანი „საბჭოთა მწერლის“ (ზემდგომ „მერანი“) დირექტორად გადაიყვანეს.

1958 წლის 25 მაისს „საბლიტგამის“ დირექტორად ხუტა ბერულავა დანიშნეს.

ამ დროიდან იწყება გამომცემლობის აღმავლობა. ერთი ორად გაიზარდა შტატები. გამომცემლობას შეემატნენ ადამიანები, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით მის საქმიანობაში. უპირველეს ყოვლისა, მოხსენიების ღირსნი არიან მერი ჭიაბრიშვილი, ჯენეტო ჭანტურაია, ლია ერისთავი, ანა ლვინიაშვილი, გურამ მეტრეველი, ლილი გოგოხია, მერი ფანჯავიძე, მერი ამაშუკელი, ლეილა ცაგარეიშვილი, მილიცა აბაშიძე, ლამარა სულთანიშვილი, მიშა კუხალაშვილი, ოთარ პირველი, ციალა ცერცვაძე, იაგო ვარდოსანიძე, ბეჟან ასათიანი, ლავრენტი ჭიჭინაძე, ბეჟან ასათიანი, გიორგი კაჭახიძე, აკაკი ბრეგაძე, რეზო ორჯონიშვილე, ასმათ კიკვიძე, ნათელა ჯოლოსავა, ეთერ ჯიქია, მანანა ზუბადალაშვილი, ლოლა ქადაგიშვილი, ელიზბარ უბილავა, მარინე სოხაძე, ლია ქვარცხავა, ნელი შველიძე, ჯიბო ყავლაშვილი, შოთა დოლიძე, გოგი დონაძე, ოთარ ჯიშკარიანი, რამინ მელაძე, ლეილა ბასილაია, თამარ შინდაგორიძე, ეთერ მახათელაშვილი, დიმიტრი ჯაბუა, მედეა მთვრალაშვილი, გლებ დიკი, მაყვალა ჭახრაკია, ლილი გეგელია, ქეთევან ნადირაძე, რეზო ინანიშვილი.

ამათგან ცოცხლები ალარ არიან ლავრენტი ჭიჭინაძე, გიორგი კაჭახიძე, ელიზბარ უბილავა, ოთარ ჯიშკარიანი, რამინ მელაძე, თამარ შინდაგორიძე, დიმიტრი ჯაბუა, ანა ლვინიაშვილი, გურამ მეტრეველი, მერი ამაშუკელი, ლეილა ცაგარეიშვილი, გოგი დონაძე, ოთარ პირველი, იაგო ვარდოსანიძე, ლეილა ბასილაია, გლებ დიკი.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროთ იმქვეყნად.

რეზო ინანიშვილი გამომცემლობის გონი და სინდისი იყო. იგი სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ლიტე-

რატურის გამოცემას ედგა სათავეში. მუდამ იმაზე ზრუნავდა წიგნის შინაარსისათვის შესაფერისი ფორმა მიეცა.

ნაადრევად გაშორდა გამომცემლობას უნიჭიერესი რედაქტორი, ასევე სკოლამდელი ლიტერატურის დიდი მოამაგე ქეთევან ნადირაძე. მან გადაამუშავა ქართული ხალხური ზღაპარი „წიქარა“, რითაც მამაშვილობის სიყვარულის დიდ გრძნობას ფაქიზად მოეკიდა. დიდად მოიწონეს მაშინ მის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი, ეს ზღაპარი დღეს ქეთევან ნადირაძის რედაქციით იპეჭდება.

ქეთევანი უბადლო მოქართულე და მთარგმნელი იყო. თარგმანებში გამოირჩევა მის მიერ შესრულებული ვ.იანის „ჩინგის ხანი“.

უკურნებელი სენით შეპყრობილს ზრუნვა არ მოაკლო გამომცემლობამ. საკუთარი ხარჯით გაგზავნა მოსკოვს სამკურნალოდ. მას მეგზურობას საბავშვო ლიტერატურის ცნობილი კრიტიკოსი ანა ღვინიაშვილი უწევდა.

ანა კეთილშობილი, მშრომელი ადამიანი იყო. უსაქმოდ ერთ წუთს არ გაჩერდებოდა. მან ხელით გადაწერა „როსტომიანი“. წერდა და წერდა, მეც არ ვუშლიდი, თუმცა მაოცებდა, ვერ ვხვდებოდი, რისთვის სჭირდებოდა.

არ შემიძლია არ გავიხსენო დიდი პოლიგრაფისტი, უკეთილშობილესი კაცი გოგი დონაძე. იგი ჩვენთან საწარმოო განყოფილების გამგედ მუშაობდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, სწორედ მისი დამსახურებაა ორ წელიწადში „ჩვენი საუნჯის“ ოცტომეულის გამოშვება.

ერთხელ გოგისთან პირადი სათხოვარი გამიჩნდა და მან „ქრთამი“ მომთხოვა. სახტად დავრჩი! და იცით, ეს „ქრთამი“ რა იყო? ხვალ დილისთვის „ჩვენი საუნჯის“ ათითაბახი წაკითხული მომიტანეო.

ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანების ხსენება ბევრჯერ მომიჩნევს. მაგრამ მათ ღვანწლს ჩემი თვალთახედვით აქაც შევეცდები.

ჩემი ჭირისა და ლხინის მოზიარეა მერი ჭიაბრიშვილი. მისი სითბო და გულისყური არასოდეს მომკლებია. მისი ოჯახი ყოველთვის იყო ჩემი დასაყრდენი და ქომაგი. ჩვენს

სისტემაში არ მეგულება მასზე მცოდნე და საქმიანი ეკონომისტი. მას ერთი დღეს არ უცხოვრია გამომცემლობის გარეშე. პირადული შეუწირავს საერთო საქმისათვის. გამომცემლობის გასაჭირო მისი პირადი გასაჭირიცაა. იგი დღესაც საოცარია, უშურველი ენერგიით შრომობს. შრომობს, მაგრამ არასოდეს ისვენებს. ღმერთმა ნუ მოაკლოს ეს ენერგია.



**ნონა კალანდარიშვილი, მიხეილ ქვლივიძე,  
ბელა შალვაშვილი**

ჯენეტო ჭანტურაია ჯერ რედაქტორად მოვიდა გამომცემლობაში, მოვიდა იმ დროს, როცა „ჩვენი საუნჯის“ ოცტომეული გამოდიოდა. ნიჭა და ენერგიას არ იშურებდა, დიდი წვლილი მოუძღვის მის გამოცემაში, შემდგომ მრავალი წელი იმუშავა საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა რედაქციის გამგედ, დირექტორის მოადგილედ, საბავშვო სახლის დირექტორად. დაუკინებარია მის მიერ მოწყობილი შესანიშნავი სალამოები, შეხვედრები მწერლებთან „ნაკადულის“ საგუშაგოების ხელმძღვანელებთან. იგი მეტ დახმარებას და თანადგომას იმსახურებდა, საიმედო ბურჯად ედგა გამომცემლობას ჭირსა და ლხინში, მაგრამ ერთ დღეს, სრულიად დაუმსახურებლად, მოუხდა წასვლა გამომცემლობიან, რაც მის მეგობრებს დიდად გვენანება.

ასევე დასანანი იყო გამომცემლობიდან ერთი წყნარი და უანგარო მუშაკის ლამარა სულთანიშვილის წასვლა.

1958 წლიდან მეტი გასაქანი მიეცა მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის გამოცემას. ცალკე ჩამოყალიბდა მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის რედაქცია, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობდა ვალია ძიძიგური.

გამომცემლობის დაკვეთით იწერბოდა და ითარგმნებოდა წიგნები. აკადემიკოსმა გიორგი მელიქიშვილმა ამ რედაქციის დაკვეთით დაწერა „როგორ ამტყველდნენ ლურსმნული წარწერები“, კ. გრიგოლიამ „რას გვიამბობს „ქართლის ცხოვრება“. შეიქმნა მრავალი სერია და ბიბლიოთეკა. მათ შორის აღსანიშნავია „სათავგადასავლო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“, საფუძველი ჩაეყარა „საბავშვო ენციკლოპედიის“ თორმეტტომეულის გამოცემას, რომელსაც აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი ხელმძღვანელობდა და შემდგომ დიდი ამაგი დასდო გამომცემლობის უფროსმა რედაქტორმა მაყვალა ჭახრაკიამ.

მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის რედაქცია ნიჭიერი კადრების აღზრდის ნამდვილი სამჭედლო იყო. აქ აიდგეს ფეხი და თავიანთი საქმიანობით თავი გამოიჩინეს მარინე სოხაძემ, ნორა ქართველიშვილმა, ნიმა ანთელავამ, ნათელა ჯოლოხავამ, ლეილა ტყეშელაშვილმა.

თავისი ნიჭი და გამოცდილება ამ რედაქციაში მოსვლის დღიდანვე გამოამჟღავნა ლილი გოგოხიამ. მის მიერ რედაქტირებულ წიგნებზე იზრდებოდნენ და მის გამოცდიალებას იზიარებდნენ ახალგაზრდა რედაქტორები. ვალია ძიძიგურის სხვა სამუშაოზე გადასვლის შემდეგ იგი ჩაუდგა რედაქციას სათავეში. გარდა იმისა, რომ ხელმძღვანელობდა მრავალ სერიას და ბიბლიოთეკას, 1980 წლიდან საკუთარი ინიციატივით დააარსა და უანგაროდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე სცემდა ალმანახ „მთიებს“, რომელიც ნორჩ მკითხველს აცნობდა მიღწევებს მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში. ლილი გოგოხია დღესაც უძღვება ამ რედაქციას და მრავალი საინტერესო წამოწყების ავტორია.

ერთ დღეს ცნობილმა პოეტმა გიორგი კაჭახიძემ ფან-

ჯრიდან გადამახედა და დამანახა ახალგაზრდა კაცი ბეჭდვითი სიტყვის კომპინატის ეზოში ქალალდის რულონებს რომ დააგორებდა. იგი უკვე მთარგმნელი, უნივერსიტეტდამთავრებული აკაკი ბრეგაძე იყო. ბატონ ხუტას მოვახსენე მისი გასაჭირი და მანაც გამომცემლობაში მოიყვანა სამუშაოდ. აკაკი ბრეგაძემ გამომშვებობიდან დაიწყო მუშაობა, დიდი ამაგი დასდო „საბავშვო ენციკლოპედიის“ პირველი ტომების გამოშვებას, შემდეგ სარედაქციო სამუშაოზე გადაიყვანეს. მისი გულმოდგინებით მრავალი წამოწყება განხორციელდა, მათ შორის აღსანიშნავია „ქართული პოეზიის“ ოცდაათტომეული, რასაც უნარიანად ხელმძღვანელობს დღესაც. მის რედაქციაში მუშაობდნენ ნათელა ლორთქიფანიძე და ცისანა ჩხაიძე, ნიჭიერი და საქმის ერთგული მთარგმნელები და რედაქტორები. ისინი ნაადრევად წავიდნენ ამქვეყნიდან და თან გაიყოლეს ჩვენი დიდი სიყვარული. მათ საქმიანობაზე მეტყველებენ ის წიგნები, მათი გვარი რომ აწერია.

სიცოცხლედარჩენილთაგან მაყვალა კალანდარიშვილი მნარედ იგონებს იმ დროს, როცა თავდაუზოგავი შრომით დღესა და რამეს ათენებდა მასზე მინდობილ წიგნებზე შრომაში.

ამჟამად რედაქციის საქმიანობაში დიდი წვლილი შეაქვთ მრავალმხრივ განვითარებულ დიდად ნიჭიერ რედაქტორს ნანა გოგოძეს და სახელგანთქმულ პოეტს ლიდა სტვილიას.

ამ პერიოდში შემოემატენენ გამომცემლობას შუქურა დარახველიძე, ლოლა ქადაგიშვილი, მანანა ზუბადალაშვილი, ლია ერისთავი, მიმოზა ახვლედიანი, ჯენეტ ბაჯელიძე, მარინე სოხაძე, მედეა მთვრალაშვილი, ნათელა გუჯაბიძე, მერი ამაშუკელი, ნათელა ჯოლოხავა, ციალა ცერცვაძე, ას-მათ კიკვიძე, მაყვალა ომიაძე. მათ წლების განმავლობაში ზიდეს გამომცემლობის ტვირთი და თუკი რამ საუკეთესო შექმნილა და დღესაც ვამაყობთ ჩვენს მიერ გამოცემული წიგნებით, ამათი დამსახურებაა.

ამ ადამიანების გახსენება, ალბათ, კიდევ მომიწევს, მაგრამ ახლა მინდა მოვიგონო, რა გაკეთდა იმ დროს.

1959 წლის 10 დეკემბერს „საბლიუტგამს“ მისი დირექტორის ხუტა ბერულავას ინიციატივით „ნაკადული“ ენოდა,

მარიამ დემურიასა და ნინო ნაკაშიძის უურნალის სახელი.

გამომცემლობამ მოიპოვა ფურცელაძის ქუჩაზე მდებარე პატარა სტამბა (№2), რომელსაც იმ დროს ცნობილი პოლიგრაფისტი და შესანიშნავი ადამიანი, შემდგომში მცირე ხნით „ნაკადულის“ დირექტორის მოადგილე საწარმოო დარგში ნოე კაკუშაძე ხელმძღვანელობდა. არასოდეს დამავიწყდება მისი კარგი კაცობა, მისი სუფრისკაცობა და დიდებული სიმღერა. მისი და ბატონი ხუტას თავგამოდებით ერთ ლამეში გამოგვიცია წიგნი სპორტულ თემაზე, როცა თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის პირველობა მოიპოვა.

1965 წელს ბატონი ხუტას დიდი მონდომებით ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე გადმოგვეცა შენობა, რომელშიც საბავშვო წიგნის სახლი დაარსდა. იგი სწავლობდა ნორჩ მკითხველთა ინტერესებს, პროპაგანდას უზევდა ქართულ საბავშვო წიგნს, განამტკიცებდა კავშირს გამომცემლობასა და მკითხველს შეორის (ამას ემსახურებოდა „საბავშვო წიგნის საგუშაგოები“ საქართველოს რაიონებში), ეხმარებოდა სკოლებს საბავშვო წიგნის კითხვის ორგანიზაციაში.. ალჭურვილი იყო სათანადო აპარატურით, ლაბორატორიით და დგამავეჯით. გააჩნდა მდიდარი ბიბლიოთეკა. გამომცემლობა ყოველწლიურად მოზრდილ თანხას გამოყოფდა მისი ბიბლიოთეკის შესავსებად, მაგრამ 1991 წლიდან მოყოლებული ეს პატარა სამეცნიერო კერა გაჩანაგდა. თანამშრომლები გამომცემლობის შენობაში გადმოიყვანეს, ავეჯი მიიფანტ-მოიფანტა, წიგნები გაიყიდა და დაიფანტა. შენობა რამდენჯერმე გაქირავდა ისე, რომ მისი შემოსავლის სიკეთე გამომცემლობის არც ერთ მუშაქს არ უგრძვნია და ლმერთმა უწყის, ვინ ითბობდა ხელს ამ წვითა და დაგვით მოპოვებული შენობიდან მიღებული შემოსავლით. დასანანია კეთილად დაწყებული საქმის ასე ბოროტად დაგვირგვინება.

რა წიგნები გამოდიოდა იმ დროს, რასაც ჩვენი ცხოვრების ოქროს ხანას ვუწოდებთ?

გვირგვინი მაშინდელი ჩვენი შემოქმედებისა „ჩვენი საუნჯის“ ოცტომეულია, რომლის განხორციელებასაც ღვანლი დასდო თვით ბატონმა ხუტამ, გოგი დონაძემ, მისმა რე-

დაქტორებმა კორნელი კეკელიძემ, ალექსანდრე ბარამიძემ, სოლომონ ყუბანევილმა, ჯენეფრე ჭანტურაიამ, ლეილა ცაგარევილმა, მილიცა აბაშიძემ და სხვებმა, ღამეები უთენებია მის კითხვაში ამ სტრიქონების ავტორსაც.

1963 წლიდან იწყება „საბავშვო ენციკლოპედიის“ თორმეტტომეულის გამოცემა. იგი ძირითადად ეყრდნობოდა რუსულ გამოცემას, მაგრამ შევსებული იყო ქართული მასალებით. მისი გარეკანის მხატვრობა ეკუთვნოდა დავით დონდუას და ნოდარ მალაზონიას. ტომეულების საერთო ხელმძღვანელი გახლდათ აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი. ტომების რედაქციასა და თარგმანებზე მუშაობდნენ მაყვალა ჭახრაკია, მილიცა აბაშიძე, ლეილა ცაგარევილი, ეთერ ჯიქია, ნათელა გუჯაბიძე, ლეილა ტყეშელაშვილი, ლილი გეგელია.



გერმანელ კოლეგასთან ერთად

ხალხური ზეპირსიტყვიერების გამოცემას არასოდეს მიქცევია ისეთი ყურადღება, როგორც იმ წლებში.

1963-1965 წლებში დასრულდა „ხალხური სიბრძნის“ ხუთტომეულის გამოცემა, რომელშიც თავმოყრილია ქართული ხალხური ზღაპრების, ეპოსის, პოეზიის, ანდაზებისა და გამოცანების რჩეული ნიმუშები.

რა ჩამოთვლის იმ სერიებსა და ბიბლიოთეკებს, იმ წლებში რომ გამოდიოდა. 1962 წელს სკოლამდელი და უმ-

ცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის დაარსდა სერია „იყო და არა იყო რა“. ამ სერიით გამოდიოდა ფერადი ნახატებით უხვად დასურათებული „ქართული ხალხური ზღაპრები“ და ავსებდა იმ ხარვეზს, რაც მცირე ასაკის ბავშვთა ლიტერატურის გამოცემაში გვქონდა.

1958 წელს ჩაეყარა საფუძველი „სათავგადასავლო ბიბლიოთეკის“ გამოცემას, იგი დღესაც გრძელდება და მსოფლიო ლიტერატურის მრავალი შედევრი გამოვიდა. დღესაც გული მწყდება, ეს ჩვენი წამოწყება მრავალმა კერძო გამოშცემლობამ რომ მიიტაცა უბოდიშოდ, ჩვენი ღვანლის გაუთვალისწინებლად და უნებართვოდ.

1962 წელს საფუძველი ჩაეყარა „მსოფლიო პოეზიის ბიბლიოთეკის“ გამოცემას. მისი მიზანი იყო ჩვენი პლანეტის ყველა საუკუნის უდიდესი პოეტების ლირიკული შედევრების გაცნობა ახალგაზრდობისათვის. პირველი წიგნი ამ სერიისა იყო „ელადის მუზა“ – ცნობილი ბერძენი პოეტების ლექსები.

1960 წელს სპორტის მოყვარულთათვის შეიქმნა სერია „გულშემატკივრის თანამგზავრი“. იგი ახალგაზრდობას აცნობდა სპორტის სახეობებს, გამოჩენილ სპორტსმენებს, მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებს.

იგი თარგმნა მაშინ ახალგაზრდა მთარგმნელმა რომან მიმინდვილმა, რედაქტორი იყო პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი.

წელი ისე არ გავიდოდა, რაიმე ახალი სერია არ წამოგვეწყო.

1961 წლიდან „მოგზაურობის მოყვარულთა ბიბლიოთეკის სერიით“ სამუალო და უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის გამოდიოდა წიგნები გამოჩენილ მკვლევარებსა და მოგზაურებზე, გეოგრაფიულ აღმოჩენებზე, მეცნიერულ ექსპედიციებზე, აღპინისტურ ასვლებზე.

ამავე წელს დაარსდა სერიები „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“, „ნორჩი თაობის მოამაგენი“, „თანამედროვე ქართული პოეზიის ბიბლიოთეკა“. ამ სერიის პირველ წიგნად გამოვიდა გალაკტიონის „ასი ლექსი“, შემდეგ მას მოჰყვა გ. ლე-

ონიძის, ს. ჩიქოვანის, ა. მირცხულავას, ირ. აბაშიძის, გრ. აბაშიძის, ალ. გომიაშვილის, ვ. გაბესკირიას და სხვათა ლექსები.

ცალკეულ გამოცემათაგან აღსანიშნავია მაყვალა მრევ-ლიშვილის საბავშვო ლექსები, დასურათებული შალვა ცხადა-ძის მიერ, ჰანს ქრისტიან ანდერსენის „გედების“ თედო სახო-კიასეული თარგმანი, კრებული „იზარდე, მწვანე ჯეჯილი“, მიხეილ შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“ და „ბედი კაცისა“.

მოძლიერებულ გამომცემლობას შესაძლებლობა მიეცა ცნობილ ავტორთათვის წიგნები დაეკვეთა. იმ დროის საუკე-თესო გამოცემებად მიმართია აკადემიკოს გიორგი მელიქიშ-ვილის „როგორ ამეტყველდნენ ლურსმნული წარწერები“ და გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“.

ცოტა უფრო ვრცლად შევჩერდები გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის“ შექმნის ისტორიაზე.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „თანამედროვე ქართუ-ლი პოეზიის ბიბლიოთეკის“ სერიის პირველ წიგნად გაღაკ-ტიონის „ასი ლექსი“ გამოვიდა. მცირე შესავალი წერილი ამ გამოცემისათვის თვით ავტორებს უნდა დაეწერათ. ჯერი გი-ორგი ლეონიძის ლექსების გამოცემაზე მიდგა და დირექტო-რის დავალებით მე და ქეთევანა ქუჩუკაშვილმა (მე მთავარი რედაქტორი გახლდით, ქეთო – ლექსების რედაქტორი) ბა-ტონ გოგლას ვთხოვეთ, თვითონვე დაეწერა ამ წიგნისთვის წინასიტყვაობა. მას უარი არ უთქვამს, შესდგომია წერას, მაგრამ ისე გაუტაცნია თავისი ბავშვობის მოგონებებს, რამ-დენიმე თვეს წერდა იმ მშვენიერ ნოველებს და სულ გადა-ვიწყებია ჩვენი სათხოვარი. როცა შევახსენებდით, გვპასუ-ხობდა: „დამაცა, ქალო, დამაცა, ვწერო“. ამ წიგნის წინასიტ-ყვაობაში წერს კიდეც: „ნეტავ ჩემს შემკვეთს ათი წლის უნა-ხავი ძმა მოუვიდეს, ან ზღვით ან ხმელით, ქალალდმა დაუგ-ვიანოს, რომ ნება-ნება ვწეროო“. რომ გავიგეთ დაგვიანების მიზეზი, მეტი აღარ შეგვიწუხებია ბატონი გიორგი, მის ლექ-სებს წინასიტყვაობა ჩვენვე დავუწერეთ და დაველოდეთ მის მოსკლას.

1961 წლის გვიანი შემოდგომა იყო. ერთ დღეს დაგვი-რეკა, ეს წიგნი თქვენ დამაწერინეთ და პირველად თქვენ უნ-

და წაგიკითხოთო. დიდხანს გვალოდინა, საღამო ხანს მოვი-და ამაყი, ზვიადი, ლამაზი, ცისფერი თვალები კეთილად უცინოდა.

მთელი გამომცემლობა და რამდენიმე ავტორიც მოუთ-მენლად ველოდით. ბატონი ხუტას კაბინეტი ველარ იტევდა მსურველებს და მაშინდელმა პოლიგრაფიისა და გამომცემ-ლობის სამმართველოს უფროსმა ბატონმა ბორის ნანიტაშ-ვილმა მიგვიწვია თავის კაბინეტში.

კითხულობდა ბატონი გოგლა თავისი ბუხუნა ხმით, დროდადრო შეისვენებდა, სულს მოითქვამდა.

რომ დავიშალეთ, თენდებოდა, ქალაქი უკვე იღვიძებდა. აღარავის ახსოვდა, თუ სახლში ვინმე ელოდებოდა. დედა-ჩემს როგორლაც კი შევატყობინე, მაგრამ ის ღამე ქუჩაში გა-ეთენებინა.

ბატონი კონსტანტინეს დროს იშვიათად მოდიოდა ხოლმე გამომცემლობაში გიორგი ლეონიძე.

ერთ დღეს მოპრძანდა, დირექტორი არ დაუხვდა და ჩემთან შემოვიდა. მითხრა: „ქალო, ფიროსმანზე პოემა მაქეს, მინდა დავბეჭდო, თუ დამიბეჭდავთო“. რაღა თქმა უნდა, შევპირდი ისე, ბატონ კონსტანტინეს პასუხს არ დავლოდებივარ, დაგირეკავთ-მეთქი. ეს იყო მისი უკანასკნელი მოს-ვლა გამომცემლობაში. უკანასკნელად ვნახე ბატონი გიორ-გი. გარეგნულად არაფერი ეტყობოდა. რა ვიცოდი მაშინ, თუ მისი დღეები დათვლილი იყო.

სწორედ იმ დღეს, რა დროიდანაც ვითვლით საბავშვო გამომცემლობის არსებობას, აღინიშნა მისი ოცდახუთი წლისთავის იუბილე. იყო ზეიმი, სათქმელიც ბევრი გვქონდა. 1963 წლის 15 აპრილი იდგა. ჩვენს სიხარულს, რაღა თქმა უნ-და, მწერლებიც იზიარებდნენ. რა დამავიწყებს კარლო კალა-ბის მახვილსიტყვაობას საზეიმო სუფრასთან, ჯანსულ ჩარ-კვიანის მშვენიერ ლექსს პიონერთა სასახლეში:

„ვინ გაჰყო ქვეყნად ჩვენი აპრილი,

ჩვენო სხივონ და ჩვენო ყმანვილო,

ამქვეყნად კეთილს რასაც ვაპირებ,

მინდა, რომ ყველა გაგინაწილო

.....

შენა ხარ დილა,  
შენ ხარ ჯეჯილი,  
შენ ხარ საუნჯე,  
შენ ხარ ვენახი,,

გაბრიელ ჯაბუშანურის მოლოცვას:  
„შენ უბრალო წყალი არ ხარ,  
შენ ხარ ცოდნის წმინდა წყარო,  
ხარ სიკეთის ნაკადული,  
მოჰქუმ, განა მოწანწკარობ“.

რამდენი სასიხარულო დღე გვახსოვს. მათ შორის დაუ-  
ვიწყარია ცნობილი მწერლის, ნინო ნაკაშიძის დაბადების  
ოთხმოცდათი წლისთავი, რომელიც რუსთაველის თეატრის  
მცირე დარბაზში გადავიხადეთ. ზღვა ხალხი ესალმებოდა  
დაუძლურებულ მწერალს, ხელში აყვანილი რომ შევიყვანეთ  
დარბაზში.

იჯდა ქალბატონი ნინო და უსმენდა მის სადიდებლად  
ნარმოთქმულ სიტყვებს, დრო და დრო მის გვერდით მჯდომ  
გიორგი ლეონიძეს მიუტრიალდებოდა და საქმიანად ჰკით-  
ხავდა: „გიორგი, წერ რამეს?“

ბატონი გიორგიც კეთილი ლიმი-  
ლით უპასუხებდა მის რამდენ-  
ჯერმე დასმულ კითხვას: „ჰო,  
ვწერ, ვწერ!..“

როგორც მოგეხსენებათ,  
ორიგინალურ ლიტერატურას,  
გარდა ქართველი კლასიკოსები-  
სა, ცენზორი კითხულობდა. ცენ-  
ზორთაგან მინდა ერთი ჭკვიანი  
და საქმიანი ქალბატონი მარო  
არუცევა-აპრამია მოვიგონო. იგი  
მკაცრ ადამიანად მიგვაჩნდა და  
შეკამათებას, აბა, ვინ გაუბედავ-  
და. დიდ გმირად მიმაჩნდა ჩვენი სახელოვანი მწერალი პოლიო  
აპრამია, რომელიც კაბინეტში ეჯდა და სიყვარულზე ესაუბ-



რებოდა „მკაცრ“ ქალს. მალე მოინადირა მისი გული და მისი მეუღლე გახდა.

როცა ჩვენი საყვარელი მარო ახლოს გავიცანი, მეცინებოდა მაშინდელ ჩემს შიშზე. ასეთი რბილი და ადამიანური არსება ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია.

დღიდან დაარსებისა 1957 წლის 1 დეკემბრამდე „საბლიტგამი“ განათლების სამინისტროს გამგებლობაში შედიოდა. 1957 წლამდე კულტურის სამინისტროს დაექვემდებარა. 1963 წლიდან ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის გამომცემლობა გახდა. მინდა მოვიგონო ის დრო და ადამიანები, გამსახურების დაარსების დღიდან რომ შემორჩა ჩემს მეხსიერებას. პირველი თავმჯდომარე ბატონი მამია მეგრელიშვილი გახლდათ. ძველი პარტიული მუშავი უნარიანად შეუდგა ახალი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელშიც გაერთიანდნენ სტამბები, გამომცემლობები, საქწიგნი, მომარაგება. დაქანონისტული სისტემა ერთ მთლიანობად იქცა. მამია მეგრელიშვილის კეთილ საქმეთა გასახსენებლად მარტო მისი თაოსნობით გამოცემული მინიატურული „ვეფხისტყაოსანიც“ კი საკმარისია. სტამბები ათენებდა და აღამებდა, ზრუნვას არ აკლებდა. ამიტომაა, ეს წიგნი ჩვენს სისტემაში გამოცემულ წიგნთაგან ერთ-ერთ საუკეთესოდ რომ ითვლება.

ადრე წავიდა ბატონი მამია, ეს უკეთილშობილესი კაცი ამქვეყნიდან.

კეთილად მინდა მოვიგონო ბატონი გიორგი ხუციშვილი, გამსახურების თავმჯდომარე და კარგი პოლიგრაფიისტი.

გამომცემლობის გეგმებს ჯერ გამსახურები განიხილავდნენ, შემდეგ კი საკავშირო გამსახურები ამტკიცებდნენ.

მახსოვს, გეგმა რომ მივიტანე განსახილველად, ბატონ გიორგის კარლო კობერიძის წიგნის სათაური „წინ, ზარმაცო!“ არ მოეწონა და შენიშვნა მომცა: «Что за заглавие – вперед, лентай!» გამოაცვლევინეო. არ ვიცი, მართლა თუ ხუმრობით, „მოხსნითაც“ კი დამემუქრა. რაღა თქმა უნდა, კარლო კობერიძისათვის არც გამიმხელია ეს კურიოზი, წიგნი ამ სათაურით გამოვიდა. ბატონ გიორგის კი აღარ გახსენებია ეს და არც ჩემს „მოსახსნელად“ მოუცლია.

ძალიან განიცადა გამსახკომიდან წასვლა. „მთავლითის“ უფროსად რომ გადაიყვანეს, მოვინახულე. მაინც მხნედიყო. მიამბო, პოლიგრაფიისათვის რა მანქანები შეიძინა, როგორ უნდოდა პოლიგრაფიის აღორძინება. გულს არ იტეხდა: «Я первый красный Карандаш Республики!»

ბატონი გიორგი თავამაიშვილი სულ სხვა სფეროდან მოვიდა გამსახკომში, მაგრამ გულმოდგინედ შეუდგა საქმის შესწავლას და ისე შეიყვარა ჩვენი სისტემა, მახსოვს, ზოგჯერ სამართლიანად მოცემულ შენიშვნებსაც არ იღებდა და თავგამოდებით იცავდა გამსახკომს ზემდგომ ორგანოებში.

გამომცემლობებისათვის საუკეთესო პერიოდი გახლდათ ალექსანდრე ჩიკვაიძის „თავმჯდომარეობის“ ხანა. ერთნაირად ზრუნავდა ყველა გამომცემლობაზე: თუ რომელიმე გამომცემლობა გეგმას გადაჭარბებით ასრულებდა, შეაჩერებდნენ და სხვას მისცემდა მუშაობის საშუალებას. მახსოვს, ბაქოში ვიყავით საკავშირო თათბირზე საინფორმაციო ბლანკების თაობაზე (ასეთი უაზრო თათბირები უმნიშვნელო საკითხებზე ხშირად იმართებოდა). მკითხა, როგორ ხართ, გეგმას თუ ასრულებთო. მე შევჩივლე, ცუდად, ჯუმბერ გოგიჩაიშვილი „ჟან კრისტოფის“ დაკეცვას არ გვპირდება-მეთქი. წლის ბოლო იყო, 15 დეკემბერი. ეს რომ მკითხა, ბატონი საშა ცოტა შექეიფიანებული იყო ბანკეტის შემდეგ. რას ვიფიქრებდი, თუ დაიმახსოვრებდა. ჩამოვედით თბილისში და წიგნი დაიკეცა, იმ წელიწადს „ნაკადულმა“ გეგმა შეასრულა.

დიდად გვადგებოდა საქმეში მის მიერ მოწვეული ოპერატიული თათბირები. აკონტროლებდა დედნის ჩაბარებას, ქაღალდის მიწოდებას, სასიგნალოს მიღებას, ტირაჟის ჩაბარებას, საქნიგნის მიერ გამომცემლობისათვის ფულის გადარიცხვას.

ბატონი საშა კეთილი კაცი იყო, ადამიანს ადვილად არ გასწირავდა, მაგრამ მისი ყველას ერიდებოდა და ეშინოდა კიდეც.

მახსოვს, რა დღეში ჩავარდა ცნობილი პოლიგრაფისტი, მაშინ წიგნის ფაბრიკის დირექტორი ვახტანგ მენთეშაშვილი,

როცა შეპირებულ დღეს წიგნის სასიგნალო ვერ მოიტანა. ენა დაება: „ბატონო შაშა, კაფტალკა ვერ ვიშოვნე, სასიგნალოს ხვალ მოგართმევთო“.

ელგუჯა მაღრაძეს სამოციანი წლებიდან ვიცნობდი, ახალგაზრდა, ლამაზი მოსე ქარჩავასთან ერთად დადიოდა, თარგმნიდა. მოსე მისი მუდმივი რედაქტორი იყო. ამქვეყნიდან ადრე წასულმა რამდენი მშვენიერი წიგნი გადმოაქართულა ინგლისურიდან. სხვა რომ არაფერი დარჩენოდა, მის სახელს მაინ რიდის „უთავო მხედარი“, არტურ კონან დოილის „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი, ბიოგრაფიული რომანები „დავით გურამიშვილი“ და „გრიგოლ ორბელიანი“ ეყოფოდა.

შინაური კაცის მოსვლამ „გამსახუომში“ გაგვახარა, მაგრამ ეს სიხარული მალე წყენამ შეგვიცვალა, როცა ჩვენი სანუკვარი სვეტებიანი შენობიდან, ჩვენი ადგილის დედად რომ გვეგულებოდა, სამინისტროების შენობაში გადაგვიყვანა. მას შემდეგ ბუდემოშლილი დავიარებით. ელგუჯას დიდ პატივს ვცემდი, იმ ავბედითი სენით შეპყრობილმა მოსკოვში ოპერაცია რომ გაიკეთა, საავადმყოფოში ვინახულე. ბევრი სიკეთე მახსოვს მისგან და მე პირადად შემინდვია მისთვის ეს მაშინდელი უგუნური შეცდომა.

ყოფილ თავმჯდომარეთაგან ბევრი კეთილი საქმე გააკეთა ვალერი ბაქრაძემ. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ჩვენთვის მისი დიდი ზრუნვა ფერადი, რელიეფიანი სათამაშო წიგნების გამოცემაზე. ასეთი წიგნების ბეჭდვის ტრადიცია საქართველოში არ ყოფილა. ამიტომ პირველი სათამაშო წიგნები – შარლ პეროს „ჩექმებიანი კატა“ და სერგეი მიხალკოვის „საკამათო რა იყო?“ რუსეთის პოლიგრაფიულ ბაზაზე დაიბეჭდა „ნაკადულისა“ და „მალიშისა“ ერთობლივი გრიფით. შემდეგ ქართველმა მხატვრებმა და პოლიგრაფისტებმაც სცადეს ასეთი წიგნის გამოცემა და წარმატებითაც. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში ზემოაღნიშნული წესით დაისტამბა ქართული ხალხური ზღაპარი „ნაცარქექია“. ეს პირველი ცდა იყო.

ვალერი ბაქრაძის დროიდან მწარე მოგონებად შემოგვრჩა რუსული რედაქციის დარსება, რისი წინააღმდეგიც

იყო გამომცემლობის ჯანსაღი ნაწილი.

რევაზ ლლონტი შინაურ კაცად მიგვაჩნდა. მისი თავ-მჯდომარეობის დროს იყო სიმშვიდე, მუშაობის შედარებით წყნარი პირობები. ჰქონდა უამრავი იდეა, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო მათი განხორციელება ვეღარ მოასწორო.

არ შემიძლია არ ვახსენო ის კეთილშობილი კაცი, გამ-სახეომის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი აკაკი ბრეგაძე, ქომაგად რომ ედგა გამომცემლობას და კარგა ხანს უმაღლავ-და თავმჯდომარეს ბატონ ვახტანგ ჭელიძის განცხადებას, გარეშე მტერთაგან თავმობეზრებულმა „ნაკადულიდან“ წას-ვლის თაობაზე რომ დაწერა.

ბატონი ვიქტორ რცხილაძე მოგვიანებით გავიცანი, გა-მომცემლობის ავისმოსურნეთაგან გაღიზიანებული ჩვენს დასატუქსად რომ მობრძანდა „ნაკადულში“ და თან მხარის დასაჭერად რამდენიმე კაციც მოიყვანა. მძიმე დრო იყო, არეულობა. ამბავი მიეტანათ, გამომცემლობაში მომრავლე-ბული „ზვიადისტები“ იქაურობას აქცევენო. არადა, არაფე-რი ხდებოდა საგანგა-შო, ხალხი თავისუფალ პრესას კითხულობდა და თავის აზრს გამოთ-ქვამდა შექმნილ მდგო-მარეობაზე, როგორც ყველა სხვა დაწესებუ-ლებაში.

მე მაშინ ვრცელი სიტყვით მივმართე ბა-ტონ ვიქტორს, გავაცა-ნი ჩვენი გამომცემლობა და ის „საეჭვო“ პირები. მან ირნმუნა ჩვენი სიმართლე, გაგვიგო, დაგვარიგა და სამტროდ მოსული მშვიდობიანად დაგვშორდა.

მეორედ, სულ ახლახანს, ამა წლის მაისში მობრძანდა ჩვენთან, როცა გამომცემლობას მძიმე გასაჭირი ადგა და მობრძანდა არა დასატუქსად, გამომცემლობისათვის მხარ-



დასაჭერად და მის გადასარჩენად.

როგორც პირველად, ახლაც მომხიბლა ამ სამართლიან-მა, კეთილშობილმა, პრინციპულმა ადამიანმა.

გამსახუომთან გამომცემლობას ყოველთვის კეთილი დამოკიდებულება ჰქონდა.

განსაკუთრებული მეგობრობა მაკავშირებდა ირაკლი უგულავასთან და გიორგი შალამბერიძესთან. მწარედ განვიცადე ჟორას წასვლა ამქვეყნიდან. რას წარმოვიდგენდი, ამ ბრგე ვაჟკაცს ის კეთილი გული თუ ასე წაადრევად უღალატებდა.

ირაკლი დღესაც ჩემი ტკივილია. ის კაცი იყო, ვისაც გა-საჭირს გაუზიარებდი და გულზე მოგეშვებოდა, შენს სიხა-რულს საკუთარივით განიცდიდა. ცუდ გუნებაზე იშვიათად წახავდა ვინმე. მისი ომახიანი ხმა ხალისს გვმატებდა. დარ-დიანი და მოწყენილი მხოლოდ მაშინ ვნახე, როცა თავის საყ-ვარელ საქმეს ჩამოაშორეს. განიცადა და იავადმყოფა.

ჩვენ შემოქმედებითი მეგობრობა გვაკავშირებდა. მე მივაჩნდი თავისი მშვენიერი მოთხრობების პირველ შემფა-სებლად. ერთ წიგნზე შინაურულად წამინერა: „ნონაჯან, ჩემს წაცოდვილარში თუ რამ კარგია, ამაში შენ მიგიძლვის დიდი წვლილიო“. რჩევას მეკითხებოდა, მაგრამ ჩემი რჩევა არ სჭირდებოდა, იგი წამდვილი მწერალი იყო, თუმცა ბუნე-ბით თავმდაბალს მწერალთა კავშირისათვის არასოდეს მიუ-მართავს. მის ხსოვნას შემომინახავს მის მიერ მადლიერებით მოძლვნილი წიგნები: „დათუნა ხერხეულიძის თავგადასავა-ლი“, „ერეკლეს შვილები“, „დურდოში არის ერთი საფლავი“, „მე ახლაც სერგია ვარ“.

კეთილ ხალხს რა გამოლევს. მე ახლაც მენატრება ჩემს ძველ მეზობლებთან: ლია და წათელა თევზაძეებთან, ლია ჯობავასთან, გია უივიძესთან, ლამარა ჯალალონიასთან საუ-ბარი.

გამომცემლობა და პოლიგრაფია. ჩვენ ერთი საქმე გვა-კავშირებდა. მათი ხელშეწყობით სულდგმულობდა გამომ-ცემლობა. ასე მგონია, „რთველი“, ცუდი გაგებით, ისე ადრე არსად დაწყებულა, როგორც პოლიგრაფიაში. მინდა მათ

ხსოვნას პატივი მივაგო და მოვიგონო ის ადამიანები, წლების განმავლობაში ერთად რომ გვიმუშავია.

ზემოთ უკვე ვასხსენ „ნაკადულს“ საკუთარი სტამბა ჰქონდა-მეთქი. ამ სტამბის დირექტორი ნოე კაკუშაძე გახდათ. ძველი პოლიგრაფისტი, ჩვენი გამომცემლობის ნამდვილი წევრი, სიკეთითა და მრავალი სხვა ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი. ოჯახის წევრივით დაგვაკლდა მისი ნასვლა ამქვეყნიდან.

ყველაზე ადრე, სრულიად მოულოდნელად გამოგვემვიდობა ახალგაზრდა კაცი, ჩვენი ბონდონ აბუთიძე, „ნაკადულის“ სტამბის საამწყობო საამქროს უფროსი ოსტატი.

დიდი უბედურება დაატყდა თავს პოლიგრაფიაში ცნობილი გოგიჩაიშვილების ოჯახს. გაბო გოგიჩაიშვილი წლების განმავლობაში „ცინკოგრაფიის“ დირექტორი იყო. მის სახელთან ბევრი სასახელო საქმეა დაკავშირებული, მაგრამ ბედმა უმტყუნა. ფეხებმოკვეთილი ინვალიდის სავარძელს მიჯაჭული გამოეთხოვა საყვარელ საქმესაც და ოჯახსაც.

წიგნის ფაბრიკის დირექტორად მისი ვაჟიშვილის ჯუმბერ გოგიჩაიშვილის დანიშვნა დიდ იმედებს აძლევდა გამომცემლობებს. მიუხედავად ახალგაზრდობისა, იგი უნარიანად უძლვებოდა ფაბრიკას, მაგრამ დიდხანს არ დასცალდა მუშაობა, გულით დაიღუპა მოსკოვში. მისი გამოსვენება წიგნის ფაბრიკიდან პოლიგრაფიის გლოვის დღედ იქცა.

ასევე კეთილად მინდა მოვიგონო: სერგო გრიგოლია, გოგი დონაძე და ვახტანგ მენთეშაშვილი.

ულვთო იყო, მოულოდნელი და თავზარდამცემი ოთხი ახალგაზრდა ცნობილი პოლიგრაფიისტის ცეზარ ხაზარაძის, რამაზ ცხვარაძის, რეზო გრიგოლიას და გიგლა ფიფიას წასვლა ამქვეყნიდან. რამდენი რამ დამრჩა მოსაგონარი, ჩხუბი და კამათი, კვლავ შერიგება, საქმის კეთება.

ამჟამად ცოცხალ პოლიგრაფიისტთაგან სოფიო გოდერძიშვილი „ნაკადულის“ აღზრდილია, ჯუმბერ ხაჭაპურიძე კი ჩვენი ოჯახის წევრი, მისი გვარი და სახელი ჩვენს მრავალ გამოცემაზეა აღბეჭდილი. დიდად დასანანია, ბატონი ჯუმბერი დღეს საქართველოში რომ აღარ მოღვაწეობს. მას დი-

დი მეგობრობა აკავშირებდა ჩვენს მერისთან, მერი ფანჯავიძესთან, წლების განმავლობაში დირექტორის მოადგილესთან საწარმოო დარგში. განსაკუთრებით ტკბილ მოგონებად დამრჩა „ნაკადულის“ გეგმის შესრულება წიგნის ფაბრიკაში. რამდენი საახალწლო ღამე გაგვიტარებია აქ მუშაობაში.

გეგმის შესასრულებლად სამუშაოდ მივდიოდით ხოლმე სტამპებში. გამომცემლობაში, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, არავინ რჩებოდა. ახალი წელი დგებოდა. მერი იყო ყოველი საქმის მეთაური, გამომცემლობა მას ენდობოდა, იცოდა, რა საქმესაც მოჰკიდებდა ხელს, გაუკეთებელი არ დარჩებოდა.

ასე იყო მაშინაც. ერთი წიგნი გვიშლიდა ხელს გეგმის შესრულებაში. იგი „კოლბუსზე“ უნდა აკინძულიყო. „კოლბუსზე“ კი გამომცემლობა „მერნის“ წიგნი იკინძებოდა. თუმცა ამ გამომცემლობას გეგმა უკვე შესრულებული ჰქონდა.

მერიმ გადაწყვიტა, ბატონი ჯუმბერისათვის გვეთხოვა „კოლბუსი გადაეყენებინა“ და ჩვენი წიგნი გაეშვა. ეს თითქმის შეუძლებელი საქმე იყო, მაგრამ მაინც გავყევი „საჩხებრად“. ეს რომ ვთხოვეთ, ბატონი ჯუმბერი ნერვიულობისა-გან იქვე წიგნებზე ჩაიკეცა, მაგრამ ჩვენი სასოწარკვეთილი სახეები რომ დაინახა, მოლბა, წამოდგა და შეუძლებელი შეძლო – „კოლბუსი გადააყენა“. ჩვენ გეგმა შევასრულეთ და ამის დასადასტურებლად ბატონი რამაზ კანდელაკი მოვიწვიეთ სტამპაში და იმანაც მხარი დაგვიჭირა, იგი ყოველთვის ჩვენი ქომაგი და შემწე იყო. აქვე მინდა მოვიგონო, იგი დიდი მეგობარი იყო ბატონი ვახტანგ ჭელიძისა და ერთხელ ასე გაეხუმრა მოსკოვიდან ჩამოსულ ჩვენს შემმოწმებელს: „Многое не контролируите, он мой друг и друг моего отца..“

მერი ფანჯავიძე ბატონმა ხუტამ მიიღო სამსახურში ეკონომისტად, მაგრამ ეს ეკონომისტი შესანიშნავი პოლიგრაფისტი დადგა და დღემდე შესაშური ენერგიით უძღვება ყველა საწარმოო საქმეს, ოთარ ჭელიძემ სამართლიანად უწოდა მას „გამომცემლობის მოტორი“. იგი მეგობრობაშიც გამოირჩევა. უყვარს ადამიანი, ვაჟკაცურ საქმეში არასოდეს დაიხევს უკან. გამომცემლობის საიმედო ბურჯია. მასთან

ერთად მუშაობენ დღესაც ტექნიკური რედაქტორები ზაირა დონდუა და ნელი შველიძე. ნელი შველიძე ყოველ საქმეში სანდო და თავდადებული ადამიანია. იგი საუკეთესო რეალიზატორი დადგა. ზაირა დონდუა ფრანგულის სპეციალისტია, შეიძლებოდა კარგი რედაქტორი დამდგარიყო, მაგრამ თავის სპეციალობას ისე ჩაუღრმავდა და აითვისა, სარედაქციო და ტექნიკურ სამუშაოს არ ანსხვავებს ერთმანეთისაგან.

ციცო მუშკუდიანი, საწარმოო განყოფილების მუშაკი დღეს რეალიზატორად მუშაობს და საქმესაც კარგად არ-თმევს თავს.



**მეგობრებთან ერთად**

დასანანია, დღეს გამომცემლობის მიღმა რომ დარჩნენ ძველი მუშაკები თამრიკო ბუღაძე და ლუიზა სამხარაძე. თამრიკო გამომცემლობის შუამავალი და მისი საქმეების მომგვარებელი იყო ცეკას სტამბაში, ამჟამად „სამშობლო“ რომ ეწოდება. ლუიზა გამომცემლობის თვალი და ყური იყო წლების განმავლობაში. ასე მგონია, გამომცემლობა დამუნჯდა უმისოდ. ლუიზამ „სალიტერატურო გაზეთში“ რამდენიმე საინტერესო ნოველა დაბეჭდა.

საკმაოდ ძლიერი იყო ტექნიკური რედაქცია. დასანანია, დღეს ჩვენთან რომ აღარ მუშაობს კარგი სპეციალისტი

ლია ქვარცხავა. მათ რიგებს ადრე გამოაკლდა უწყინარი, ჩუ-მი მუშაკი, ორი შვილის დედა ვერიკო პირველი.

როცა სანარმოო განყოფილებაზე ვლაპარაკობ, არ შე-მიძლია არ მოვიგონო აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგუ-ლი, ჩვენი შვილი მერაბ ნიქაბაძე. იგი მართლაც რომ გამომ-ცემლობის შვილი იყო, ჩვენი თანამშრომლების და მეგობრე-ბის ჯანსულ ნიქაბაძის და ჯილდა თოფურიძის ვაჟი. ნიჭიერი და განათლებული ყმანვილი იყო. გამომცემლობაში სამუშა-ოდ რომ მოვიდა, ერთხანს დედის გვერდით იჯდა უხმოდ, თითქოს „ადგილი ვერ მოუძებნეს“. როცა „მოუძებნეს“, აიშ-ვა. მახსოვს, მე და მერაბი პირისპირ რომ დავრჩებოდით, შე-უძლებელს აკეთებდა, სადაც გაგზავნიდით, იმ საქმეს გაუ-კეთებელს არ დატოვებდა. საბედისნერო აღმოჩნდა მისთვის ტექნიკურ რედაქტორობაზე ფიქრი. ჩვენგან წიგნის ფაბრი-კაში გადავიდა, საიდანაც მოუსვლელ გზას დაადგა. უშიშარი იყო, უკან არაფერზე დაიხევდა. წავიდა აფხაზეთის ომში, მას იმ დროს შინ ვერ გააჩერებდით, გმირულად იბრძოლა, ახალ-ბედებსაც შველოდა, უიული შარტავას ედგა მხარში იმ საპე-დისნერო დღეს, მაგრამ ახლაც არ ჩანს, ორი პატარა შვილი სამშობლოს ბედს ანაცვალა. „შინ მოუსვლელო, სადა ხარ?“

ვის არ უმუშავია გამომცემლობაში სხვადასხვა დროს. მინდა გავიხსენო ამქვეყნიდან წასულები და ცოცხლებიც. საბავშვო წიგნის სახლს გამოაკლდნენ ცნობილი მწერლები ელიზბარ უბილავა და თედო ბექიშვილი, სამხატვრო და სა-წარმოო განყოფილებას შურა ბანძელაძე, ოთარ ჯიშვარიანი, რამინ მელაძე, შალვა ლოლობერიძე, საგეგმო-საფინანსო განყოფილებას და ბუღალტერიას ანიკო ნემსაძე, უწყინარი მუშაკები და ადამიანები ირა მიკირტიჩიანი, ლილი ზაალიშ-ვილი, ნაზი კილასონია.

წლების განმავლობაში მთავარ ბუღალტრად მუშაობ-დნენ მავრა ჭუასელი და ნინო გელაშვილი, დღესაც ბუღალ-ტრად ერთი ჩუმი მუშაკი ეთერ ბუჩუკური.

გამომცემლობას ბურჯად უდგას საგეგმო-საფინანსო განყოფილების ეკონომისტი, მეტად სანდო და საქმიანი ადა-მიანი ცისანა ჩაკვეტაძე.

გზადაგზა კიდევ მომინევს იმ ადამიანების გახსენება, წლების განმავლობაში რომ მუშაობდნენ გამომცემლობა „ნაკადულში“ და თითო აგური მაინც მიუტანიათ მის ასაღორძინებლად.

1965 წლის ზაფხული იყო. ხმა დაირხა, ბატონი ხუტა მიდის გამომცემლობიდანო. ჩემის აზრით, ამის მიზეზი მაინც ახლად დაარსებულ გამსახურმან მოურიგებლობა გახდა. მართლაც წავიდა იგი ჩვენგან ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორად, გამომცემლობას კი სათავეში ჩაუდგა ბატონი კონსტანტინე ლორთქიფანიძე. იგი რვა წელიწადი გახლდათ გამომცემლობის დირექტორად 1965-1973 წლებში, შედარებით მშვიდი პერიოდი მშფოთვარე პერიოდმა შეცვალა.

განსაკუთრებით მძიმე გახდა მუშაობა ჩემთვის. მე მას მთავარ რედაქტორად დავუხვდი. ყოველი ახალი კაცის მოსვლისას ამოძრავდებიან ხოლმე „მღვრიე წყალში თევზის დაჭერის მსურველი“. ასე მოხდა მაშინაც.

დაინტერეს ჩემი გამოცდაც. ბატონი კონსტანტინე გამაფრთხილებდა: ხვალ არ ვიქნებიო. ჩვენ ასე მუშაობას მიჩვეულნი არ ვიყავით. სამსახურში ყველანი დავდიოდით და უკალებლივ ყველანი ვხვდებოდით. ასე შემონმება რომ არ გამოუვიდა, სხვა ხერხს მიმართა. თურმე არ მენდობოდა „როგორც ხუტას ერთგულს“ და ჩემი დაქვეითება გადაეწყვიტა. მეექვსე დღეს გამსახურმანი წამიყვანა (თავმჯდომარე მამია მეგრელიშვილი გახლდათ) და მიზეზად ის მომიდო, შურა ბანძელაძისათვის „არსენას ლექსის“ მხატვრობაში ბევრი გადაგიხდიათო. არადა, სულაც არ იყო გადახდილი ბევრი. ამ წიგნმა გამომცემლობას დიდი აღიარება მოუტანა. ლაიფციგის წიგნის საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედალი მოიპოვა. მთავარი რედაქტორის მოადგილედ გადამიყვანა.

დიდად შეწუხდა ბატონი მამია, მე ჩემს მოადგილეს ასე არასოდეს მოვქცევივარო. მე მხოლოდ ის მეწყინა, რომ არ გამიმხილა, რისთვისაც მივყავდი გამსახურმანი, ჩემი „სკამით“ თავი არასოდეს მომიწონებია, დავჯექი ჩემთვის და შტეფან ცვაიგის „მარიამ სტიუარტი“ ვთარგმნე. ბატონ კონსტანტინეს არასოდეს დავმდურებივარ და მაღლობელიც კი

ვიყავი, მუშაობის საშუალება რომ მომცა.

მთავარ რედაქტორად იაგო ვარდოსანიძე დანიშნა, კაცი ნიჭიერი, მაგრამ ამპარტავანი, „მკაცრი“, უფლებისმოყვარე. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დედნის ხარისხიან მომზადებას და ცეცხლის კალოში ატარებდა ყველას, ვინც „მისი სტილით“ ვერ იმუშავებდა. ყველას ახსოვს, კვირაში რამდენჯერმე სარედაქციო თათბირი იმართებოდა, რომელთა მუდმივი მდივანი მარინე სოხაძე გახლდათ. მარინემ თავისი განათლებით დიდად მოაწონა თავი ბატონ კონსტანტინეს, გამოხდა ხანი და საშუალო ასაკის ლიტერატურის რედაქციის გამგედაც კი დანიშნა, თუმცა ერთი ბრმა შემთხვევის გამო გადააყენა.

ბატონი კონსტანტინე, შესანიშნავი მწერალი, უბადლო სტილისტი იყო. მისი შენიშვნების შემდეგ ბევრ რამეს ვსწავლობდით. მაგალითად, არ უყვარდა სიტყვების: „რომელიც“, „შესახებ“, „არამედ“, „შენიშნა“ ხმარება. მისი ფრაზა ყოველთვის ლალი იყო, წინადადება ამოისუნთქავდა ხოლმე.

ამ პერიოდში ბატონი კონსტანტინე ხშირად ავადმყოფობდა და ფაქტიურად გამომცემლობას მთავარი რედაქტორი ხელმძღვანელობდა. იგი ბევრ რამეს თავისი შეხედულებისამებრ წყვეტდა, რაც ბატონ კონსტანტინეს არ სიამოვნებდა და მათ შორის მომხდარი უსიამოვნების მიზეზი გახდა, რასაც მოჰყვა იაგო ვარდოსანიძის ჩვეულებრივ რედაქტორად გადასვლა, შემდეგ კი მისი წასვლა გამომცემლობიდან „ენციკლოპედიის“ რედაქციაში. „ენციკლოპედიაშივე“ გადავიდნენ შემდეგ გამომცემლობის შესანიშნავი მუშაკები: ოთარ პირველი, ბეჭან ასათაიანი, მერი ამაშუკელი, ციალა ცერცვაძე, მილიცა აბაშიძე, ლეილა ცაგარეიშვილი.

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო კადრების ცვალებადობა. ხუტა ბერულავამ „ცისკარში“ სამუშაოდ მიინვია ლამარა თურმანიძე და ჯენეტ ბაჯელიძე, ორივე უნიჭიერესი და გამორჩეული რედაქტორი. მეც შემომთავაზა გადასვლა, მაგრამ ისე მიყვარდა „ნაკადული“, ორმოცდაათი წლის მანძილზე არასოდეს მითიქრია სხვა სამუშაოზე გადასვლა.

ბატონმა კონსტანტინემ „ცისკრიდან“ სამუშაოდ გად-

მოიყვანა ტარიელ ჭანტურია, ელზა ახვლედიანი, ეთერ თვა-  
რაძე.

საწარმოო დარგში სამუშაოდ მოიწვია ნოე კაკუშაძე,  
შოთა თოფურია, გიორგი იამანიძე, რობერტ მელინგვაური,  
მინდია არაბული (შემდგომში საშუალო და უფროსი სასკო-  
ლო ასაკის ლიტერატურის რედაქციის გამგე გარდაცვალე-  
ბამდე).



ნონა კალანდარიშვილი, ელიზბარ უბილავა, ნოდარ დუმბაძე,  
და არჩილ სულაკაური სტუმრად სკოლაში

იაგო ვარდოსანიძის გამომცემლობიდან წასვლის შემ-  
დეგ მთავარი რედაქტორი გახდა მეცნიერულ-პოპულარული  
და სათავგადასავლო ლიტერატურის რედაქციის გამგე ვა-  
ლია ძიძიგური. იგი ძალზე გამოცდილი და ენერგიული მუშა-  
კი გახლდათ. თავდადებით შეუდგა მუშაობას იმ პრინციპე-  
ბით, რასაც ბატონი კონსტანტინე მოითხოვდა. მას რედაქ-  
ტორთან ნამდვილი მეგობრობა აკავშირებდა და ეს მეგობ-  
რობა არ შეწყვეტილა ბატონი კონსტანტინეს გარდაცვალე-  
ბამდე.

ვერ გეტყვით, რომ გამომცემლობის მუშაობაში ის მშვი-  
დი პერიოდი იყო – იყო დაძაბულობა, კამათი, უთანხმოება ავ-

ტორებსა და გამომცემლობის ხელმძღვანელობას შორის, გამომცემლობის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებში. განსაკუთრებით დაიძაპა ურთიერთობა ბოლო წლებში.

1973 წლის იანვარი იყო, ბატონმა კონსტანტინემ ერთ გვიან საღამოს შინ მიმიწვია და შემომთავაზა მთავარ დირექტორად დავბრუნებულიყავი. ამ თხოვნას ბოდიშიც მოაყოლა: „ჩემო შვილო და დაო, მაპატიე, შენ მაშინ უსამართლოდ მოგექეცი, ამ შეცდომას ეხლა ვასწორებო“. მოფიქრების საშუალება არც კი მომცა. ასე იცოდა, თუ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა, სხვას რჩევას აღარ ეკითხებოდა, იმ წუთშივე წერდა ბრძანებას. ასე მოიქცა ჩემს მიმართაც. ამის შემდეგ მას სამსახურში აღარ უვლია, ავადმყოფი ბრძანებებს შინიდან იძლეოდა. რვა თვის მანძილზე მე ვმუშაობდი მის მაგივრადაც და ჩემს ადგილზეც. ვუმკლავდებოდი გამომცემლობაში შექმნილ რთულ ვითარებას. ბოლოს ბატონი კონსტანტინე უურნალ „საუნჯის“ რედაქტორად გადაიყვანეს. ამ ალმანახს ჩვენს გამომცემლობაშივე ჩაეყარა საფუძველი, მას „ცისარტყელა“ ენოდებოდა და ნიჭიერი რედაქტორები ნანა დარჩია და ბესიკ ადეიმშვილი უძლვებოდნენ. ბესიკ ადეიმშვილი იყო ბრწყინვალე მცოდნე გერმანულისა. მწარედ მაგონდება, რამდენი იშრომა ბატონი კონსტანტინესათვის მაგნიტოფონის მოზრდილი რეკლამა რომ ეთარგმნა, მას კი ეს რეკლამა მხოლოდ რამდენიმე წუთისათვის სჭირდებოდა.

როგორც მოგახსენეთ, ბატონმა კონსტანტინემ რვა წელიწადი იმუშავა გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორად და მხოლოდ უსიამოვნო მოგონებები არ დაუტოვებია. იგი, უპირველეს ყოვლისა, მწერალი იყო და დიდის გულმოდგინებით არჩევდა გამოსაცემ ლიტერატურას, მის მახვილ თვალს მდარე ნაწარმოები არ გამოეპარებოდა და როცა წარმოებაზე გადასაცემ დედანს ვამზადებდით, საკმაოდ ვლელავდით.

მის დიდ დამსახურებად მიმაჩნია «Иностранный Литератор»-ს მსგავსი ალმანახის შექმნა, რომელიც შემდეგ დღევანდელი „საუნჯის“ საფუძველი გახდა.

ამის მოსაგონებლად უურნალის რედაქტორს ნანა დარჩიას მივმართე და ახლა ჩემს ნაამბობს მის მოგონებას ჩა-

ვურთავ (სამნუხაროდ, ჩანაწერებში ეს ჩანართი არ აღმოჩნდა – მ.ც.).

რა შეიქმნა ამ ნლებში მნიშვნელოვანი, რა წიგნები გამოდიოდა?

„ჩემი პატარა ბიბლიოთეკა“ ავსებდა იმ ხარვეზს, რაც უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა ლიტერატურის გამოცემაში გვქონდა. ამ სერიით პატარები ეცნობოდნენ ორიგინალურ და თარგმნილ რჩეულ მხატვრულ ნაწარმოებებს.

მოგვიანებით, 1972 წელს შეიქმნა „ქართული საყმანვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“. იგი საშუალო ასაკის მკითხველებისათვის იყო გამიზნული და ტომეულებად იცემოდა ნაწარმოებები ძველი მწერლობიდან დაწყებული დღემდე და ყმანვილთათვის სამაგიდო წიგნებად ითვლება დღესაც.

არც მეცნიერება იყო დავიწყებული. სერია „მინდა დავეუფლო მეცნიერებას“ (გამოდიოდა 1967-1971 წლებში) ახალგაზრდობას პოპულარული ენით მოუთხრობდა მეცნიერების მიღწეულებზე სხვადასვა დარგში.

სერია „ერთი მოთხრობის ბიბლიოთეკა“ ახალგაზრდობისათვის იყო განკუთვნილი და აცნობდა ქართველი და სხვა ეროვნებათა ერთ-ორ თაბახიან თითო საუკეთესო მოთხრობას. მის გამოცემას კომერციული მნიშვნელობაც ჰქონდა: ადვილი გამოსაცემი იყო და გეგმიანობის პერიოდში გვეხმარებოდა.

ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან გამოცემად მიმაჩნია „მსოფლიო ხალხთა ზღაპრები“ (იგი 1968-1984 წლებში გამოდიოდა). ამ სერიით გამოიცა ჩვენი კონტინენტების მრავალი ქვეყნისა და ხალხის საუკეთესო ზღაპრები სულ ორმოც ტომამდე. გონივრულ ნაბიჯად მიმაჩნია დღეისათვის ამ სერიის გაგრძელება. მის გამოცემას დიდი ამაგი დასდეს მაშინდელი საშუალო ასაკის ლიტერატურის რედაქციის გამგემ ჯენეტო ჭანტურაიამ და რედაქტორებმა ლოლა ქადაგიშვილმა, მანანა ზუბადალაშვილმა, მიმოზა ახვლედიანმა, ლია ერისთავმა.

1966 წლიდან გამოდიოდა „მხატვრული მატიანე“, რო-

მელიც ახალგაზრდობას აცნობდა ისტორიულ თემაზე დაწერილ ორიგონალურ თუ ნათარგმნ მოთხოვნებსა და რომანებს, რაც მათ სასკოლო პროგრამის ათვისებაში ეხმარებოდა.

1967 წელს ჩაეყარა საფუძველი სერიას „მშვენიერების სამყაროში“. იგი აცნობდა ყმაწვილებს ხელოვნების სხვადასვა დარგს, შემდგომ გაგრძელდა სერიით „სერაფიტა“.

ამავე წლიდან გამოდიოდა ალმანახი „ფრესკა“. მისი მიზანი იყო გაელრმავებინა საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის ცოდნა სახვითი ხელოვნების, ქანდაკების, ხუროთმოძღვრების ცალკეულ საკითხებზე, დაებეჭდა თეორიული და კვლევითი ხასიათის სტატიები, მიმოხილვები, წერილები, ხელოვნების ცნობილ წარმომადგენელთა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. საქმეს უნარიანად უძლვებოდა რედაქტორი ასმათ კიკვიძე. ალმანახი დღევანდელი „სამშობლოს“ სტამბაში გამოდიოდა და აქ მისი შემწე თამარ ბულაძე გახდათ.

ვის არ ახსოეს ლამაზ სუპერყდაში ჩასმული „ზღაპრების გუდა“. თავდაპირველად გამოვიდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ზღაპრები თხუთმეტ წიგნად. შემდეგ ქართული ხალხური ზღაპრები ათ წიგნად, მერე მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები ოცდაორ წიგნად (ორ ნაწილად).

წიგნები დასურათებული იყო სხვადასხვა მხატვრების მიერ, თარგმნაშიც მონაწილეობას იღებდნენ ახალბედა თუ ცნობილი მთარგმნელები.

იდგა 1973 წლის გვიანი შემოდგომა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბატონი კონსტანტინე რვა თვის მანძილზე აღარ გამოცხადებულა გამომცემლობაში. როცა გამოჯანმრთელდა, იგი ალმანახ „საუნჯის“ რედაქტორად დანიშნეს.

1973-1983 წლები გამომცემლობაში მშვიდობიანი მუშაობის პერიოდია, მაგრამ სანამ ამ პერიოდს მოვიგონებდე, მინდა გზადაგზა ზოგი რამ კიდევ გავიხსენო.

„ნაკადული“ ქართველი მწერლებისათვის არსებობდა, ნამდვილი ქართველი მწერლებისათვის მუდამ ღია იყო „ნაკადულის“ კარი. ძველი თაობის მწერალთაგან იბეჭდებოდა

გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, ცქვიტის, მარი-ჯანის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, გიორგი კაჭახიძის, სერგო კლდიაშვილის, გიორგი შატ-ბერაშვილის ნანარმოებები. ახალი თაობის მოსვლა ორმოც-დათიანი წლებიდანვე მახსოვს: პირველად ქეთევან ჭილაშ-ვილი გავიცანი, შემდეგ ნინო ბეზარაშვილი და დოდო ვადაჭ-კორია, თითქმის ყოველწლიურად იბეჭდებოდა მაყვალა მრევლიშვილისა და გივი ჭიჭინაძის ლექსები. ვის არ ახსოვს მაყვალა მრევლიშვილის „შენ გიგალობ, პატარავ“, ნოდარ დუმბაძის „ლექსებით სავსე ხურჯინი“, მორის ფოცხიშვილის ფერადი წიგნებით პატარებისათვის, გივი ჭიჭინაძის „დათუნია დრუნჩა“ და სხვები, ქეთევან ქუჩუკაშვილის „ზამთრის ზღა-პარი“, ცირა ქიტიაშვილის „უცნაური თოჯინა“, ხუტა ბერუ-ლავას „ალერსიანი მზე“, დოდო ვადაჭკორიას „ბროლის ცი-გა“, გიორგი წერეთლისა და ლიდა სტვილიას, ლეილა ბაბა-დიშის და ნუნუ კერესელიძის, ნაზი კილასონისა და მედეა კა-სიძის მშვენიერი ლექსები, გუგული ტოგონიძისა და მერი ბოლქვაძის მოთხრობები, ირაკლი უგულავას „ერეკლეს შვი-ლები“, ლადო მრელაშვილის „იყალთოელი ბიჭები“, აკაკი გე-ნაძის „ლაზარეს წყარო“ და კიდევ მრავალი და მრავალი, რომელთა ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანდა.

გარდა ზემოთ ჩამოთ-ვლილი სერიებისა, „ნაკადულ-ში“ ტრადიციად დამკვიდრდა გამოჩენილ მწერალთა ტომე-ულების გამოცემა. გამოვიდა ჯეკ ლონდონის ხუთტომეუ-ლი, თომას მაინ რიდის რვა-ტომეული, შექსპირის ორტო-მეული, უიულ ვერნის რვატომეული, რომენ როლანის „უან კრისტოფის“ ოთხი წიგნი, ნინო ნაკაშიძის სამტომეული, შიო მღვიმელის ორტომეული. ცალკეულ გამოცემათაგან აღნიშ-ვნის ღირსია ჰომეროსის „ოდისეა“, რევაზ ინანიშვილის „შო-რი თეთრი მწვერვალი“, ნიკო კეცხოველის „არსიანიდან მოვ-



დივარ...“, არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავალი“.

ამათგან: მაყვალა მრევლიშვილის ლექსებს: „შენ გიგალობ, პატარავ!“, არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავალს“, რევაზ ინანიშვილის „შორ თეთრ მწვერვალს“ და ნიკო კეცხოველის „არსიანიდან მოვდივარ...“ უმაღლესი ჯილდო შოთა რუსთაველის პრემია მიენიჭათ.

ცალკეულ გამოცემათაგან ჩემთვის დღემდე სანუკვარ წიგნად ითვლება ნიკა აგიაშვილის „ჭაბუკები დარჩნენ მარად“. იგი გვიცოცხლებს ამქვეყნიდან ადრე წასულ ნიჭიერ ახალგაზრდა მწერლებს: ლადო ასათიანს, ალექსანდრე საჯაიას, მირზა გელოვანს. ცნობილია მათი მეგობრობა. ნიკა აგიაშვილი ძევლი თაობის მემატიანეა. ასევე საინტერესოა მისი მოგონებათა წიგნი „ფერად-ფერადი“. რამდენ საინტერესო რამეს ვკითხულობთ ამ წიგნში წარსული დროის იმ სახელოვან ადამიანებზე. მეც ვამაყობ იმითი, რომ ნიკას მეგობრად ვთვლი თავს და როცა იგი მომენატრება, დამჩემდა – მის „სერვანტესის ცხოვრებას“ გადავშლი და ვინ იცის, მერამდენად ვკითხულობ.

ნიკას წიგნს „ჭაბუკები დარჩნენ მარად“ მაგონებს ნუგზარ წერეთლის „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“. იგი რამდენჯერმე გამოიცა ჩვენთან და გურამ რჩეულიშვილის, ადრე წასული ნიჭიერი მწერლის მოსავონარია.

კარგ წიგნს ადვილად ვერ ივიწყებს მკითხველი. ალბათ, ჩემსავით ბევრს უყვარს თეიმურაზ მაღლაფერიძის რომანი „ცხრაკარა“. იგი მირზა გელოვანზეა დაწერილი, თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია რომანში მოხსენიებული მირზას მეგობარი ქალების მხრივ, მაგრამ იგი ნიჭიერადაა დაწერილი და თეიმურაზ მაღლაფერიძე ადრე რომ არ წასულიყო ამქვეყნიდან, ბევრ საინტერესო ნაწარმოებს შექმნიდა.

ვინ იყვნენ ამ წიგნების გამოცემის ინიციატორები და რედაქტორები, ანაბეჭდებში ნამკითხველნი და ჩამსწორებლები?

სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის რედაქციას უნარიანად ხელმძღვანელობდა შუქურა დარახველიძე,

ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებდნენ დედნის მომზა-დებაში ნათელა ჩირაძე, ჯენეტ ბაჯელიძე, ეთერ კუბლაშვილი, ჯილდა თოფურიძე.

საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის რედაქციას უძღვებოდნენ ან ჩვენგან წასული, ყველას გულისტკივილი მინდია არაბული, მისი ნიჭიერი რედაქტორები ლოლა ქადაგიშვილი, მანანა ზუბადალაშვილი, მიმოზა ახვლედიანი, ლია ერისთავი, ნათელა არჯევანიძე, ამ რედაქციის უმცროსი რედაქტორი ნარგიზა მუსხელიშვილი.

ახალგაზრდობის რედაქციას მაშინაც და ახლაც თავკაცობს აკაკი ბრეგაძე, ამქვეყნიდან ადრე წასულები ნათელა ლორთქიფანიძე და ცისანა ჩხაიძე. მათ წამუშევარს წიგნებზე ამოტვიფრული მათი გვარები შემოგვინახავს. ცოცხალთაგან მაყვალა კალანდარიშვილი, განსაკუთრებით თავი რომ გამოიჩინა ქართული მწერლობის ტომეულების კითხვაში, დიდი ერუდიციის მქონე, განათლებული რედაქტორი ნანა გოგოძე და რედაქციის ერთადერთი პოეტი ქალი ლიდა სტვილია.

მეცნიერულ-პოპულარული და სათავგადასავლო ლიტერატურის რედაქციაში მუშაობა დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა, მათ უხდებოდათ შეხვედრა მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან, მწერლებთან. ამ მხრივ არასოდეს შეურცევენიათ თავი: მარინე სოხაძეს, ნათელა ჯოლოხავას, ნიმა ანთელავას, ნორა ქართველიშვილს, ცირა ზაზაშვილს. ამ რედაქციის გამგეს ლილი გოგონიას დიდი გამოცდილების მქონე ნიჭიერ ადამიანს ხუტა ბერულავას დროიდან გამომცემლობის ერთ-ერთ ბურჯად თვლიდა გამომცემლობის ხელმძღვანელობა.

გამომცემლობა „ნაკადულის“ შემადგენელი ნაწილი იყო საბავშვო წიგნის სახლი. იგი სწავლობდა ნორჩ მკითხველთა ინტერესებს, პროპაგანდას უზევდა ქართულ საბავშვო წიგნს, განამტკიცებდა კავშირს გამომცემლობასა და მკითხველს შორის, ეხმარებოდა სკოლებს საბავშვო წიგნის კითხვის ორგანიზაციაში. გამოსაცემად ამზადებდა თეორიულ-კრიტიკული, კვლევითი, ბიბლიოგრაფიული ხასიათის

წიგნებს, რამდენიმე სერიას და ალმანახს, პროსპექტებს, ბუკლეტებს, წიგნში ჩასადებ ფურცლებს, ამასთანავე ატარებდა ზეპირ პროპაგანდას – თათბირ-სემინარებს, საბავშვო წიგნის კვირეულებს, თემატურ საუბრებს, გამოფენებს, ლიტერატურულ დილა-საღამოებს, საბავშვო წიგნების განხილვებს, შეხვედრებს მწერლებთან, მხატვრებთან. წიგნის სახლს ჰქონდა მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ფოტოლაბორატორია და ფონორარქივი.

საბავშვო წიგნის სახლის ბოლო გამოცემათაგან არ შემიძლია არ დავასახელო ალმანახი „ბუნების კარი“. მასში ქვეყნდებოდა წერილები ბუნებაზე, ჩვენი კონტინენტების ფლორასა და ფაუნაზე, ბოტანიკის, ზოოლოგიისა და სხვა საინტერესო პრობლემებზე. მას მთლიანად მხოლოდ ერთი ადამიანი – უფროსი რედაქტორი ნინო დათიაშვილი ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობდა ჩინებულად.

რამდენი საინტერესო რამ იბეჭდებოდა თეორიულ-კრიტიკულ ალმანახ „საყმანვილო ლიტერატურაში“, მაგრამ ყველაფერი ის მოისპო, დაიკარგა, მოისპო ფოტოლაბორატორია და ფონორარქივი, მიიფანტ-მოიფანტა მისი დგამ-ავეჯი. საბავშვო წიგნის სახლს დღეს ვერც გარეგნულად იცნობთ, იგი ისეთ გასაქირავებელ ობიექტად იქცა, რომლისგანაც ხეირი ჯერ „ნაკადულის“ არც ერთ თანამშრომელს არ უნახავს. ჩემს მეხსიერებას მხოლოდ შემორჩია იმ ადამიანთა გვარ-სახელები, რომლებიც სხვადასხვა დროს იქ მოღვაწეობდნენ: ლავრენტი ჭიჭინაძე, მაყვალა ჭახრავია, ჯენეტო ჭანტურაია, მაყვალა ომიაძე, მედეა მთვრალაშვილი, ნინო დათიაშვილი, მზია ლაგაზიძე, მზია კუკავაძე, ვახტანგ ცოტნიაშვილი, რუსუდან ყუბანეიშვილი, ნაირა ნიუარაძე, ანზორ აბულაშვილი, გურამ ბიჭიკაევი.

სამხატვრო განყოფილება წამყვანი რგოლი იყო გამომცემლობისა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მას სათავეში უდგას ნიჭიერი მხატვარი გურამ ლლონტი, მრავალი საუკეთესო წიგნის გამფორმებელი და ჯილდოთა მფლობელი. მას გვერდით უდგანან უფროსი თაობის მხატვრები ჯიბო ყავლაშვილი, შოთა დოლიძე და ახალგაზრდა მხატვარი კახა

ბახტაძე. მათთან ერთად ეწევა ჭაპანს ყოფილი პარტბიუროს მდივანი ვახტანგ ცოტნიაშვილი. იგი ახლა საქართველოში არსებულ გვართა გენეალოგითაა გატაცებული.

ჩვენს გამოცემულ წიგნებს კორექტორთა გვარები ანერია. ამ მეტად შრომატევად საქმეს კარგად უძლვებოდნენ ძველი თუ ახალი თაობის წარმომადგენლები მერი ლალაძე, მაია შველიძე, ქეთევან გუნცაძე, მარინე ინანიშვილი, ლია თავართქილაძე, თამრიკო შინდაგორიძე, თამრიკო ენდელაძე, ნანა ნატროშვილი და მათი ადრინდელი და ახლანდელი ხელმძღვანელები: თინა ჯიჯეიშვილი, ასმათ კიკვიძე და ლილი ირემაშვილი.



**გამოცემლობაში. მარცხნიდან მეორე მინდია არაბული,  
შემდეგ ლილი გოგოხია, ნონა კალანდარიშვილი,  
გაყვალა ომიაძე, ჯენეტო ჭანტურაია**

სამწუხაროდ, თამრიკო შინდაგორიძე, თამრიკო ენდელაძე, მერი ლალაძე აღარ არიან ამქვეყნად.

ვეჭვობ, ამჟამად შევიწროებულ ამ განყოფილების გამგეს ლილი ირემაშვილს, წინანდელ ჟურნალისტს უწინდებურად დიდი საქმე გამოუჩნდეს. იგი, აღბათ, სხვა სამუშაოთი დასაქმდება.

მომეძალა ფიქრები ჩემს კეთილისმყოფელებზე. მინდა მადლიერებით მოვიხსენიო ის ადამიანები, ვინც დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში, ჩემს ადამიანად ჩამოყალიბებაში.

სანამ „საბლიტგამში“ დავიწყებდი მუშაობას, ერთმა ჩემმა ნათესავმა, უკეთილშობილესმა კაცმა იასონ მხატვარმა, იგი მაშინ ცეკას სტამბაში მუშაობდა სტეფანე კაიტანჯიანის (სანარმოო განყოფილების გამგის) მოადგილედ, უურნალ „აგიტატორის ბლოკნოტის“ მდივნობა დამითმო (თვითონ უძლვებოდა), რომ ჩემი ოჯახი შიმშილით არ დახოცილიყო. ძალიან გავიხარეთ, პურის ფული გაგვიჩნდა. უურნალის რედაქტორი (ისიც შეთავსებით) გახლდათ ვინმე გეოგრაფი ბურჯანაძე (სახელი მახსოვს, მაგრამ არ ვასახელებ), ცეკას შენობაში იჯდა. მე ყოველდღე ვურეკავდი, ის საშვს დაუშვებდა და ანაბეჭდები ამქონდა. ძალიან მოვენონე, ვცდილობდი, ჩემი ცოდნა გამომეუყენებინა და მასთან თავი არ შემერცხვინა. ისე გამიშინაურდა და მენდო, თავისი დისერტაცია მასწორებინა სტილისტურად. მის გვერდით ოთახში იჯდა ერთი ჩემი მოგვარე ახალგაზრდა კაცი, იფიქრა, ზედმეტი შემოსავალი არც მე მაწყენსო, და იმდენი მიხიმანა, „აგიტატორის ბლოკნოტის“ მდივნობა თვითონ შეითავსა და მე კი გარეთ დამტოვეს. ეს იყო ჩემი პირველი მარცხი ცხოვრებაში. ბატონი იასონი ძალზე შეწუხდა და მითხრა: „ბიძია, შენ გულს ნუ გაიტე, ჭკვიანი გოგო ხარ, წინ წახვალ, მეც როდესმე მომიგონებო“.

მართლაც, არ დამვიწყებიხარ, გიგონებ, იასონ ბიძია, შენი სიკეთე შემდეგაც ბევრჯერ მაგრძნობინე.

ნიკა აგიაშვილის წიგნში „ფერად-ფერადი“ ერთ ნარკვევს ასეთი სათაური აქვს: „ეჰ, ნონე, ნონე!“ ალბათ, მიხვდით, იოსებ ნონეშვილს ეძღვნება.

მეც მინდა ორიოდე სიტყვით მოვიგონო ჩემი ახალგაზრდობა. იოსებ ნონეშვილს „საბლიტგამში“ მოსვლამდე ვიცნობდი.

ფინეთის ომი დამთავრებული იყო, დიდი სამამულო ომი ორი წლის დაწყებული. ჩვენთან ცხოვრობდა ჩემი ნათესავი ქირურგი დარიკო ცინცაძე. მან თავისი გმირული საქ-

ციელით დიდი სახელი მოიპოვა ორივე ოში. იოსები მაშინ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტად მუშაობდა და მის-თვის წერილის დაწერა დაევალებინათ დარიკო ცინცაძეზე. ზამთარი იყო. ერთ დღეს იოსები კარს მოგვადგა მასალის წა-საღებად. ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდა ლეილა ჭილაშვი-ლი, ლეილა ტყემალაძის თანაკლასელი და მეგობარი. იოსებს ძალიან გაუხარდა მისი ნახვა. ომის პირობაზე როგორც შეგ-ვეძლო, გავუმასპინძლდი, მერე მან კინოში მიგვინვია და გზად გვიამბობდა ლეილა ტყემალაძისადმი უილბლო სიყვა-რულზე და გვიკითხავდა მისადმი მიძღვნილ ლექსებს: „გამი-გონია, მთვარიან ღამეს...“ და სხვებს.

მას შემდეგ ხშირად ვხვდებოდი, მეგობრობა არ გამინ-ყვეტია მასთან. მნერალთა კავშირის მდივანი რომ გახდა, რამდენჯერმე მკითხა, ხომ არაფერი გჭირდებაო. მე მაინც არაფერი მჭირდებოდა, მაგრამ ისედაც კეთილსა და ქვეყნის მოამაგეს როგორ შევაწუხებდი, მე მხოლოდ მისი სიცოცხლე მჭირდებოდა, ასე ნაადრევად რომ შეწყდა. ზღვა ხალხთან ერთად მეც ფეხით მივაცილებდი უკანასკელ გზაზე და მი-მავალს გლოვის ჰიმნად ჩამესმოდა მისი ლექსები.

თუ კეთილი კაცის სახელი გინდა დაიმკვიდრო, ისეთი უნდა იყო ცხოვრებაში, როგორიც იოსები გახლდათ.

ორმოც წელიწადზე მეტია ქართულ სიტყვას ვეჭიდები. უმეტეს წილად გერმანელ მწერალთა ნაწარმოებები მაქვს გადმოქართულებული. ამ გზაზე ჩემი მასწავლებლები იყ-ვნენ ვახტანგ ჭელიძე, ვახტანგ ბერუკელი და დავით ლაშეა-რაძე, შემოქმედებითი მეგობრობა მაკავშირებდა ოთარ ჯი-ნორიასთან, გზის გამკაფავად მიმაჩნია გრიგოლ ჩიქოვანი, წლების მანძილზე გამომცემლობა „მერნის“ მთავარი რედაქ-ტორი, და ჩემი შეუცვლელი რედატორი იზოლდა ლეუავა.

ბატონი გრიგოლი ადრე ნავიდა ამქვეყნიდან. მან ბევრი რამ გააკეთა ჩემთვის. თითქმის ყველა ჩემი თარგმანი „მე-რანში“ იბეჭდებოდა. რას და როგორ ვთარგმნიდი, ამის შე-ფასება მკითხველისთვის მიმინდვია.

მეგობარ მწერალთაგან არ შემიძლია არ გავიხსენო ევ-გენი აქუბარდია და გიორგი ავალიანი. ევგენი აქუბარდია

მშვენიერი წიგნის „კოჩას“ ავტორია.

1965 წელი იდგა. გამომცემლობა „ნაკადულმა“ საუკეთესო საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის შექმნის მიზნით ისტორიულ და თანამედროვე თემაზე გამოაცხადა დახურული კონკურსი. ამ კონკურსში საორგანიზაციო საქმეებს აგვარებდა მაშინ დირექტორის მოადგილედ დაწინაურებული ჩვენი ჯენეტი ჭანტურაია.

ჟიურის წევრებში მეც შევდიოდი. პირველ ტურში სხვა ნაწარმოებებთან ერთად შემხვედა „კოჩაც“. იგი მოგვითხრობდა ერთი უბრალო, ალალი, შრომისმოყვარე, ზნეობრივად სრულყოფილი ყმაწვილის მძიმე ცხოვრებისეულ ამბავს. რატომძაც ვიფიქრე, იგი ავტობიოგრაფიული უნდა ყოფილყო.

მოგვიანებით გავიცანი მისი ავტორი და გუმანმაც გამიმართლა. იგი ზნეობრივად სპეტაკი, ალალი, გაუტეხელი, მოკრძალებული კაცი გამოდგა. გაუტეხელი-მეთქი რომ ვამბობ, იმასაც ვგულისხმობ, აფხაზეთიდან დევნილი, ბუდე-მოშლილი, შვილდაკარგული კაცი დღესაც კეთილსინდისიერად შრომობს, არ უტყდება თავსდატეხილ გასაჭირს. „კოჩა“ ჩვენ არ დაგვიბეჭდავს. იგი მოგვიანებით სამ წიგნად დაიბეჭდა და მაღალი შეფასებაც დაიმსახურა პრესაში. პატონმა ევგენიმ ის წიგნი მომიძლვნა მეც და მის მეორე ქომაგ ჯენეტო ჭანტურაისაც. ჯენეტო აი, რას წერს მის შესახებ: „ნაწარმოები იმით იყო მოსაწონი, რომ მწერალი ადგა არა სინამდვილის შელამაზების საბჭოურ ტენდენციურ გზას, არა-მედ ცხოვრებას ხატავდა მისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებით, დადებითი და უარყოფითი მხარეებით, მისი ნაკლოვანებებით, ჭეშმარიტი რეალისტური სიმართლით... ბატონი ევგენი დღეს ცნობილი მწერალი გახლავთ და თუ ამაში „ნაკადულის“ დახურულ კონკურსს მცირეოდენი წვლილი მიუძღვის, თავს „ბეჭინიერად“ ვთვლით ამ მოკრძალებული „დამსახურების“ გამო.

გიორგი ავალიანი ჩემი მეგობარია. ბევრი სიკეთე მახსოვს მისგან. მე მისი ერთი ვრცელი მოთხრობის „ბეჭი მდევარი“ რედაქტორი ვარ. ვისურვებდი, მას კიდევ დაეწეროს საინტერესო ნაწარმოებები და გამოქვეყნებაც არ გასჭირვებოდეს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბატონი კონსტანტინე რვა თვე აღარ გამოჩენილა „ნაკადულში“, მისი „საუნჯეში“ დანიშვნის შემდეგ ხმა გავრცელდა, გამომცემლობაში ახალი დირექტორი მოდისო. ხან ვისზე იტყოდნენ და ხან ვისზე.

ზაფხული იყო, ქვიშეთში ელგუჯა მაღრაძეს შევხვდი და მითხრა, თქვენთან მე მოვდივარო და სიტუაცია გამომკითხა. ბევრი ვისაუბრეთ. ჩვენც ასე ვიცოდით და ვემზადებოდით მის შესახვედრად.

1973 წლის ზაფხული იყო. უცბად სიტუაცია მთლად შეიცვალა და დირექტორად ბატონი არჩილ სულაკაური დაგვინიშნეს.

ჩვენთან რომ მოდიოდა, სახე არ უღიმოდა. მე მთავარ რედაქტორად დავუხვდი, მთხოვეს ამეხსნა, რა ხდებოდა გამომცემლობაში. ბატონ არჩილს, მაშინ უკვე ნიჭიერსა და სახელგანთქმულ მწერალს დიდი ხანია ვიცნობდი, მაგრამ ვერ გავუშინაურდი, იგი მანამდე ხშირად არ დადიოდა ჩვენთან, „არ გვანუხებდა“, მისი მოთხოვნები იშვიათად გამოდიოდა.

მძიმე სიტუაცია იყო, დაძაბული, ისმენდა ჩემს ნაამბობს, მაგრამ მოწყენილი იყო, დიდად არ ეხალისებოდა სამსახურში მოსვლა, ერთი ორჯერ ისიც კი მითხრა: „რა მინდოდა აქ, რას მოვეხეტებოდიო“.

შემდეგ, როცა გამიშინაურდა, გამანდო: „ნაკადულის“ დირექტორობა რომ შემომთავაზეს ცეკას ბიუროზე, ვთქვი: არ ვიცი, რა ვენა, მეტისმეტად ფემინიზებული გამომცემლო-



დასთან, გამომცემლობის  
რედაქტორ მაყვალა  
კალანდარიშვილთან ერთად

ბაა-მეთქი, მაგრამ მერე, როცა კარგად გაეცნო კოლექტივს, ასამდე თანამშრომელი დავუხვდით, ამათგან ზოგს პირადად იცნობდა, ზოგს პირველად შეხვდა, ამას ხელი არ შეუძლია, ყველას ერთგვარად შეხვედროდა, არ გაურჩევია ძველი თუ ახალი ნაცნობი, აღარ ახსოვდა მის მიერ დაწუნებული ფემინიზებული გამომცემლობა და ერთნაირად შეიყვარა ქალიც და ვაჟიც.

თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ერთი ათეული წელი (1973-1983) „ნაკადულში“ გაატარა და ეს იყო მისთვისაც და ჩვენთვისაც უბედნიერესი ცხოვრების წლები, რასაც გზადაგზა უფრო დაწვრილებით მოგიყვებით.

მისი პირველი სასოწარკვეთილება იმან გამოიწვია, რომ იგი არ იყო ჩვეული ამდენ ადამიანთან მუშაობას, მცირე ჯგუფი უფრო ესადაგებოდა მის ბუნებას, მაგრამ მალე გაერკვა სიტუაციაში, მიდგა, მოდგა, საქმეს ჩაულრმავდა და მიხვდა, ას კაცში ერთი არ იყო, თავისი საქმე არ ჰყარებოდა და კეთილსინდისიერად არ გარჯილიყო.

საქმისადმი სიყვარული ადამიანის დიდი ლირსებაა და ბატონმა არჩილმა სწორედ ამ ლირსებაზე დაყრდნობით წარმართა ჩვენთან ურთიერთობა.

მინდა გესაუბროთ მის საქმიან და პირად ადამიანურ თვისებებზე.

დავიწყოთ საქმიანობით. იგი ისეთი მწერალი და ლიტერატორი იყო, გრაფომანებს არ სწყალობდა, თვითონ კითხულობდა ყველაფერს და ცდილობდა გეგმაში ისეთი ნანარმოები შეეტანა, ყმაწვილის ცნობიერებაში ეროვნულ თვითშეგნებას რომ გააღვიძებდა, სამოციანელთა ლირსეულ წარმომადგენელს გარშემოკრებილი ჰყავდა ისეთი მწერლები, როგორებიც იყვნენ ოტია პაჭკორია, თამაზ და ოთარ ჭილაძეები, თამაზ ჩხერიმელი, სარგის ცაიშვილი, ნოდარ დუმბაძე და სხვები.

წიგნი მაშინ უფრო ადვილად იწერებოდა, (ბატონი არჩილის მოსანონი ხშირად არა), გამოცემა კი ჭირდა. იყო მაშინ დაუსრულებელი თათბირები. მეთაურის დიდი ძალა, ენერგია, დრო მიჰყონდა თათბირიდან თათბირზე წანნალს, გაუთავებელ სხდომებს, უაზრო კრებებს.

ვიცოდი, ბატონ არჩილს ეს ეჯავრებოდა და თათბირებზე, როცა მისი წასვლა აუცილებელი არ იყო, მე მგზავდინა, მეც ხალისით მივდიოდი, რადგან მინდოდა მისთვის შეუფერებელი უაზრო შრომა ამეცილებინა.

ერთხელ წლის ბოლოს კოლეგიის სხდომას ვესწრებოდი, გეგმის შესრულების საკითხი განიხილებოდა. მიჩვეული ვიყავით, „განათლების“ წიგნები ყველაზე ადრე უნდა დაპეჭდილიყო. იმ წელიწადს „განათლებამ“ ვერ გამოსცა საჭირო სახელმძღვანელოები. ორმა გამომცემლობაში კი გადაჭარბებით შეასრულა გეგმა. დამარცხებულთა შორის „ნაკადულიც“ აღმოჩნდა. როცა მე ვიკითხე, თუ „განათლებას“ არ ჰქონდა მწვანე შუქი, „ნაკადულს“ არც გარჯა დაუკლია, ქალალდიც გვქონდა, გეგმა რატომ ვერ შევასრულეთ-მეტქი, ეს ნათქვამი „ნაკადულის“ დირექტორის გამოქომაგებად ჩამითვალეს და ასე მიპასუხეს, „ჩვენ ცხინვალის სტამბაშ შეგვისრულა გეგმა“, „ჩვენ ფეხბურთის ბილეთებით დავაინტერესეთ მუშებიონ“, რაც მტკნარი სიცრუე იყო და მეც უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ეს ამბავი ბატონმა არჩილმა ძალიან განიცადა, მე დიდხანს მებოდიშებოდა და მანაც საკადრისი ბასუხი გასცა „ნაკადულის“ დამჩაგვრეცლთ.

ეს შემდგომ აღარ განმეორებულა და მეც სათანადო თავაზიანობით მექცეოდნენ, როგორც დირექტორის წარგზავნილს.

სარედაქციო საქმეებში ბატონი არჩილი ლომი იყო, საწარმოო საკითხებში დიდად გვენდობოდა და ამ ნდობას ყოველთვის ვუმართლებდით მერი ფანჯავიძის გამჭრიახობის წყალობით.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მას უყვარდა ყოველი ეროვნული, ქართულ მწერლობას არავის დააჩაგვრინებდა.

საკავშირო გამსახური მძლავრობდა. იმისთვის, რომ რუს ბავშვს წიგნი არ მოჰკლებოდა, დაადგინეს რესპუბლიკებისათვის „შეენერათ“ საბავშვო წიგნების გამოცემა რუსულ ენაზე. ჩვენ გვერგო ლაგინის „მოხუცი ხოტიბიჩის“ გამოცემა დიდი ტირაჟით რუსულ ენაზე.

ეს ის დრო იყო, როცა მაშინდელი საკავშირო გამსახურ-

მის თავმჯდომარის ბორის პასტუხოვის შიშით ცაში ფრინ-ველს ვერ გაეჭაჭანა და ჩვენს თავმჯდომარეს ელგუჯა მაღ-რაძეს დიდად არ სწყალობდა.

ეს ბრძანება ბატონმა არჩილმა რომ მიიღო, მაშინვე გა-ნაცხადა: გამომცემლობიდან წავალ და ამ ბრძანებას კი არ შევასრულებო. ამისი თქმა მაშინ გმირობის ტოლფასი იყო. თქვა და შეასრულა კიდეც. ლაგინის „მოხუცი ხოტაბიჩი“, ეს ვრცელი, ოცთაბახიანი ზღაპარი ადრე გამოცემული გვქონ-და ქართულ ენაზე ფატი ნიშნიანიძის თარგმანით და დიდი ვერაფერი შინაარსის ზღაპარი გახლდათ, „ნაკადულს“ არ გამოუცია.

არჩილისდროინდელ ფუნდამენტალურ გამოცემად მი-მაჩნია ქართული პოეზიის ჩვიდმეტტომეული. მასთან ერ-თად ამ გამოცემაზე მუშაობდა ცნობილი მეცნიერი და მწე-რალი სარგის ცაიშვილი, ამქვეყნიდან ნაადრევად წასული სათონ ადამიანი. ტომების გამოცემას სათავეში ედგა რედაქ-ციის გამგე აკაკი ბრეგაძე. რამდენი შრომაა გაწეული, გე-მოვნებით შერჩეული ფორმატი, გაფორმება, სუპერი. ბატო-ნი არჩილი ისე წავიდა „ნაკადულიდან“, ეს გამოცემა მან გა-ასრულა, საფუძველი კი ჩაეყარა მისი მოსვლის მეორე წელს. იგი ახალგაზრდა მკითხველს აცნობდა ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს უძველესი დროიდან დღემდე.

იმ ხარვეზის შესავსებად, რაც მცირე ასაკის ბავშვთა ლიტერატურის გამოცემის საქმეში გვქონდა, ბატონმა არ-ჩილმა მიზანშეწონილად ჩათვალა „ჩემი პატარა ბიბლიოთე-კის“ სერიის გაგრძელება სახელწოდებით „ცეროდენას ბიბ-ლიოთეკა“.

მრავალმხრივ განვითარებული ყმაწვილის აღსაზრდე-ლად მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად გამოდიოდა პო-პულარული ნიგნები მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიღ-წევებზე. მისი იდეა იყო აღმანახების „ბუნების კარის“ და „მთიების“ გამოცემა და 1981 წელს შემოღება სერიისა: „ჯა-დოსნური სარკე“.

იმ პერიოდში სამ წელიწადში ერთხელ იმართებოდა მსოფლიო საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობა მოს-

კოვში. ამ გამოფენა-პაზრობაზე მე დავდიოდი, ბატონ არჩილს ერთხელაც არ გამოუთქვამს ის წასვლის სურვილი, და დამქონდა მის დროს და უფრო ადრე გამოცემული საუკეთესო წიგნები.

მის დროს ჩაეყარა საფუძველი მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის გამოცემის საქმეს, მაგრამ იგი მაშინ ვერ განხორციელდა.



### სტუმრად სკოლაში

ბატონი არჩილი დიდად ზრუნავდა საბავშვო წიგნის სახლზე. მან რუსთაველის პროსპექტზე, ყოფილი ტანსაც-მლის მაღაზიის უზარმაზარი შენობა მოიპოვა. იგი ვრცელიც იყო და შესანიშნავ ადგილასაც. არქიტექტორიც შევარჩიეთ, რომ საბავშვო წიგნის სახლის შესაფერის შენობად გვექცია, მაგრამ შენობა ვერ გამოვიყენეთ. ეს ჩვენს მიერ დაშვებული უდიდესი შეცდომაა, ვერც გამსახკომმა გამოყო ამისთვის თანხა. ეს შენობა რომ ჩვენი ყოფილიყო, დღეს, როცა ყველა-ფერი კომერციაზეა აგებული, „ნაკადულს“ არსებობა აღარ გაუჭირებოდა.

ბატონი არჩილი გონივრულად იყენებდა იმ თანხას,

რაც გამომცემლობას მოგებიდან რჩებოდა. არა ერთხელ გაუგზავნია ხშირად მთელი კოლექტივი, ან ნაწილი მისი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში ექსკურსიებზე.

ბატონი არჩილი კადრებსაც გონივრულად არჩევდა. იმ ნაწილობი კოლექტივისათვის, რაც მას გამომცემლობაში დაუხვდა, არავინ შეუმატებია ულირსი.

გამომცემლობიდან სხვა სამუშაოზე გადავიდა ვალია ძიიგური. კარგა ხანს ფიქრობდა მის შემცვლელზე და ერთ მშვენიერ დღეს შესაფერისი კანდიდატურაც წარმოგვიდგინა. იგი გახლდათ საქნიგნის მმართველის მოადგილე, ჩვენთვის ყველასთვის ნაცნობი, კეთილსინდისიერებით ცნობილი, განათლებული ადამიანი თენგიზ ჩხაიძე. თვრამეტი წელინადი ვიმუშავეთ მე და თენგიზმა შეხმატებილებულად, ერთმანეთის მხარდაჭერით და მეგობრობით. იორამ ქემერტელიძის დირექტორობის დროს იგი მთავარ რედაქტორად იქნა გადაყვანილი და დღესაც უნარიანად უძლვება გამომცემლობას.

ამ დროს გამომცემლობას შემოემატნენ მანანა მიქელაძე და რუსუდან მახათაძე, ჭკვიანი, განათლებული რედაქტორები. მანანა მიქელაძე შემდგომ უურნალ „მნათობში“ გადავიდა. რუსუდან მახათაძე კი, ჩინებული მოქართულებად ინგლისურის მცოდნე, ყოვლად უკომპლექსო ადამიანი დღესაც მუშაობს გამომცემლობაში და ახალგაზრდა კადრთაგან მის ერთ-ერთ დასაყრდენს წარმოადგენს.

ჩვენმა საყვარელმა მარო აბრამიამ თავისი უახლოესი ადამიანი შემოგვთავაზა დირექტორის მდივნად. აბა, მას უარს როგორ ვეტყოდით. მოვიდა გულიკო ტოგონიძე და ყველაფერი შეიცვალა, მოწესრიგდა დირექტორის კაბინეტში. იგი ყველამ შეიყვარა. გავუგეთ, რომ გერმანული იცოდა, კარგი ოჯახის დედა იყო. მალე პროფკავშირის თავმჯდომარედაც გამოიჩინა თავი. იმუშავა ახალგაზრდობის ლიტერატურის რედაქციაში უმცროს რედაქტორად, სადაც მისი რედაქციის გამგის და კარგი რედაქტორების: ნათელა ლორთქიფანიძის, ცისანა ჩხაიძის, ნანა გოგონის, მაყვალა კალანდარიშვილის, ბელა შალვაშვილის, ლეილა ბეროშვილის გა-

მოცდილებას იზიარებდა. ახლა მან ყველაზე რთული სამუშაო აირჩია – უძლვება გამომცემლობის რეალიზაციის საქმეს და ჩინებულადაც, მასზე დიდად არის დამოკიდებული, დაგვანაყრებს თუ გვაშიმშილებს.

რახან კადრებზე ვსაუბრობთ, მინდა ორი ადამიანი გავიხსენო: დორექტორის მოადგილები: ადმინისტრაციულ დარგში შოთა თოფურია და საწარმოო დარგში გიორგი იამანიძე. მართალია, ისინი არჩილს არ მოუყვანია, გამომცემლობაში დაუხვდნენ, მაგრამ კარგა ხანს იმუშავა მათთან. შოთა თოფურია ერთი ადამიანური, კეთილი კაცი გახლდათ. იშვიათად შეიძლება დაიკვეხნოს ვინმერ ის სამეცნიერო, შოთას რომ ჰყავდა, ეს მისი კაიკაცობის ერთ-ერთ საბუთადაც მიმაჩნია. გულმა უღალატა ამ კეთილ კაცს და ადრე წავიდა ამქვეყნიდან. „წაკადულმა“ მას თავისი წილი ცრემლი გააყოლა.

მრავალგამოცდილი პოლიგრაფისტი გიორგი იამანიძე ბოლოს ბედმა ჩვენთან გადმოაგდო. მახსოვდა პოლიგრაფიაში მისი სიმკაცრე და ამ სიმკაცრეს აქაც არ გვაკლებდა, არც მახვილი სიტყვა აკლდა. ტაშს რომ შემოჰკრავდა, უნდა მივმხვდარიყავით, მასთან კამათი შეგვეწყვიტა.

მშვენივრად უძლვებოდა საქმეს, სანამ მთლად დაუძლურდებოდა. რომ დაუძლურდა, თანამდებობა ისე შევუცვალეთ, შინ არ გაგვიშვია. სიკვდილამდე ჩვენი კოლექტივის წევრი გახლდათ. ვიცოდი, შრომაში დაბერებულ კაცს შინ ჯდომა გაუჭირდებოდა. ამისთვის სულ მლოცავდა მისი ქალიშვილი ნათელა: ღმერთმა ბედნიერი სიბერე მოგცესო, მაგრამ ვატყობ, მისი ლოცვა არ მისრულდება.

როგორი იყო ბატონი არჩილი, როგორც პიროვნება? გულდია, კეთილი, მიმნდობი. ეჭვი არასოდეს გაეკარებოდა მის გულს, უკადრისს არ გაკადრებდა. იცოდა სხვისი შრომის დაფასება. თუ ვინმე, თუნდაც გამსახურების თავმჯდომარეზედმეტად შემაქებდა, როცა ამისი ლირსი არც ვიყავი, იგი არამცთუ შუბლს შეჰკრავდა, მადლობასაც კი უხდიდა, რადგან კარგად იცოდა, ყველაფერი, რაც „წაკადულში“ კეთდებოდა, კეთდებოდა მისი სახელით.

არჩილის საქმიან და პიროვნულ თვისებებზე დაწერა

ლილი გოგოხიამ შესანიშნავი ნოველა „ფიქრის კაცი“. არჩილი მაშინ სამოცდაათი წლისა გახდა. რა ვიცოდით, რომ ეს მისი სიცოცხლის „წინადღე“ იყო.

ამ ფიქრის კაცს სევდა იპყრობდა, როცა მისთვის შეუფერებელი საქმის გაკეთება ევალებოდა.

ერთხელ, (მგონი, უკრაინაში) საკავშირო თათბირზე მოუხდა წასვლა, რადგან მხოლოდ დირექტორებს უხმობდნენ.

სტუმრები რაღაც აუზთან მიუყვანიათ, რომელიდაც გამომცემლობის დირექტორი აუზისაკენ გადახრილა, ჯიბიდან პარტბილეთი ამოვარდნია და წყალში დაკარგულა. სასოწარკვეთილი კაცი აუზში გადამხტარა, უპოვნია სანუკვარი ნივთი, ამოუღია, მაგრამ გალუმპული სასტუმროში წაუყვანიათ და მერე თათბირზე აღარც გამოჩენილა.

ამ უაზრო თათბირით შეწუხებულ არჩილს იმდენი უცინია, თვალებზე ცრემლი მოსდგომია. ეს ბატონმა არჩილმაც მიამბო და ჩვენმა მოსკოველმა კურატორმა ქალმა, რომელიც არჩილის გამომცემლობიდან წასვლას შეესწრო და ნახსა, როგორ ტიროდა მთელი გამომცემლობა.

იდგა 1983 წლის გვიანი გაზაფხული. ბატონი არჩილი დალვრემილი დაბრუნდა მწერალთა კავშირიდან და გაგვიცხადა, თქვენგან მივდივარო. მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ნოდარ დუმბაძეს „მნათობის“ რედაქტორობა შეეთავაზებინა. „მნათობში“ მუშაობა მისთვის სანუკვარი ოცნება იყო. განსაკუთრებით იგონებდა იმ დროს, როცა იქ ბატონი სიმოხ ჩიქოვანი, მისი მეგობარი და მასწავლებელი მუშაობდა. სიმოხ ჩიქოვანის მონატრება ლექსში „ჩემი ლრუბელი“ ასე გამოხატა:

„გული მაქვს შენი ნაპერწკლით სავსე,  
მინდოდა,

ერთხელ ცეცხლიც დაგენთო,  
მაგრამ არსაით შემომხვდი გზაზე,  
მარადიულო და ერთადერთო.“

მაშ რატომ იყო დალონებული, ჩვენ ხომ „სულაქაურად“ მიგვაჩნდა, ისიც ძალიან შეგვეჩვია და ენანებოდა ჩვენი დათმობა.

რაც ეს გვითხრა, მე მასთან შესვლას ვერიდებოდი, თვალს ვერ ვუსწორებდი. ერთხელ ვკითხე, თქვენს მაგივრად ვინ მოდის-მეთქი, არ გამიმხილა, მხოლოდ ის მითხრა, ძალიან კარგი ინტელიგენტიაო.

დადგა მისი წასვლის დღეც. შოთა თოფურია იხმო, ჯიბიდან საკმაოდ მოზრდილი თანხა ამოილო, გადასცა და უთხრა, შამპანური და შოკოლადი მომიტანე, ხალხს უნდა გამოვემშვიდობოო. ოთახში რომ შევედით, ხელებში თავჩარგული იჯდა და ქვითინებდა. უკლებლივ ყველანი ვტიროდით, სწორედ იმ დროს მოგვისწრო მოსკოვიდან ჩამოსულმა ჩვენმა კურატორმა ქალმა, მაგრამ როცა მიხვდა, იმ დღეს ჩვენთან საქმეზე ლაპარაკი აღარ შეიძლებოდა, უხმოდ გატრიალდა. „მნათობისადმი“ კეთილი შურით ავსებულებმა ტაშით მივაცილეთ კიბეებამდე.



ნონა კალანდარიშვილი და ლილი გოგოხია აღლუმზე

მაგრამ ეს არ იყო ნამდვილი დამშვიდობება. ისევ ვხვდებოდით, ისევ ვსაუბრობდით საერთო სატკივარზე.

გამოდიოდა მისი წიგნები: „სალამურას თავგადასავალი“ და „ჯადოსნური კაბა“. მის ბოლო წიგნს „ცისფერი ირემი“ სიყვარულით უპატრონა და ურედაქტორა თენგიზ ჩხაიძემ.

მაშინდელ დამშვიდობებას დამშვიდობება არ ეთქმის. არჩილის ნაადრევი წასვლა ამქვეყნიდან „ნაკადულმა“ ყველაზე მწარედ განიცადა, ვტიროდით და გზას ვულოცავდით სულეთისაკენ მიმავალს. ცრემლჩამომდინარემ უცბად მისი ოთახის კედელზე თვალი შევასწარ მშვენიერ სურათს, იგი ზურაბ ნიუარაძის ნატურმორტი იყო, ჩვენი საჩუქარი მისი დაბადების ორმოცდაათი წლისთავზე 15 თებერვალს. რა ბედნიერი დღე იყო მაშინ, ჩვენი სახსოვარიც ძალიან უყვარ-და ბატონ არჩილს.

მალე შევიტყვეთ, ის კარგი ინტელიგენტი, ჩვენთან რომ გაამწესეს, სახელგანთქმული პოეტი მორის ფოცხიშვილი გახლდათ. მას თითქმის ყველა იცნობდა და ბევრი მეგობარიც ჰყავდა „ნაკადულში“.

ბატონი მორისი მხიარული და ბედნიერი მოვიდა გამომ-ცემლობაში და გვითხრა, როცა მამტკიცებდნენ, ჩემი ლექსის სტრიქონი „მე ის პატარა ნაკადული ვარო“ წარმოვთქვი.

ვითარებას რომ გაეცნო, ძალზე კმაყოფილი დარჩა, თვითონაც მიდგა-მოდგა და საქმეს შეუდგა. მიუხედავად ავადმყოფობისა, არც ერთ თათბირს არ აკლდებოდა, მიუხაროდა მოსკოვის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე. საქ-მეს წყნარად, უჩიუმრად უძლვებოდა. იგი ოთხი წელიწადი 1983-1987 წლებში იყო „ნაკადულის“ დირექტორი და ისე წა-ვიდა გამომცემლობიდან, საყვედურის არც ერთი ბრძანება არ დაუწერია.

რითი იყო მნიშვნელოვანი მისი მოღვაწეობის პერიოდი, რა გაკეთდა საინტერესო?

1984 წლიდან საფუძველი ჩაეყარა „მცირე სათავგადა-სავლო ბიბლიოთეკას“. ამ სერიით უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის იბეჭდებოდა მცირე მოცულობის საუკეთესო სა-თავგადასავლო ნაწარმოებები.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც იმ პერიოდში შეიქმნა, ის გახლავთ, რომ საფუძველი ჩაეყარა ჩვენს „ფუნდამენტურ“ გამოცემას „ქართული მწერლობა“. მისი გამოცემის იდეა რე-დაქციის გამგეს აკაკი ბრეგაძეს ეკუთვნის, რაც გაიზიარეს და განახორციელეს დირექტორმა და გამოცემის სარედაქ-

ციონ კოლეგიამ. ბიბლიოთეკა გამოდის 1987 წლიდან და იგი მოიცავს ყოველივე საუკეთესოს, რაც შექმნილა ქართულ ენაზე V საუკუნიდან ჩვენი საუკუნის ოციან წლებამდე. გამოცემა ითვალისწინებს სხვადასხვა ჟანრს – პოეზიას, პროზას, დრამატურგიას, პუბლიცისტიკას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ფერადი წიგნების გამოცემას.

წიგნების გაფორმებაში მონაწილეობდნენ ქართველი მხატვრები.

ასევე ჩვენი რუსი მხატვარი ნაგაევი. აი, სწორედ აქ იხარჯებოდა საკმაოდ დიდი თანხა მხატვრობაზე, რაც გამომცემლობის მთავარი მხატვრის გურამ ღლონტის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა.

არასოდეს „ნაკადულში“ არ გამოცემულა ეგრეთწოდებული ამოჭრილი, სათამაშო წიგნები. ამ საქმეში დიდი მონდომება გამოიჩინეს ბატონმა მორისმა და გამსახურმის მაშინდელმა თავმჯდომარემ ბატონმა ვალერი ბაქრაძემ. რახან საქართველოში ასეთი წიგნების ტრადიცია არ იყო, რუსეთის პოლიგრაფიულ ბაზაზე „ნაკადულისა“ და „მალიშის“ ერთობლივი გრიფით დაიბეჭდა ორი ულამაზესი წიგნი: შარლ ბეროს „ჩექმებიანი კატა“ და სერგეი მიხალკოვის „საკამათო რა იყო?“

შემდგომ ქართველმა მხატვრებმა და პოლიგრაფისტებმაც სცადეს მათთვის მიებაძათ, ცხადია, ხარისხი ისეთი არ იყო, მაგრამ მაინც გამოვიდა ქართული ხალხური ზღაპარი „ნაცარქექია“, რაც ფერადი წიგნის გამოცემის საქმეში დიდ წარმატებად მიმაჩნია.

რაც იმ პერიოდში სასაყვედუროდ დაგვრჩა, ეს იყო რუსულ ენაზე რედაქციის გახსნა. ბატონმა მორისმა საკუთარი ლექსები დასტამბა რუსულ ენაზე მდიდრული გაფორმებით. ამან მიიქცია მწერლობის ყურადღება. „ნაკადულში“ არ იყო საჭირო რუსულ ენაზე რედაქციის შექმნა, მაშინ, როდესაც „მერანში“ კარგა ხანია არსებობდა რუსულ ენაზე გამოცემათა სექტორი, „ზლატკინის გამომცემლობა“.

მიუხედავად კოლექტივის დიდი წინააღმდეგობისა,

გამსახკომის ხელშეწყობით, შეფარულად შეიქმნა რედაქცია. მის გამგედ დაინიშნა წიგნის სახლიდან უმცროსი რედაქტორის რანგში გადმოყვანილი ეკა კეჭაყმაძე, შეემატა რედაქტორი და კორექტორი, რასაც უსიამოვნების მეტი არაფერი მოუტანია გამომცემლობისათვის.

მაპატიოს უფალმა, ბატონი მორისის სულმა, იქნებ ესეც გახდა მიზეზი მისი „ნაკადულიდან“ „წიგნის პალატაში“ გადაყვანისა.

იქაც თავდაუზოგავად მუშაობდა, სულ ახლის ძებაში იყო, მაგრამ მისმა ყმანვილკაცობისდროინდელმა ავადმყოფობამ არ დააცალა, ადრე შემოაღამდა ცხოვრების გზაზე „ნაკადულმა“ მწარედ დაიტირა ეს გონიერი და უკეთილშობილესი კაცი, რომელიც მხოლოდ სიკეთეს თესავდა ამქვეყნად. იგი სვეტიცხოვლის ტაძრის ეზოში განისვენებს, როგორც მის დიდ სულს შეეფერება.

ბატონი მორისი იზიარებდა „ბუდემოშლილი“ „ნაკადულის“ გასაჭირს და ცდილობდა გამომცემლობისათვის შესაფერისი შენობა დაემკვიდრებინა.

მან ახალი შენობის აგების საკითხი დააყენა ზემდგომ ორგანოებში, გამსახკომმა მხარი დაუჭირა და გადაწყდა საბავშვო გამომცემლობისათვის „მზიურის“ ტერიტორიაზე დიდი შენობა აეგოთ თავისი კაფე-ბარებითა და საკონცერტო დარბაზებით. მახსოვს, მისი პროექტისა და მაკეტის შედგენაში დიდი თანხა გადაიხადეს. რაღა თქმა უნდა, არაფერი გაკეთებულა, ქარმა წაილო ის მილიონები. მწერალთა კავშირში კი ქართველი მწერლები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ იმ მაკეტს.

1987 წლის გაზაფხული იდგა. სრულიად მოულოდნელად ბატონი მორისი წიგნის პალატის დირექტორად გადაიყვანეს. მართალია, ის მეტად საპასუხისმგებლო საქმე იყო, მაგრამ მის წასვლას არავინ მოელოდა. თვითონაც უკმაყოფილო იყო და ჩვენც, მაგრამ ამ უსიამოვნო და უხერხულ გრძნობას ის აქარწყლებდა, რომ ბატონი ვახტანგ ჭელიძე საბავშვო გამომცემლობის ადრინდელი ჭირისუფალი იყო, და ვიცოდით, საქმეს კარგად გაუძლვებოდა.

1987 წლის ადრე გაზაფხულზე მოვიდა ჩვენთან ბატონი ვახტანგი. „ლიტერატურული საქართველოდან“ „ნაკადულში“ იგი ბავშვების სიყვარულმა მოიყვანა.

იგი ადრეც, ორმოცდაათიან წლებშიც საბავშვო გამომცემლობის ნამდვილ ხელმძღვანელად ითვლებოდა და რომ არა მრავალი საინტერესო სამუშაო, იმ დროიდან მოყოლებული დღემდეც შეიძლებოდა გამომცემლობის დირექტორი ყოფილიყო. ჭარმაგ მწერალს სულ არ ეტყობოდა წელთა სიმრავლე, მას ჯერ სამოცდაათი წელიც კი არ შესრულებოდა და ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმეს. გამომცემლობიდან ოცდახუთი წლის ნინ ნასული, ახლა მისი ორმოცდაათი წლის იუბილეს შესახვედრად ემზადებოდა.



გამომცემლობაში, მაგიდასთან სხედან მერი ფანჯავიძე, დოდო ვადაჭკვრია, ნონა კალანდარიშვილი, მორის ფოცხიშვილი

გამოვეცით საიუბილეო ბუკლეტი და ჩვენი არსებობის ორმოცდაათი წლისთავი მოკრძალებულად გაშუქდა ტელევიზიით.

გამომცემლობა მისი მოსვლის დროისათვის იმდენად მომძლავრებული იყო, რომ ბინათმშენებლობაში შესულ თანამშრომელთა დიდ ნაწილს მოგების ანგარიშიდან მნიშვნელოვანი დახმარება გაეწია.

ბატონი ვახტანგი სულ ოთხ წელიწადს დარჩა „ნაკა-დულში“ (1987-1991წ.). ბოლო წლებში გარეშე მოშურნეთა-გან შენუხებული ლამის გულს ვეღარ უდებდა საქმეს და გან-ცხადებაც კი დაწერა სამუშაოდან განთავისუფლების თაო-ბაზე, რაც შემდგომ, თუმცა ამაში გამომცემლობა მხარს არ უჭერდა, მოხერხებულად გამოიყენა გამსახურმა.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ მოკლე დროის მან-ძილზე გაკეთდა, „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ სერიის შექმნა გახლდათ. საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვთათვის განკუთვნილი ბიბლიოთეკა სამოც ტო-მად დაიგეგმა.

ამ ბიბლიოთეკის დაარსება ადრეც იყო განზრახული, მაგრამ მას განხორციელება არ ეწერა. შედგენილ იქნა სარე-დაქციო კოლეგია ცნობილ მწერალთა, მეცნიერთა, მხატვარ-თა, გამომცემლობის მუშაკთა შემადგენლობით. იგი წყვეტ-და თითოეული ტომის გამოცემის საკითხს.

თუ წიგნს გარეგნულად წუნი ვერ დაედება, ეს მისი ხელმძღვანელის, მხატვარ ჯემალ ლოლუას დამსახურებაა.

რუსულ ენაზე გამოცემათა რედაქციას საქმე თითქმის აღარ ჰქონდა, რუსულად წიგნები აღარ გამოიყოდა. მას სა-ხელი გადაერქვა და მთარგმნელობითი რედაქცია ეწოდა, მაგრამ ვერც ახლა მოეძებნა გამართლება.

ბატონი ვახტანგის დროს დიდი ყურადღება ექცეოდა დედნის მაღალ დონეზე მომზადებას, მის გაფორმებას, მაგ-რამ თანდათან გაჭირდა გამოცემა, ქვეყანაში დამძიმდა მდგომარეობა.

იდგა 1991 წელი. მაშინაც გაზაფხული იყო. ერთ დღეს გამსახურმის თავმჯდომარებ ბატონმა რევაზ ღლონტმა და-მირეკა: მანდ იყავით, ბატონ ვახტანგს შეატყობინეთ, მოვ-დივარ, ახალი დირექტორი მომყავსო. სახტად დავრჩი. არ ვე-ლოდი და არც ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბატონი ვახტანგის ადრე დაწერილი განცხადება გამოიყენეს.

მე კი დავურეკე ბატონ ვახტანგს, მაგრამ იგი გამომ-ცემლობაში აღარ მოსულა, უიმისოდ შევხვდით ახალ დირექ-

ტორს და ეს დირექტორი ჩვენთვის ყველასათვის ნაცნობი, მაშინ „საბჭოთა საქართველოს“ მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგე იორამ ქემერტელიძე გახლდათ.

ბატონი ვახტანგი ჩემს დიდ მასწავლებლად და მეგობრად მიმართია. ერთად მუშაობის დროიდან მასზე ტკბილი მოგონება და მისი საუკეთესო წიგნები დამრჩა მისივე ძვირფასი წარწერებით, მისი თარგმანები: ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი“, ჯერომ სელეჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“, ჩარლზ დიკენსის „ნიკოლას ნიკლბი“, შექსპირი, და რაც მთავარია, „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ ხუთივე წიგნი. ან ჯანგატეხილ და ძვირფას ადამიანს, მისი ერთგული მეუღლის და ასევე მწერლის ვალია ტატიშვილის დალუპვის გამო სევდამორეულს მინდა კიდევ ვუსურვო სიმხნევე და ჯანმრთელობა.

იორამს ადრიდანვე ვიცნობდი, როგორც უკეთილშობილეს, მშრომელ, წესიერ ადამინს, კარგ პოეტსა და გერმანისტს.

იგი ხუტა ბერულავას დროსაც მუშაობდა „ნაკადულში“ მისოვის შეუფერებელ თანამდებობაზე (ბულალტრის შტატში, მაგრამ რედაქტორად). წიგნიც გამოგვიცა მისი, შინაურ კაცად ვთვლიდით. ასეც იყო. ბატონი ვახტანგის ადგილას მოსვლა ეუხერხულებოდა, ამბობდა: იგი თავისი სურვილით, თავისი განცხადებით რომ არ წასულიყო, მე აქ რა მომიყვანდაო. ბევრს ვერაფერს ვიტყვი მის მოღვაწეობაზე, რადგან მისი დირექტორობა მძიმე პერიოდს დაემთხვა. არეულობა იყო ქვეყანაშიც და გამომცემლობაშიც. ცდილობდა საქმის კეთებას, მაგრამ გამომცემლობას უჭირდა ფინანსურად. არ იყო ქალალდი, წიგნი თითქმის არ გამოდიოდა. ხალხის „შესანახად“ უკიდურეს ზომებს – შტატების შემცირებას მიმართა, მის დროს გამომცემლობიდან წავიდნენ ისეთი გამოცდილი რედაქტორები, როგორებიც იყვნენ: ნათელა ლორთქიფანიძე, ჯენეტ ბაჯელიძე, ნათელა ჩირაძე, მიმოზა ახვლედიანი, ცისანა ჩხაიძე, ნიმა ანთელავა, მაყვალა კალანდარიშვილი, ეთერ კუბლაშვილი, ლილი გეგელია, ტექრედაქტორები ლია ქვარცხავა, მერაბ ნიქაბაძე და სხვები, მხატვრები ჯიბო ყავლაშვილი და შოთა დოლიძე, რასაც გამომცემლობის მუშაკთა ეკო-

ნომიური მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუუმჯობესებია, სამსახურიდან დათხოვნილთ კი მძიმე ტრავმა მიაყენა. გამომ-ცემლობაში შექმნილი მძიმე ვითარების გამო გამომცემლობა დატოვეს ჯენეტო ჭანტურაიამ და ლია ერისთავმა.

სამსახურში მოსვლის დღიდანვე დიდ პატივს მცემდა და ანგარიშს მიწევდა, მაგრამ მუდამ ახლის ძიებაში მყოფს, გამომცემლობაში „მრჩევლებიც“ გამოუჩნდნენ. ბევრი რამის გადახალისება მოინდომა. ეს „მრჩევლებიც“ მღვრიე წყალში თევზის დაჭერას ცდილობდნენ. ჯერ დაანგრევინეს საბავ-შვო წიგნის სახლი, ვინმე კეკენაძეს გადაეცა შენობა „საასპა-რეზოდ“, შემდეგ მის უკან დასაბრუნებლად სასამართლოებ-ში სირბილი მოუხდათ მთავარ რედაქტორს თენგიზ ჩხაიძეს და დირექტორის მოადგილეს სანარმოო დარგში მერი ფან-ჯავიძეს. გაჩანაგდა საბავშვო წიგნის სახლის წლობით ნაგ-როვები ბიბლიოთეკა. სხვა უნიკალურ გამოცემათა შორის ახლა მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის ორასტომეუ-ლი მახსოვს. სადღაა დღეს მისი სხენება. შემდგომ სარედაქ-ციონ ნაწილშიც მოხდა ცვლილებები. მე მთავარ რედატორად ვიმუშავე მრავალი წლის მანძილზე – ხუტა ბერულავას, ნა-წილობრივ კონსტანტინე ლორთქიფანიძის, შემდგომ მთლია-ნად არჩილ სულაკაურის, მორის ფოცხიშვილის, ვახტანგ ჭე-ლიძის დროს, ერთ მშვენიერ დღეს გამომიცხადა, მიზეზის დაუსახელებლად რედაქციის გამგედ უნდა გადაგიყვანო. ვერ გეტყვით, გული არ დამწყვეტია-მეთქი, დავეთანხმე, მით უმეტეს, როცა ვიცოდი, ვინ გააგრძელებდა ამ საქმეს. მარა-დიული ამქვეყნად არაფერია. ალბათ, ესეც კანონზომიერი მოვლენა იყო და ისევე დიდი სიყვარულით გავაგრძელე ჩემი საქმე, რადგან მაშინაც ვგრძნობდი, „უნაკადულოდ“ სიცოც-ხლე არ მიღირდა. მე სკამის სიყვარულით არასოდეს მიმუშა-ვია ამ გამომცემლობაში.

ამბობენ, მიცვალებულზე ან კარგი უნდა თქვა, ან არა-ფერიონ. თუ ზედმეტი მომივიდა, ესეც ღმერთმა მაპატიოს, რადგან მძიმე სენით ტანჯული წავიდა ამ ქვეყნიდან.

ხანმოკლე სიცოცხლე ჰქონდა, ადრე გამოაკლდა თავის საძმაკაცოს, ჯერ თავისი მეგობრები, შესანიშნავი მეცნიერი

და ვაჟკაცი ჯურხა ნადირაძე დაიტირა, მერე საყვარელი მე-გობარი და პოეტი თედო ბექიშვილი და მალე ისიც იმათ გზას დაადგა. „ნაკადულშიც“ სულ სამი წელი, სამი მძიმე წელი დაჰყო 1991-1994 წლები.

გაოცებული დავრჩი, 1994 წლის სექტემბერში შვებუ-ლებიდან რომ დავბრუნდი. აგვისტოს ბოლოს გამომცემლობის დირექტორად ოთარ ჭელიძე დაენიშნათ. ოთარს ორმოც-დაათიანი წლებიდანვე ვიცნობდი, ვიცნობდი კი არა, ვმეგობ-რობდი მასთან.



**მეგობრებთან ერთად. მარჯვნიდან პირველი  
შუქურა დარახველიძე**

იგი არავის მოუცილებია გამომცემლობამდე. თვითონ მოვიდა, რადგან ყველას იცნობდა და პირდაპირ შეუდგა საქ-მეს. ვიცოდი, საქმიანი კაცი რომ იყო, მაგრამ თუ ამდენს შესძლებდა, ვერ ვიფიქრებდი. თავისი გულის სითბო ყველას გაუნაწილა. მიდგა-მოდგა, ხალხი მოიკითხა, ვინმეს გაშვება-ზე არც უფიქრია. პირიქით, გამომცემლობისათვის საჭირო ადამიანები: ჯენეტ ბაჯელიძე, ცისანა ჩხაიძე, თამარ ბუღა-ძე, ჯიბო ყავლაშვილი, შოთა დოლიძე, ასმათ კიკვიძე, შტა-ტით თუ ხელშეკრულებით ისევ მოიწვია გამომცემლობაში

და საქმე გაუჩინა.

ცხადია, ისევ უჭირდა გამომცემლობას, მაგრამ ოთარ-მა ყველას ჭირი თუ ლხინი გაიზიარა. ხალხი წელში გაიმარ-თა, გაჩნდა ხელფასი, უშურველად გასცემდა დახმარებებს. არ მახსოვს, ვინმეს გასჭირვებოდეს და დირექტორს მისთვის დახმარების ხელი არ გაეწვდინა. ამას ხელს უწყობდა მთავ-რობიდან მიღებული ფინანსური დახმარებაც.

გრძელდებოდა „ქართული მწერლობისა“ და „მსოფლიო საბავშვო ბიბლიოთეკის“ სერიების გამოცემა, დიდ ყურადღე-ბას აქცევდა ეროვნულ ლიტერატურას. გამოიცა გივი გეგეჭ-კორის „ილია ჭავჭავაძის ცხოვრება“, ტაგუ მებურიშვილის საბავშვო ლექსები „ტაში, ბიჭო, ტაშიო“, ქეთევან ჭილაშვი-ლის მოთხოვნები „და-ძმა“. ცდილობდა სტამბის შეძენას.

მისი ხანმოკლე მოღვაწეობის მნიშვნელოვან მოვლენად მიმართა „სალიტერატურო გაზეთის“ დაარსება, რომლის რედაქტორიც თვითონვე გახლდათ. გაზეთი მაღალ პროფე-სიულ დონეზე გამოდიოდა. მან მიიზიდა ნიჭიერ მწერალთა და ლიტერატორთა ძველი თუ ახალი თაობა. ფინანსური თვალსაზრისით გამომცემლობისათვის იყი არ იყო მომგები-ანი გამოცემა, მაგრამ მე მიმართია ესეც რეკლამის ბრალი იყო. გამომცემლობამ ვერ უზრუნველყო მისი გამოცემა და ოთარის გამომცემლობიდან და იმავდროულად ამქვეყნიდან წასვლასთან ერთან დაიხურა.

მოულოდნელმა სიკვდილმა შეწყვიტა ოთარის ხანმოკ-ლე, მაგრამ მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობა (1994 წ. აგვისტო – 1998 წ. დეკემბერი).

გამომცემლობაში რომ მოვიდა, ოთარი წინანდებურად მხნე, ვაჟკაცური, მხიარული იყო. გამოგვეთხოვა ჯოხზე დაყრდნობილი, უძლური და სევდიანი. ახლა ყველამ ვიცო-დით, უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი, მაშინ კი, კარგა ხნის წინ, როცა ეს გამიმხილა, არ მჯეროდა, მეგონა, გაუ-ჭირდა და თვითონ იგონებს-მეთქი. მაპატიოს მისმა ხსოვნამ, მაშინ ასე რომ ვიფიქრე მასზე, მით უმეტეს ვიცოდი, ოთარს ტყუილი არ უყვარდა.

ვაჟკაცურად შეხვდა სიკვდილს. მაგონდება მისი მშვე-

ნიერი, სევდიანი ლექსები – სიკვდილთან გაპაექრება.

იმ ხანებში „ნაკადულს“ დიდი მწუხარება დაატყდა თავს: თითქმის ერთდროულად წავიდნენ ამქვეყნიდან: ცისანა ჩხაიძე – მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, მეტად კაცომოყვარე ადამიანი, გაუსაძლისი ტკივილი ჩვენი.

ერთი წლის შემდეგ, მაშინაც გვიანი შემოდგომა იყო, გამომცემლობამ ალალი ცრემლით დაიტირა მისი ქომაგი, საშუალო ასაკის ბავშვთა ლიტერატურის რედაქციის გამგე მინდია არაბული. მას წამდვილი შემოქმედებითი წვის ასაკში უღალატა ალალმა გულმა.

ოთარი ორივეს სიკვდილს შეესწრო, ორივე დაიტირა, ვინ იცის, გულში რა უთქმელი დარდი ჰქონდა თვითონაც ავადმყოფს. 1998 წლის დეკემბერში გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე. ამჯერად დირექტორის დიდხანს ლოდინი აღარ დაგვჭირვებია.

1999 წლის იანვრიდან შეუდგა მუშაობას ცნობილი პოეტი ბესიკ ხარანაული.

იგი ხალისით მოვიდა გამომცემლობაში, მოვიდა მეთორმეტე დირექტორად. ხალისით იმიტომ მოვიდა, ეტყობა, მართლა უნდოდა საქმე ეკეთებინა. ძალზე ხანმოკლე იყო მისი მოღვაწეობის პერიოდი. მისი მოსვლის დღიდანვე საოცარი ყურადღება და სითბო ვიგრძენი. საოცრად თავაზიანი კაცი იყო. ჩვენს ორ ფუნდამენტურ გამოცემაზე: „ქართული მწერლობა“ და „მსოფლიო საბავშვო ბიბლიოთეკა“ უარი არ უთქვამს, მხოლოდ „სალიტერატურო გაზეთი“ გააუქმა – წამგებიანია, მაგრამ, ვფიქრობ, თავიდანვე არ მოსწონდა იგი.

იმ ხანმოკლე პერიოდში ლუუკოვის წიგნის „ჩემი მოსკოვი“ და ქართული ხალხური ზღაპრის „რწყილი და ჭიანჭველას“ ორენოვნად გადაქცევა (ქართულ-სომხური) მოასწრო, რაც დიდად მოსაწონი ვერ გამოვიდა.

ბესიკი მალე მიხვდა, გამომცემლობაში მუშაობა შექმნილ ვითარებაში ძალზე ძნელი იყო, დაინახა ხალხის უკმაყოფილება და გამომცემლობის დირექტორად ბაკურ სულაკაურის მოსვლას გაუნია რეკომენდაცია.

ბაკურ სულაკაური ორი ათასი წლის სექტემბერში შე-

უდგა გამომცემლობის დირექტორობას, ის იყო გამომცემლობის რიგით მეცამეტე დირექტორი და მას მხოლოდ მცირე ხანს ხელმძღვანელობდა, მერე კი თავის ძველ სამუშაოს დაუბრუნდა.

გამომცემლობის თანამშრომლებმა თავის ხელმძღვანელად მისივე წიაღიდან წარმოშობილი, ცნობილი პოეტი ანზორ აბულაშვილი აირჩიეს.

იგი წლების განმავლობაში მუშაობს „ნაკადულში ჯერ ალმანახ „ჯეჯილის“ რედაქტორად, შემდგომ „საბავშვო წიგნის სახლის“ დირექტორად. გულით უყვარს ის საქმე, რასაც ემსახურება და პატივს სცემს მის ტრადიციებს ძველიდან მოყოლებული დღემდე. როცა მას დირექტორად ვირჩევდით, ყველას გვჯეროდა, ეს სათონ, ჭკვიანი, კაცთმოყვარე ადამიანი ყველაზე მეტად შეეფერებოდა ჩვენს გულისწადილს.

მისი გონიერება იმის თავდებია, უნარიანად წარუძღვება ამ საქმეს, კაცთმოყვარეობა კი – არავის ინტერესებს არ შელახავს, გაუფრთხილდება ადამიანის ღირსებას, როგორც მის მაღალ პოეზიას შეეფერება.

ანზორი გამომცემლობის მეთოთხმეტე დირექტორია. რიცხვი თოთხმეტი კი ბედნიერების მომტანი უნდა იყოს მის-თვისაც და ჩვენთვისაც.

ჩვენ მის თანამებრძოლებს ისლა გვმართებს, გვერდში ამოვუდგეთ მას და გამომცემლობის გაჭირვების ტვირთი ერთად ვზიდოთ.

დღეს გამომცემლობის სახეს მხოლოდ ძველი თაობის წარმომადგენლები როდი ქმნიან, მათ გვერდით უდგანან ნიჭიერი ბუღალტერი მაია კოჭლამაზაშვილი, რედაქტორი ნინო ღვინერია, ეკა, ნატო, ნონა, ლია და კიდევ სხვები, ღმერთმა გვიმრავლოს ახალგაზრდობა.

მე ჩემს მოგონებათა ფურცლებს ვხურავ, იქნებ კიდევ აღმოჩნდეს ვინმე, ვინც მას წლების შემდეგ დაასრულებს.

მარტი, 2001 წელი



## **ნონა კალანდარიშვილის ქართული თარგმანების ბიბლიოგრაფია**

1. ვ. ბრედელი. „ნათესავები და ნაცნობები“;
2. ვ. ბრედელი. „50 დღე“;
3. ს. ცვაიგი. „მარიამ სტიუარტი“;
4. ს. ცვაიგი. ნოველები: „უხილავი კოლექცია“, „ტყუპი დები“;
5. თ. მანი. მოთხრობა: „მარიო და ჯადოქარი“;
6. ჰ. მანი. „პატარა ქალაქი“;
7. ე. ჰოფმანი. მოთხრობა: „ქალბატონი სკიუდერი“;
8. ლ. ფრანკი. „მატილდა“;
9. ლ. ფრანკი. მოთხრობები: „მიზეზი“, „პორტრეტი“, „ჯარისკაცის ქვრივი“, „ნიუ-იორკული სიყვარულის ამბავი“, „ბლოკვარტი“, „დურგალი“, „მაშვალი“, „მიხაელის დაბრუნება“;
10. ბ. კელერმანი. „სიკვდილის როკვა“;
11. ბ. კელერმანი. „ძმები შელენბერგები“;
12. ლ. ბეთჰოვენი. „წერილები“;
13. ძმები გრიმები. ზლაპრები;
14. ს. აპტი. „თომას მანი“;
15. ლ. ლოზინსკაია. „შილერი“;
16. ბ. ბაჟანოვი. „რახმანინოვი“;
17. ძმები ვაინერები. „შეხვედრა მინოტავრთან“;
18. ჯ. ტაროცი. „ვერდი“.



**გამომცემლობა „უნივერსალი“**

თბილისი, 0179, ი. ვაკევაძის გამზ. 19, **ტელ:** 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)